

პუბლიკაციები გურიის სულიერი და  
მატერიალური კულტურის ისტორიიდან



გრიგოლ  
გუჩუა

პუბლიკაციები გურიის სულიერი და მატერიალური  
კულტურის ისტორიიდან

2

გურიის სულიერი და კულტურული ფასეულობების  
შესწავლისა და პოპულარიზაციის ცენტრი

თბილისი 2006



საქსის  
გულშემოცემი  
კანტი

გრიგოლ გურიელი

თბილისი 2006

გამოსაცემად მოამზადა ილია თავბერიძემ.  
ფოტომასალა მოგვანოდეს ლუარსაბ ტოგონიძემ და  
ირინა გივიაშვილმა.  
დიზაინი ლუკა გოცირიძისა.  
ნიგნში გამოყენებულია პაატა ნაცვლიშვილის მიერ  
შექმნილი შრიფტი „სამშობლო“

ISSN 1512-4010

ISBN 99940-0-841-2 (მეორე ნაკვეთი)

- © ილია თავბერიძე. 2006.
- © გურიის სულიერი და კულტურული ფასეულობების  
შესნავლისა და პოპულარიზაციის ცენტრი. 2006

# წინასიგჷვა

გურიის მთავართა — გურიელთა საგვარეულო სახლის ერთი გამორჩეული წარმომადგენელია გრიგოლ გურიელი. კაცი, რომელმაც „ცხოვლად აღბეჭდა ნავალი“ და თავისი მამულიშვილური საქმეებით ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს ისტორიაში.

წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) მას „ხალხის გულშემატკივარ კაცს“ უწოდებდა; წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი) — „დიდი მორალის კაცს“; ზაქარია ჭიჭინაძე — „ქართველ მაჰმადიანთა მარჯვენა ხელს“; თედო ჟორდანია — „ჩვენის წარსულის მოტრფიალეს“. გაზეთმა „დროება“ კი მას „გრიგოლ ქველი“ უწოდა.

დიდი ქართველ მოღვაწეთა ამ რამდენიმე სიტყვაში ჩატეულია დედააზრი იმ ღვაწლისა, გრიგოლ გურიელს რომ მიუძღვის მშობელი ქვეყნის წინაშე. იგი სულ რამდენიმე წინადადებით შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ:

— 1874 წელს „სამუსლიმანო საქართველოში“ (ე.თაყაიშვილის ტერმინია) მოწყობილი პირველი ექსპედიციის ხელმძღვანელი გენერალი გრიგოლ გურიელი გახლდათ, რომლის დროსაც მოინახულეს ტაო-კლარჯეთის, ლაზეთისა და აჭარის უძველესი ქრისტიანული ძეგლები. ექსპედიციის ანგარიში გიორგი ყაზბეგმა წიგნად გამოსცა — „Три месяца в Турецкой Грузии“.

— ამ ექსპედიციის დროს, მანამდეც და შემდგომშიც, გრიგოლ გურიელი ქართველი მაჰმადიანებისთვის ყველაზე მისაღები, პატივსაცემი და სანდო პიროვნება იყო. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ ჩვენი ძირძველი მიწა-წყალი უსისხლოდ და უომ-

რად დაბრუნებოდა დედასამშობლოს. 1878 წელს, „თურქეთის საქართველოს“ დაბრუნების შემდეგ კი, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ამ ადამიანებს თავი სამშობლოში ეგრძნოთ.

– გრიგოლ გურიელის მზრუნველობა არ მოჰკლებიათ გურიის სკოლებსა და სასწავლებლებს. მან საკუთარი სახლი დაუთმო ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელს. იგი, როგორც „ჩვენის წარსულის მოტრფიალე“, აგროვებდა ძველ ხელნაწერებს, გამოსცემდა წიგნებს და მისგან შემოსულ თანხებს წერა-კითხვის საზოგადოებას უტოვებდა. „გრიგოლ ქველი“ ეხმარებოდა ქართველ ახალგაზრდებს, რომლებსაც სურდათ სწავლა-განათლება მიეღოთ.

მისი ყურადღება არ მოჰკლებია პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებს, შემდგომში გამოჩენილ მეცნიერებსა და მამულიშვილებს ნიკო მარსა და ექვთიმე თაყაიშვილს (ისინი გრ.გურიელის ძმისწულის – ვანო გურიელის მეგობრები იყვნენ). მოხუცი გენერალი დიდ იმედებს ამყარებდა მათ მომავალ სამეცნიერო მუშაობაზე. პროფ. იოსებ მეგრელიძეს ნ.მარის არქივიდან გადმოუღია ერთი საინტერესო ბარათი, რომლის ავტორი გრიგოლ გურიელია, ადრესატი კი – ნიკო მარი:

### **„5 ნოემბერს, ოზურგეთი, 1888 წელსა**

ჩემო ნიკო! შენი წერილი მივიღე ამ დღეებში. იქნებ დაგვიანებული იყოს. რადგან რიცხვი არ დაგეწერა. ფოჩტა მხოლოდ ЗАКАЗНОЕ წერილს ვერ ფარავს, თორემ სხვას ვინც შეხვდება, იმას აძლევს გარდასაცემად.

მე დიდათ ვხარობ შენი კეთილი და ნაყოფიერი შრომისათვის სიბრძნის ასპარეზედ. და არცა ეჭვი მაქვს, რომ შენმა შრომამ რომ კეთილი ნაყოფი არ შეგძინოს შენ და ჩვენს ხალხს. აწ რადგან ნიჭმა მეცნიერება შეისტავლა და შეიყვარა, იმის გამდიდრებისა და განვითარებისათვის გზა გაკაფული გაქვს და

შენს კეთილ გონიერებაზედ არის დამოკიდებული. იცოდე, ადამიანის ცხოვრებაში უმჯობესი არა არის რა, როგორც გონიერების პურება და ჭკუის განვითარება, რომელნიც არიან კაცის დამავკირვეინებელნი ცხოვრებაში, და სულის დამატკობელი. თუმცა მრავალნი მისდევენ ხოლოდ უზრუნველ ცხოვრებას, მაგრამ შენც ხედავ ახლა, რომ მათმა უნაყოფო შრომამ, რა ბოროტება შესძინა ხალხს, რომელთაც ეს მიბაძვა ჩვეულებათ შეექმნათ, რომლითაც ხალხი თავის უგუნურებით იტანჯება და უნაყოფოთ რჩება. მაგრამ იმედია, რომ ჩვენი ხალხი ნიჭიერია და როდესმე გაიგებს და შეუდგება სწავლა გონიერებით ცხოვრებას. თუმცა ეყოლება გონიერი ხელმძღვანელები — ამის ნიშნები დღეს სჩანან. ალლახ ქერიმ!

ჩემო ნიკო! იშრომე შენი ნიჭისამებრ თანახმად. მაგრამ თავს კი ზომიერათ შეექეცი. ზომიერ ცხოვრებას შეეჩვიე, რომ ფიზიკური სნეულება არა შეგემთხვეს. მე რითაც შევიძლებ, იმით მარადის ვიქნები შენი თანამგრძობელი, იცოდე. შენს ამბავს ნუ მომაკლებ!

სამი თუმანი ამასთანავე მიახლება და კიდევ მალე გაახლებ. მე შენთვის არას ვზოგავ, იცოდე!

იყავ სიმრთელით და დღეგრძელი.

შენი ნათლის მამა **გრიგოლ გურიელი**.

(იქნება აქამდის არც იცოდი, რომ მე შენი ნათლია მამა ვარ. აწ იცოდე)“.

ბარათს რუსულ ენაზე აქვს მინაწერი „ვუპასუხე ნოემბრის ბოლოს“, მაგრამ, რაკი იგი ხელმოწერილია „შენი ნათლის მამა გრიგოლ გურიელი“, ნიკოს კკითხე: ქუთაისში დაიბადეთ, და ოზურგეთელმა გრ. გურიელმა როგორ მოგნათლათ-მეთქი.

მან მიპასუხა: ამას ისე წერს იგი, თორემ მაგავე ბარათების ჩანთაში მონახეთ დედაჩემის წერილები, შეკრულია, იქ ნახავთო... მართლაც ვნახე. ნიკოს შეუკითხავს დედისათვის და მას უპასუხია:



„ნენანიკო! ...ნათლიმამა ერთი გყავს ლუკა შარა-  
შიძე. მე შეტი არ ვიცი“, მარა იგი (გრიგოლ გური-  
ელი – ი.მ.) „შენი ნათლიმამა კი არაა, შენ რომ  
გრიგოლის შვილი მოგენათლოს, იმას ქვია ნათლი-  
მამა“.

გრიგოლ გურიელზე ნათლიაა-მეთქი, – იმიტომ  
მოგწერე, რომ შვილივით უყვარხარ, ნამდვილი  
„მამის მაგიერი მწყალობელი ამოგიჩდა“<sup>1</sup>.

ნიკო მარისა და წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის  
(თაყაიშვილის) მიმოწერაში<sup>2</sup> რამდენჯერმე ვხვდე-  
ბით გრიგოლ გურიელის სახელს. გურიაში ჩასუ-  
ლი წმიდა ექვთიმე მოუნახულებელს არ ტოვებდა  
მოხუც გურიელს: „ეხლა რომ გურიაში ჩავედი, გრი-  
გოლ გურიელი ვნახე, გრიგოლი დაბერებულა“...  
„გრიგოლ ძლიერ დაბერდა, სულის შებერვის მეტი  
არ არის“... „ორი კვირა მე და გრიგოლ გურიელმა  
ქობულეთში გავატარეთ“... ნიკო მარისადმი თანად-  
გომას გრ.გურიელი კვლავაც განაგრძობდა: „შენი  
ამბავი მკითხა, – წერს წმ. ექვთიმე ნ.მარს, – ერთი  
ძრიელ კარგი საქმე შემიძირდა, უსათუოდ ჩუბინო-  
ვის (დ.ჩუბინაშვილის – ი.თ.) ბიბლიოტეკა უნდა  
ვიყიდო და თქვენ წერა-კითხვის საზოგადოებას  
შემოგწიროთო“... „ეხლა გრიგორ გურიელი ვნახე:  
...ეს 25 მანათი გადმოძცა შენდა გამოსაგზავნათ და  
დაუყონებლივ გიგზავნი. ისთე, სულ შენს ქებაშია  
გრიგორი, ძრიელ ღარიბათ ვარო, თვარა ამდენ-  
ხანსაც გაუგზავნიდიო, თუ მოხერხება მექნა, მერ-  
მეც გაუგზავნიო ფულებს, – მითხრა მან“. სულზე  
მოუსწრია ამ თანხას ნიკო მარისათვის. იგი წმიდა  
ექვთიმეს წერდა: „ზნეობითმა სიხარულმა ჩაშთი-  
ლა უკვდავების წყაროსავით დროზე მოსწრებული  
ოცდახუთი მანათის გამოწვეული სიხარული“.

1. ი.მეგრელიძე. ექვთიმე თაყაიშვილი. თბ. 1981. გვ. 231-233

2. ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა. თბ. 1991.

გრიგოლ გურიელის გარდაცვალებას სერიოზულად დაუმწუხრებია როგორც ნიკო მარი, ისევე ექვთიმე ღვთისკაცი. ნიკო მარს, ერთ-ერთი წერილში, წმიდა ექვთიმესთვის გაუზიარებია საკუთარი განზრახვა, პატივი მიეგოთ გარდაცვლილის ხსოვნისთვის:

„კარგი იქნება, თუ გრიგორის სახელზე რამე კრებულს გამოსცემთ. ჩემი მხრით რასმე მოვამზადებ. იქნება ჩახრუხადის გარჩევამ ივარგოს, ...თვარა სხვას რასმე მოგაწვდენ ან ქართული ან სომხურის მწერლობის შესახებ. იკისრე რედაქტორობა. შიგ მისვე გრიგორის სურათს ჩაურთავთ და წიგნს სახელად უწოდებთ „სამახსოვრო გრიგორის“ ან მსგავსად რასმე“. წერილი 1891 წლის 15 დეკემბერს, გრიგოლ გურიელის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგაა დაწერილი.

როგორც ჩანს, კრებული სამეცნიერო ხასიათის უნდა ყოფილიყო. მაგრამ იგი არ გამოცემულა. მისი გამოცემა არც გრიგოლ გურიელის გარდაცვალების ათი წლისთავზე მოხერხებულა. უდიდეს სამეცნიერო სამუშაოში ჩაფლულმა მეცნიერებმა ალბათ ვერ შეძლეს ამ ჩანაფიქრის განხორციელება.

რადგან ჩვენი ცენტრის მიერ დაარსებული სერიის ფარგლებში გვინდოდა პატივი მიგვევოდიდი მამულიშვილის – გრიგოლ გურიელისადმი, ნიკო მარისა და წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის ამ განუხორციელებელმა ჩანაფიქრმა გვაფიქრებინა შეგვედგინა კრებული, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას შექმნიდა გრიგოლ გურიელის მოღვაწეობაზე. სამეცნიერო ხასიათი მისთვის არ მიგვიცია, რადგან ამის გაკეთება სცილდება ჩვენი ცენტრის ამოცანებს, თანაც ნიკო მარის მიერ დასახელებული წერილი ჩახრუხადეზე 1935 წელს დაიბეჭდა „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ I ტომში (გამოაქვეყნა დ.ქუთათელაძემ) და მისი განმეორებით დაბეჭდვა მართებულად არ მივიჩნით.

თქვენ წინაშე წარმოდგენილი კრებული – „ხალხის გულშემატკივარი კაცი“, საარქივო მასალებისა და XIX ს. პერიოდულ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების მიხედვით მომზადდა. მასალები თემატურადაა დალაგებული, რომლის გაცნობა მკითხველს საშუალებას მისცემს წარმოდგენა შეექმნას ადამიანზე, რომლის განვლილი ცხოვრება ქართული საქმეების კეთება გახლდათ. კადნიერებაში ნუ ჩაგვივლის მკითხველი, თუ ამ გამოცემას, გრიგოლ გურიელთან ერთად ნიკო მარსა და წმიდა ექვთიმე ღვთისკაცს (თაყაიშვილი) მივუძღვნით.


**ილია თავაძერიძე**



„ჩვენრა სამწუყახარ, ისმის, ხამ ეს სანაქიქი მხაჲ  
მთავადისა ფებარეშული ახ ახის ქქი აჭახისა რა ქამყლიში,  
აყმრა მახელეთა შახის იმისთანა მამოილსანი რა ხალხის ვყლ-  
შქმაქტივაჲი ჯარიყ ახის, სხვათა შახის, ხეღერი თავ. გჲიგლ  
გყჲიქლი“.

**წმირა ილია მაიალი (ჭავჭავაძე)**

„მინაური მიმოხილვა. 1879 წ. II. თხზ. ტ. V. გვ. 27. თბ. 1955.



წმიდა ექვთიმე ღვთისყავი

## გრიგოლ გურიელი

**გ**რიგოლ გურიელი, ცნობილი კარგი ქართველი და პატრიოტი, ოზურგეთში ცხოვრობდა. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთი დამაარსებელთაგანი და საქართველოს ისტორიის დიდი მოყვარული. ამიტომ ურჩია თავის ძმისწულს ვანოს, ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შესულიყო, რომ მერე გურიის ისტორიის დაწერა შესძლებოდა. იმ დროს გრიგოლი უკვე სამსახურიდან გადამდგარი გენერალი იყო. უწინ, რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წწ. ომამდე იგი ჩოლოქის კორდონს განაგებდა (ბევრად უფრო ადრე მამაჩემი იყო იმავე თანამდებობაზე) და დიდი სამსახურიც გაუწია რუსის მთავრობას. ჯერ ერთი, მან ოსმალეთში იმოგზაურა გიორგი ყაზბეგის თანხლებით, რომელიც მაშინ გენერალური შტაბის ოფიცერი იყო და რომელსაც დავალებული ჰქონდა შეეკრიბა სტატისტიკური და სხვაგვარი სამხედრო ცნობები ოსმალეთის საქართველოს შესახებ. გრიგოლ გურიელი აჭარის ფაშის, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის („შერიბეგს“ ეძახდნენ) მოყვარე იყო — ხიმშიაშვილს ცოლად გრიგოლის ნათესავი, გურიელის ქალი ჰყავდა, და ამ მოყვრობას შერიფ-ბეგიცა და გურიელიც დიდად აფასებდნენ. გრიგოლი სტუმრად წავიდა შერიფთან, როგორც თავის სიძესთან და თან იახლა რამდენიმე გურულისაგან შემდგარი ამაღლა. ამათ შორის იყო გიორგი ყაზბეგიც, რომელიც, გურულ ტანსაცმელში გამოწყობილი, სხვა მხლებლებივით ემსახურებოდა გრიგოლს, — ხან რას მიართმევდა და ხან რას. მაშინ შეკრიბა გ.ყაზბეგმა ოსმალეთის საქართველოს ტერიტორიაზე როგორც სამხედრო მასალა, ისე არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ცნობები. ეს უკანასკნელნი მან გამოაქვეყნა წერილში „Три месеца

в Турецкой Грузии“, რომელიც დაიბეჭდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ორგანოში (Зап. Кавк. отд. Русск. Геогр. Общ.). აღნიშნულ წერილს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და იმ დროისათვის ხომ ნამდვილ განძს წარმოადგენდა ჩვენი ისტორიისათვის. საერთოდ გიორგი ყაზბეგი ნიჭიერი კაცი და კარგი პატრიოტი იყო. ილია ჭავჭავაძის მახლობელი ამხანაგი. მერე წერა-კითხვის საზოგადოებასაც კი თავმჯდომარეობდა.

გრიგოლ გურიელმა ოსმალეთში მოგზაურობის შემდეგ კიდევ შეაგულიანა შერიფ-ბეგი, რომ მას თავისი საფაშო, აჭარა უომრად შემოეერთებინა რუსეთისათვის. შერიფ-ბეგიც ისე მოიქცა და აჭარა თავისით, უომრად შემოუერთდა რუსეთს. გრიგოლი, რა თქმა უნდა, დიდ პატივს მოელოდა ყოველივე ამის გამო რუსის მთავრობისაგან. მაგრამ მთავრობამ მის შუამავლობა-დამსახურებას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და გრიგოლიც კვლავ პოლკოვნიკად დარჩა, გენერლობა მხოლოდ მაშინ მიიღო, წესისამებრ, როდესაც, შეურაცხყოფილი, სამსახურიდან გადადგა.

საოსმალე საქართველოს სხვა ბეგებიც გადმოვიდნენ, გრიგოლისავე რჩევითა და გავლენით, უომრად, რუსების მხარეზე და ომის გათავების შემდეგ თურქეთში კი არ წავიდნენ, არამედ შავშეთ-კლარჯეთსა და აჭარაში დარჩნენ. რუსის მთავრობა არც იმ დარჩენილ ბეგებს მოჰკიდებია მაინცდამაინც პატივით. მახსოვს, შავშეთის ბეგმა შემოუთვალა გრიგოლ გურიელს: „თუ ეგრეთი იყო რუსის მთავრობა, რომ შენც კი არა გცა პატივი, ჩვენ რაღად გვირჩიე აქ დარჩენა, უმწეო მდგომარეობაში რომ ჩავვარდითო?“

იმ დროს, როდესაც მე და ვანო გურიელმა გიმნაზია დავამთავრეთ, გრიგოლმა ოზურგეთში თავისი სახლი სანახევროდ აჩუქა სასულიერო მთავრობას სასულიერო სასწავლებლისათვის, და სანახევროდ კი ფასი გამოართვა. ე.ი. რაც დაუფასეს ის სახლი, მხოლოდ იმის ნახევარი გადაახდევინა. დიდი სახლი იყო, მაღლა გორაზე, ლიხაურის მხრით ნამოდგემული, ახლაც კი უნდა იდგეს. იმაში აღებული ფული მან გადადო, რომ ძმისწული ვანო შეენახა პეტერბურგში. თითონ გრიგოლი დიდი მორალის კაცი იყო, ძალიან თავისებური. ბერივით ცხოვრობდა, ცოლ-შვილი არასოდეს არ ჰყოლია (ასე იცოდა თქმა: „ბიჭო, ქალს რომ აქებ, ქალი-მყრალი რა საქებიაო?“); უბრალო ბინაში იდგა; საჭმელ-სასმელიც ფაქიზი იცოდა. მის საზრდოს უმთავრესად ლობიო და მხალი შეადგენდა. ღვინოსაც ცოტას სვამდა. უნდოდა, რომ პეტერბურგს ვანო

მოსვედრილიყო კარგ ოჯახში, რომელიც კეთილზნობრივ გავლენას მოახდენდა მასზე. ამ მიზნით მან, ვილაც ნაცნობ-მეგობრის საშუალებით, გამართა მიმონერა პეტერბურგში ერთ გერმანელ პასტორთან, სთხოვა თავისთან დაეყენებინა ვანო და თვეში 100 მანეთი დაუნიშნა. ეს მაშინ კარგი ფული იყო: ქართველი სტუდენტობის უმეტესობა თვეში 20-25 მანეთით ირჩენდა თავს. გარდა იმ 100 მანეთისა, გრიგოლი ჯიბის ფულსაც უგზავნიდა ძმისწულს.

მე და ვანო რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის საისტორიო-საფილოლოგიო ფაკულტეტზე შევედით, იქ დაგვხვდნენ პეტრე მირიანაშვილი და გოცირიძე (სახელი აღარ მაგონდება), რომელთაც ჩვენზე ერთი წლით ადრე ჰქონდათ დამთავრებული ქუთაისის გიმნაზია.

პასტორმა ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა ვანო გურიელზე და მის ზნეობაზე; პირიქით, ვანომ მოახლე ქალი დააორსულა და პასტორმაც მოსწერა ეს ამბავი გრიგოლ გურიელს. არდადეგებზე რომ ჩამოვედი გურიაში, გრიგოლმა მითხრა, მამამისის შვილი აბა რას იზამდა, კვიცი გვარზე ხტისო! ცხადი იყო, რომ ვანოს აღარ დაედგომებოდა პასტორის სახლში და წამოვიდა კიდევაც; მერე ცალკე ცხოვრობდა; თან კიდევილაც სხვა გერმანელ ქალს გადაეყარა და ასე!.. საბოლოოდ კი ვანო გურიელს უკუღმა დაუტრიალდა ბედი. კურსის დამთავრების შემდეგ საქართველოში ჩამოსული ერთხანს სადღაც, მგონი თბილისის გუბერნატორთან მსახურობდა, მაგრამ მერე მიატოვა ის სამსახური. მამას ვერ შეენყო და არც შეიძლებოდა, რომ ისინი ერთიმეორეს შეწყობოდნენ. მათი კონფლიქტი ისე გაძლიერდა, რომ მამამ უჩივლა, მოკვლას მიპირებდაო. ვანოს მამულში ჩადგომა უნდოდა (მამული, რასაკვირველია, დიდი ჰქონდათ, მაგრამ არც იმდენად, როგორც ეგონა); მამამისი დათა კი ერთი თავისებური უხიაგი კაცი იყო; არავის ენდობოდა და არც შვილს ენდო. საქმე ქუთაისში გაიჩა, საგუბერნიო სასამართლოში. ვანოს დამცველად ჰყავდა ცნობილი ადვოკატი ხელთუფლიშვილი, შემდეგ სენატის თავმჯდომარე. ვანო გაამართლეს, მაგრამ გრიგოლმა, რა თქმა უნდა, ხელი აიღო თავის ძმისწულზე და თავისი ქონება ანდერძით დაუტოვა მეორე მემკვიდრეს, გენერალ ლევან გურიელის შვილს, ვასო გურიელს, რომელიც მშვიდი და კეთილი, მაგრამ არც თუ რითიმე გამოსარჩევი ახალგაზრდა იყო; მეფისნაცვალთან მსახურობდა, როგორც განსაკუთრებულ დავალებათა ამსრულებელი მოხელე („**ЧИНОВНИК ПО ОСОБЫМ ПОРУЧЕНИЕМ ПРИ НАМЕСТНИКЕ**“). ცოლად ჰყავდა ერთ-ერთი, ოსმალების დადიანის ქალი, მდიდარი ანანოვის ნათესავი. დათა გური-

ელმა, რომელიც ისეთივე მემკვიდრე იყო გრიგოლისა, როგორც ვასო (ლევანი უკვე გარდაცვლილი იყო), დაიწყო ქადილი, უსისხლოდ მე მაგას არ დავთმობო. გრიგოლი რომ გარდაიცვალა, ჩამოვიდა თბილისში და აიძულა ვასო, რომ გრიგოლის მიერ მისთვის დატოვებული მამულის ნახევარი გადაეცა დათასათვის ნოტარიული წესით.

მე, ვანო გურიელი და ნიკო მარი ერთად ვსწავლობდით ქუთაისის გიმნაზიაში. ნიკო ძალიან ჰგავდა ვანოს, ისეთივე შავგვრემანი და შავთმიანი იყო. ჩვენ ვეუბნებოდით ხოლმე ვანოს, რომ ნიკო მისი უკანონო ძმაა. ის იტყოდა ხოლმე, მე წინააღმდეგი არა ვარ მისი ძმობისა, მაგრამ ეგ არაა მართალი, გრიგოლ გურიელს ერთი მოურავი ჰყავდა, გაბილას ეძახდნენ და ნიკო მისი შვილიაო.<sup>1</sup> ნიკოს „მამას“, იაკობ მარს სხვა შვილებიც ჰყავდა პირველი ცოლისაგან და იმათ საჩივარი შეიტანეს სასამართლოში, ნიკო არ არის მარის იშვილი და ქონებიდან არაფერი ერგებაო, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს, რადგან დოკუმენტებში იაკობის შვილად ეწერა. ამ გზით რომ ვერაფერს გახდნენ — ის ინგლისელები თუ შოტლანდიელები, სახლის ზედა სართულიდან გადმოაგდეს პატარა ნიკო, მაგრამ ის ფეხის მოტეხით გადარჩა. თვითონ კი წერდა მერე, პანსიონში მოვიტეხე ფეხიო: ან არ იცოდა ნამდვილი, ან გამჟღავნება არ უნდოდა. ფაქტი კია, რომ ნიკო არაა იაკობ მარის შვილი, ან დათა გურიელისაა და ან გრიგოლ გურიელის მოურავისა. იაკობმა იმ დროს შეირთო ის ქალი, ნიკოს დედა, როდესაც უკვე დაძაბუნებული მოხუცი იყო: ჯერ მოსამსახურედ აიყვანა, რომ მოევლო მისთვის, და მერე კი ცოლად გაიფორმა.



ნიკო მარი

გაბრიელ ეპისკოპოსის ბიძაშვილმა, მიხეილ ქიქოძემ (ცნობილი ადვოკატის მოსე ქიქოძის ძმამ, გამომძიებელმა) მიაბზო, ერთხელ

1. ე.თაყაიშვილი. რჩეული ნაწერები. ტ. I, თბ. 1963. გვ. 290-294. ამ ადგილას ე.თაყაიშვილი მიუთითებდა ი.მეგრელიძის სათანადო ჩანაწერებს და აღნიშნავდა, რომ საერთოდ მან იცის ეს ამბები. დანვ. იხ. ი. მეგრელიძე. ე. თაყაიშვილი. გვ. 220-234.



გაბრიელი და მე ერთად ვესტუმრეთ იაკობ მარს ქუთაისის ფერმაზე, სადაც ის მსახურობდა, მაშინ გაგვაცნო ის თავისი ცოლი და გვითხრა, „ეს ჩემი მონაზონაა“. იაკობი გრიგოლ გურიელთან ცხოვრობდა დიდხანს, ის არჩენდა. დათაც იქ იყო ხოლმე და გრიგოლის მოურავიც, და რომელი შეიქნა ნიკოს მამა, ძნელი სათქმელია. ნიკომ თითონაც იცოდა თავისი წარმოშობის ამბავი და ხშირადაც უთქვამს. ისე, ხასიათით ნამდვილი ასპროცენტიანი გურული იყო, უცბად აენთებოდა ხოლმე. ეჰ, სულ ერთი არაა, ვისი შვილიც იყო? მამამისი აცხონა ღმერთმა, დიდად სასახელო მეცნიერი დაგვიტოვა და ესაა! ჩვენში მაინც ასეა დაკვირვება: ბუში ყოველთვის ნიჭიერია ხოლმე, სიყვარულის ნაყოფია და იმიტომ („ДИТЯ ЛЮБИ“, რუსები რომ იტყვიან!).

ქუთაისის გიმნაზიის უფროს კლასებში რომ ვსწავლობდი, ბევრი გაკვეთილები მქონდა (ვრეპეტიტორობდი), ისე რომ სხვებსაც კი ვარჩენდი. იმ გაკვეთილების გასამრჯელოდან 300-ოდე მანეთი დავიზოგე. მოვინდომე მამულის გამოყენებაც: ერთი ვაშაყმაძე გყავდა, დროებით ვალდებული გლეხი, ის გავათავისუფლე და 300 მანეთიც მისგან ავიღე. გზის ფულიც, როგორც უკვე აღვნიშნე, 100 მანეთი მომცეს. ასე რომ, უნივერსიტეტში მისაღები სტიპენდიის გარდა 700 მანეთიც წამყვა თან. გრიგოლ გურიელმა თავისი ძმისწული ვანო მე ჩამაბარა. თვითონ, უკვე ვთქვი, ძალიან უბრალო ცხოვრების მოყვარული იყო და ჩვენც გვიტხრა: „იქირავეთ ერთი ოთახი; იყიდეთ ხორცი, მოხარშეთ და ჩამოჰკიდეთ კედელზე; მოგშივდებათ, მიაჭერით და სჭამეთ, მეტი რა გინდათ?!“

მე და ვანო ერთად წამოვედით ოზურგეთიდან. პეტერბურგში ორი გზით შეიძლებოდა წასვლა: ზღვით ბათუმიდან სევასტოპოლამდე და მერე რკინიგზით, ან არა და სამხედრო გზით ვლადიკავკაზამდე და იქიდან — რკინიგზით. მე სამხედრო გზის ნახვა მინდოდა და ამიტომ ეს მეორე გზა ავირჩიეთ. მცხეთამდე რკინიგზით ჩამოვედით. მატარებელში ნატანების სადგურზე ჩავჯექი. ლიანდაგი ახალი გაკეთებული იყო და, მახსოვს, ძლივს ავედი ვაგონში, კიბე ძალიან მაღლა აღმოჩნდა და მტკივანი ფეხი მიშლიდა. გრიგოლ და ვანო გურიელები მაშინ ბორჯომში იყვნენ. შეპირებული ვიყავით და გრიგოლმა ძმისწული მიხაილოვის სადგურში<sup>1</sup> ჩამოიყვანა, იქ ჩასვა მატარებელში, დაგვარიგა ჭკუა და გამოგვემშვიდობა...”

ნიგნიდან: ე. თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები. ტ. I. თბ. 1964.

1. ახლა ქ. ორჯონიკიძე.



1874 წლის მაის-ივლისში ისტორიულ სამხრეთ-საქართველოში — აჭარა-შავშეთი-არტაშუჯი-ლივანა-ლაზეთი, მოენყო 17 კაციისაგან შემდგარი ექსპედიცია. რუსეთის მიზანი კი იყო, „მოსალოდნელი ომის წინ დაეზვერა მონინააღმდეგის შესაძლებლობანი, იქაური ქართველების განწყობა.

## „მოზაურობა“ თურქეთის საქართველოში“

და მისი ხელმძღვანელობა დიდი ავტორიტეტისა და მაკჰადიან ქართველებში გავლენის მქონე გრიგოლ-გურიელს მიენდო, რომელსაც თან ახლდა დიდი ქართველი მაჭულიშვილი გიორგი ყაზბეგი.

მნიშვნელოვანია წარმოვაჩინოთ გრიგოლ გურიელის როლი ექსპედიციის მსვლელობისას, რამიაც დიდ დახმარებას გაგვიწევს XIX ს. პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები, მათ შორის ზაქარია ჭიჭინაძის პუბლიკაციები, რომლებიც თვითმხილველთა ნაამბობზეა აგებული.



## გიორგი ყაზბეგი

(1839-?) ქართველი გენერალ-ლეიტენანტი; 1908-18 წ. წერა-კითხვის საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ უგზო-უკვლოდ დაიკარგა.


„**მ**ავადი გრიგოლ გურიელი მეტად ცნობილია გურიის მოსაზღვრე მთელ მხარეში და, შეიძლება ითქვას, ამ პოპულარობის შედეგად ყველგან ალტაცებით გვხვდებოდნენ. მისმა ნათესაურმა კავშირმა აჭარის, ლივანის და შავშეთის გავლენიან ბეგებთან, ისევე, როგორც ამ შტაბ-ოფიცრის პირადმა მალალმა თვისებებმა, ჩემთვის ხელმისაწვდომი გახდა ისეთი ცნობები, რომლებსაც მისი დახმარების გარეშე ვერ შევკრებდი. ყოველივე ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თავადი გურიელი, მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა, ახალგაზრდული შემართებით და დაულალავად იტანდა მოგზაურობის ყველა სირთულეს, იმ შემთხვევაშიც კი, სადაც მხოლოდ ფეხით სიარული შეიძლებოდა“...

სამხედრო მინისტრისადმი 1874 წლის 27 ივლისს გაგზავნილი წერილიდან.

იხ. „ლიტერატურული საქართველო“ 1984 წ. 20 აპრილი.


## აპოლონ წულაძე

ლიტერატორი, ეთნოგრაფი. ავტორი ნიგნისა  
„ეთნოგრაფიული გურია“



„...**ბ**რიგოლ გურიელი ძლიერ სწუხდა, რომ აჭარა ჩამოშორებული იყო დედასაქართველოზე, ჰქონდა აჭარლებთან გავლენა. ეს ალბათ იცოდა მაშინდელმა მთავრობამ და სანამ ომი დაიწყებოდა, ორი წლით ადრე გრიგოლი მიიპატიჟა თბილისში მაშინდელმა ნამესტნიკმა მიხეილმა (რომანოვი), საიდუმლოდ დაავალა, რომ გრიგოლი წასულიყო აჭარაში, დაეელო მთელი აჭარა და შეედგინა საომარი მოქმედების გეგმა, სამისოდ ვითომცდა მსახურებად მას მიუჩინეს გენერალური შტაბის ოფიცერი ან განსვენებული გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი (როგორც „ლაქია“) — გრიგოლმა უვნებლად მოიარა მთელი აჭარა და მთავრობის დავალება ჩინებულად კი არა გადაჭარბებითაც შეასრულა“.

(ზელნანერი. ეგ. ნინოშვილის სახლ. მუზეუმი. ფ. N123. გვ. 50.)



## ზახარია ჭიჭინაძე

(1854-1931) — ქართველი საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარი; დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ხელნაწერების შეგროვებასა და წიგნების გავრცელებაში, მან, განსაკუთრებით, მაჰმადიან ქართველებთან ურთიერთობას დასდო ამაგი.

# ბიოგრაფიული ნიკოლოზის ძე ყაზიბეგის მოგზაურობა აჭარაში

**ბ**ევე ერეკლემ 1783 წ. რუსეთის იმპერიასთან ტრაქტატის დადების და ხელშეკრულების დროს აღიარა იმის ნატვრაც, რომ სანატრელი არის, რომ რუსეთის დახმარებით შემოერთებულ იქმნეს საქრისტიანო საქართველოსთან, ოსმალთაგან მოტაცებული საქართველოს ის ადგილები, რომელიც ოსმალეთს უკავია დღემდეო.

ამიტომაც იყო, რომ რუსეთის მთავრობა ასე თუ ისე ეტრფოდა ოსმალეთის საქართველოს შემოერთებას საქრისტიანო საქართველოსთან. სწორედ ეს გარემოება იყო იმის მიზეზად, რომ 1870 წლებში, რუსეთის მთავრობამ დანიშნა გენერალური შტაბის წევრი სამხედრო ინჟინერი, გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზიბეგი.

ეს დანიშვნა მაშინ მთავრობისაგან ადვილი საქმე იყო და მისი შესრულება და მოგზაურობა კი ერთობ ძნელი და მოუხერხებელი, ვინაიდან ოსმალეთის მთავრობა ამგვარ საქმეებს ძრიელ გაფაცვიცვებით ადევნებდა თვალ-ყურს და რუსთაგან იქით არავის აჭაჭანებდა სამოგზაუროდ.

მთელს მეცხრამეტე საუკუნეში, გიორგი ყაზიბეგის მოგზაურობა იყო პირველი მაგალითი. მთელს საუკუნეში, ოსმალეთის საქართველო-

ში ქართველთაგან არავის ემგზავრა, ერთი მაგალითი იყო, რომ 1865 წ. იმოგზაურა იმ დროის „ცისკრის“ რედაქტორმა ივანე კერესელიძემ, ამანაც იმგზავრა მხოლოდ სხალტის ხეობამდის და მის მერე ისევ უკან დაბრუნდა, ამან ვერასფერი ანუ სხა ოსმალთა შიშით.

ასეთი ძნელი საქმე იყო ოსმალეთის საქართველოში მოგზაურობა და ეს სიძნელე ოსმალეთის მთავრობას შერჩა კარგა ხანს, თვითონ იმ დროსაც კი, როცა ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძემ განიზრახა მგზავრობა და რომელსაც რუსეთის მთავრობისაგან ამის დიდი ნებართვაც კი ჰქონდა მიცემული, თვით ესეც კი დააპატიმრა 12 დღით ბათუმის ფაშამ და არ გაუშვა სამგზავროდ აჭარაში.

ამიტომაც იყო, რომ გიორგი ნიკოლოზის ძეს მოგზაურობის ერთობ დიდი შიში ჰქონდა, მაგრამ ამ შიშს საქართველოს ერის სიყვარულმა დასძლია, მან გადასწყვიტა უსათუოდ მთავრობის დავალების შესრულება და ოსმალეთის საქართველოში მგზავრობა. ამისათვის იმეცადინა მან და აირა ოსტატობა მოახერხა, რომ მით თავის წადილი შეესრულებინა და ვნებით კი არაფერი მომხდარიყო-რა.

მთელს სამუსლიმანო საქართველოში კარგათ ცნობილი გახლდათ ყოვლად პატივცემული და უპატიოსნესი გრიგოლ დავითის ძე გურიელი. ამ პირს ქობულეთის და აჭარის ბეგებთან ნათესავობაც ჰქონდა, თვით იგი ქობულეთის ქართველ მაჰმადიანებში იყო გაზრდილი.

ქართველ მაჰმადიანებს გრიგოლ გურიელი ისე უყვარდათ, რომ ყველანი მათში ამ პირს ბატონიშვილს უწოდებდნენ და არა გრიგოლ გურიელს. ამ პატივისცემას მათში იწვევდა ის გარემოება, რომ გრიგოლ გურიელი იყო რუსის გენერალი, მასთან იგი იყო დიდი ხმა და გავლენის მექონი და ყოველივე ამაებთან, იგი იყო დიდი დამხმარე და ქომაგი ქართველ მაჰმადიანებისა; ეს პატიოსანი პირი ეხმარებოდა მათ ყოველ ნაირის მხრით; ამიტომაც, როცა ეს კაცი ჩავიდოდა მათში, მას დიდის პატივისცემით ეგებებოდნენ ქართველი მაჰმადიანები.

ამ გარემოებით ისარგებლა გიორგი ყაზიბეგმა. მთავრობასთან საქმე მოაწყო ასე, რომ გრიგოლ გურიელმა იმგზავრა მთელს სამუსლიმანო საქართველოში, ამას თან გაჰყვა მთელი გუნდი მოსამსახურე კაცების, რომელთაც ყველას ჩაქურათ ეცვა ტანსაცმელი და იგინივე იყვნენ მაჭახლურის იარაღით შემოსილები. აი, ამ პირებში ერია გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზიბეგიც.

გიორგი ყაზიბეგიც იყო ჩაქურათ გამონყობილი და მაჭახლურს იარაღში ჩასმული. ერთი სიტყვით, ეს იყო ისე მონყობილი და მონესრი-

გებულები, რომ ვითომც ესეც მოსამსახურე გახლდათ გრიგოლ გურიელისა.

ასე რომ, ეს პირი ოსმალს უნდა ეცნა როგორც გრიგოლ გურიელის მოსამსახურე და არა გენერალური შტაბის ინჟინერი გენერალი.

ეს მოხერხება მართლაც ჭკვიანური გამოდგა და გრიგოლ გურიელის მოგზაურობაში გიორგი ყაზიბეგიც თავისუფლად მოგზაურობდა. მასზედ ეჭვს ვერავინ იღებდა, თუ იგი იყო გენერალი და არა გრ.გურიელის მსახური. გ.ყაზიბეგი ასე იყო გამოწყობილი, იგი გრ.გურიელს კი არ ემსახურებოდა, არამედ თავის საქმეს აკეთებდა და ცნობებს ჰკრეფდა სამუსლიმანო საქართველოს შესახებ.

ამ გვარად, გენერალ გურიელმა გაიარა თავისუფლად მთელი ქობულეთი, აქ მათ დიდს პატივს აძლევდნენ ქობულეთის ბეგები და ხალხი. აქედან ესენი გადავიდნენ ბათუმში, აქაც მათ ბათუმის ოსმალთა მთავრობამ დიდი პატივისცემა მისცა, აქ ესენი დარჩნენ რამდენსამე დღეს და აქ არავის შეუტევია და არც შეუმჩნევია ის გარემოება, თუ გრიგოლ გურიელის მსახურთ შორის ერია ერთი რუსის გენერალი ინჟინერი გიორგი ყაზიბეგი.

საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ ეს გარემოება არც თვით გრიგოლ გურიელის მსახურებმა იცოდნენ, თუ მათში ერთი ისეთი ახალი მოსამსახურეც ერია, რომელიც იყო გენერალი ინჟინერი და არა უბრალო მსახური. მაინც გიორგი ყაზიბეგსაც ძლიერ ოსტატურად ეჭირა თურმე თავი; ისე, რომ მას ვერავინ რას შეატყობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ესენი ბათუმიდან გაემგზავრნენ აჭარას, ამ მგზავრობას გიორგი ყაზიბეგი თურმე გულის ფანცქალით ელოდა. ეხლა მოვიყვანთ აქ ცნობებს თვით გიორგი ყაზიბეგის ნაწერიებიდან, რომლითაც მაშინ იგი თურმე აღებული ყოფილა. იგი აღვსილი იყო დიდის დარდით. თუმცა იგი რუსის გენერალი გახლდათ, მაინც ვითარცა კარგი ქართველი მას აშინებდა შემდეგი გარემოებაც.

ის ნაღვლით იყო სავსე სამუსლიმანო საქართველოს უმწეო მდგომარეობაზედ და ნამეტურ იმაზედაც კი უფრო, რომ ისეთი კუთხე, როგორც იყო მთელი სამუსლიმანო საქართველო, რომ იქ ქართული ენა ქართველ მაჰმადიანებში დიდათ იგმოზოდა, ამ გმოზას ოსმალს მთავრობაც რასაკვირველია ხელს დიდად უწყობდა და ამით საქმემ იქამდის მიაღწია, რომ ქართული ენა ამოვარდა და დაავიწყდათ ქართველ მაჰმადიანებს ყარსის თემში, არტანის, ოლთის და სხვაც ბევრ ასეთ ადგილთა თემებში.

დაღონებული იყო მით უფრო, რომ თუ სამუსლიმანო საქართველო ოსმალთს ხელში ისე დაშთებოდა, მაშინ ქართული ენა იმ კუთხის ქართველ მაჰმადიანებშიაც ამოვარდებოდა, სადაც იგი იმ დღემდის კიდევ მკვიდრად იყო დაცული, ესეთი კუთხეები გახლდათ აჭარა, ზეგანი, მაჭახელი, ლიგანის ხევი, მურღულის ხევი, ნახევარი შავშეთი და ქობულეთი და ზოგიც სხვა ჩვენთვის უცნობ ადგილებში, სადაც ქართული ენა კიდევ არ იყო ქართველ მაჰმადიანთაგან დავინწყებული.

ამ გვარათ, ამ ოქროს კუთხეში, შესაძლებელი გახდებოდა, რომ ქართული ენა მოსპობილიყოს და მით გათავდებოდა იქ ქართული ენის ხსენება. მაინც ისიც ითქმის, რომ ესეთი დარდი მარტოთ გიორგი ყაზიბეგის საკუთრება არ გახლდათ, ესევე გარემოება დიდათ აღონებდა ყველა ქართველის გულს და ამ უბედურებას ნაღველა ყველა ქართველს აწვა გულზედ ვაებათ. ყველა ქართველს ეს გარემოება აწუხებდა და ადარდებდა, ვინაიდან საქმე ისე იყო ოსმალთაგან დაყენებული, რომ თვით ქართველ მაჰმადიანებს კი ამის შეგნება და გაგება სულ არ ჰქონდათ.

ყველა ქართველი ოხვრით იტყოდა ხოლმე და ჰგოდებდა მასზედ მწარედ, რომ სამცხე-საათაბაგოში, ოსმალთა დესპოტიზმით დაემხო ქართველი ტომი, დაემხო ქართული ენა, ამის ხსოვნა მოისპო ქართველთ შორის და ასე და ამგვარად მოისპო და გაჰქრა ნახევარ საქართველოზედ მეტით. ეს დარდი იყო ყველა ქართველისა და ამითვე იყო აღვსილი გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზიბეგიც. ეხლა აქ მოვიყვანთ ისეთ სიტყვებს ამ ვაების შესახებ, რაც თვით გიორგი ყაზიბეგის ბაგესა და კალამს ეკუთვნის.

აჭარაში მიმავალთ გრიგოლ გურიელთან მყოფს გიორგი ყაზიბეგს გულში უფეთქავდა თურმე ასეთი ფიქრები:

ახ, ღმერთო, ერთი დროით მივიდეთ აჭარაში და ჩემის თვალით ვნახო, რომ მართლა აჭარაშიაც მოსპობილა ქართული ენა, თუ დღემდე შენახულა იგი მათ შორის. პატივცემული გენერალი ამასაც მალე მოესწრო და აჭარაშიაც მალე მიადწიეს, ეხლა აქ ისევ მისავე სიტყვებს მოვიყვანთ, რომ ვინმე ჩვენ სიმტყუნესა და გაზვიადებაში არ ჩამოგვართვან. ამ სტრიქონებს იგი სწერს თავის მოგზაურობაში, სახელდობრ „სამი თვე ოსმალეთის საქართველოში“, რუსულს ენაზედ დაბეჭდილი 1873 წ. თფ. ესევე მოგზაურობა პეტრე უმიკაშვილმა მაშინათვე ქართულს ენაზე სთარგმნა და იგი დაბეჭდილი იქმნა 1877 წლის გაზ. „ივერიის“ ნომრებში.

სწერს ერთ ალაგას გ.ყაზიბეგი:

ჩვენ მივახლოვდით აჭარის საზღვრებს, მე ეს მიახლოება გულს



დარდით მივსებას და მალონებს, აგერ შევედით აჭარაში, მიუახლოვდით აჭარის საზღვრებს და მალე აჭარის მიწაზედაც გადავედით, შორი-ახლოდამ, ერთს მინდორზე აჭარელი ხალხი გამოსჩნდა, ამით ბევრს გულს ნალველა უფრო მოემატა, თუ როდის მივახლოვდებოდით ამ ხალხს და გავიგებ მათგან, ჩემის ყურით ვისმენ, თუ მათში ქართული ენა კიდევ სცოცხლობს თუ არა?

აგერ მალე ამათ ამ აჭარელ ხალხსაც მიაღწიეს, შორიდან შეატყო გ.ყაზიბეგმა, რომ ეს ხალხი თურმე აჭარელი მწყემსი ბიჭები იყვნენ, ცოტა ხანს შემდეგ გულის ფანცქალით ამ აჭარელს ბიჭებს მიუახლოვდნენ, მაგრამ არასფერი, გ.ყაზიბეგს გულის დარდი შეეცვალა. თვალთ წინ სასიხარულო სურათი გადაეშალა, ვინაიდან შორიდან მისმა ყურებმა შორიდან მკაფიოთ შეიტყო, რომ აჭარელი მწყემსი ბიჭები ერთმანეთში ქართულის ენით ჩხუბობდნენ თურმე.

ეს გარემოება და ქართული ენის სმენა გ.ყაზიბეგს მოჩვენება ეგონა, მაგრამ მალე მიუახლოვდნენ იმ მწყემს აჭარლებს და ცხადათ დარწმუნდნენ მასზედ, რომ ეს მოჩვენება კი არ იყო, არამედ ნამდვილი ამბავი. ამ ამბავისაგან გარკვეული გ.ყაზიბეგი ღმერთს მადლობას სწირავს და სიხარულს ეძლევა, მალე უახლოვდება აჭარელ მწყემსებს და ქართულათ ლაპარაკს უწყებს, აჭარელი მწყემსებიც გ.ყაზიბეგს ქართულის ენითვე აძლევენ პასუხს. ამით გ.ყაზიბეგი კმაყოფილდება და ახლა კი მას საიმედო ნიშნები ეხატება თვალთ წინ და მცირე ხანს შემდეგ იგი ასეთ ფიქრებს ეძლევა.

არა, არა, აჭარაში ქართული ენა არ მომკვდარა, არ მომკვდარა, მადლობა ღმერთს, რომ ამას არ მოვესწარი, რაკი აჭარაში ქართული ენა სუფევს, მამ იმედს არ დავკარგავთ, აჭარის მაგალითი დიდებული საქმეა ჩვენთვის. აჭარის მიბაძვით შეიძლება, რომ მთელს სამუსლიმანო საქართველოში ქართული ენა აღსდგეს, იგი გავრცელდეს ქართველ მაჰმადიანთა შორის და ბოლოს მათ შეიგნონ ისიც, რომ იგინი შთამომავლობით არიან ქართველების, მათი დედა ენა არის ქართული ენა და მათი სამშობლოც საქართველოა და არა ოსმალეთი, ანუ თურქეთი და იგინიც თურქები არ არიან, არც მათი ენა გახლავთ თურქული.

ასეთ ფიქრებმა გაიტაცეს გ.ყაზიბეგი და იმან თავის სასიხარულო შთაბეჭდილება და ფიქრები გენერალ გ.გურიელსაც განუზიარა სიხარულით. გ.გურიელიც დაეთანხმა მასზედ, რომ აჭარაში ქართული ენა ისე არის შენახული, რომ მისი მაგალითით ეს ენა გავრცელდება სხვა კუთხის იმ ქართველ მაჰმადიანებშიაც, სადაც კი ეს ენა დღეს უკვე

დაკარგული აქვთო. ასეთის საიმედო ფიქრებით ამათ განვლეს ქვედა აჭარის ნახევარი გზა და მივიდნენ დაბა ქედაში.

აქ ამათ დიდის პატივით დახვდნენ აჭარელი ბეგები, გაუმასპინძლდნენ, რამდენიმე დღე დაშთენ, დაისვენეს და მერე აქედამ გაუდგნენ ზედა აჭარის გზას, ანუ ზეგანს. ქვედა აჭარაში გ.ყაზიბეგმა თავის საგნის შესახებ ძვირფასი მასალები შეკრიბა, რასაც მისი წიგნებიც გვიჩვენებს, როგორც „სამი თვე ოსმალეთის საქართველოში“, ისევე მისი ვრცელი შრომა „ლაზისტანის სანჯაყი“, რუსულსავე ენაზე დაბეჭდილი 1878 წ. და ბევრიც კიდევ სხვა არის ასეთი წერილები.

ქვედა აჭარიდამ ესენი გაემგზავრნენ ზეგანს, აქ ესენი ჩამოხტნენ ხულოს ახლოს, სხალტის მემომართან, ხოჯა ლომან ეფენდის ბერიძის სახლში. ამ ოჯახში ესენი დაშთნენ რამდენსამე დღეს და აქაც მიიღეს მათგან დიდი პატივისცემა. 1892 წ. მეც ვიყავი ამ ოჯახში ჩამომხტარი და ამ ოჯახის ნევრმა ხოჯა ნური ეფენდი ბერიძემ აი, რა ცნობები გადმომცა გრიგ.გურიელის და გ.ყაზიბეგის შესახებ, ეს ცნობები მე მომყავს აქ შემოკლებით.

გ.ყაზიბეგს ჩვენს ოჯახშიო, ძრიელს ოსტატურად ეჭირა თავი, იგი გრიგოლ გურიელის მოსახსენებელში ერია, მაგრამ მათი ამხანაგი კი არ იყო, ლაპარაკიდანაც ეტყობოდა, რომ ეს კაცი გონიერი კაცი იყო და მასთანვე კარგათ შეგნებული საქართველოს ისტორიაში და თვით ჩვენი ისტორიაც კარგათ იცოდა მან. ჩვენსას სამ დღე და ღამეს დარჩნენ, კარგათ დაისვენეს, პატივი ვეცით და მეოთხე დღეს გაემგზავრნენ, აქედამ მათ გადაუვლიათ მირაცის ხეობა და აქედან მერე გადასულან შავშეთში. ნური ეფენდი ბერიძემ მიაბზო ასე: — „გიორგი ყაზიბეგმა ჩვენს სახლში, ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ ჩვენი ძველები მთელი თვის განმავლობაში სულ ყაზიბეგის შესახებ ლაპარაკობდნენ და იგონებდნენ მისგან ნაამბობს ისტორიულს ცნობებს, ცნობებიც სულ საქართველოს შეეხებოდა თურმე.

რამდენიმე დღის შემდეგ, ესენი გადავიდნენ შავშეთში, მიმოვლეს ბევრი სოფლები, ნახეს სხვადასხვა ძველი ქართული ნაშთები და მის მერე ესენი გადავიდნენ ტბეთს, სადაც ამ ძველი ტაძრის ახლოს სოფელში სცხოვრობდა მაშინ ამ შავშეთის უფროსი გამგე ბეგი ხიმშიაშვილი, ბერივ ბეგის შვილი. ამ ბეგმაც ეს სტუმრები დიდის პატივისცემით მიიღო.

აქ ესენი დარჩნენ რამდენსამე დღეს და ამ ხნის განმავლობაში შერიფ ბეგმაც მათ გადაუხადა დიდი პატივისცემა და თავაზი. ცოტა არ იყოს, აქ თურმე გიორგი ყაზიბეგს შერიფ ბეგმა ეჭვი აართვა, რომ ეს კაცი არ უნდა იყოს უბრალო კაციო და ამის მოქმედებაში რაღაც საიდუმლოება

უნდა იფარებოდესო. ერთ ღამეს შერიფ ბეგმა თურმე უყარაულა და როცა ყველამ დაიძინეს, მას შემდეგ ყაზიბეგი ლოგინიდან ადგა, გაშალა რალაც ქალღდეები და წერა და ხაზვა დაუნყო. მეორე დღესაც გ.ყაზიბეგი თურმე ფეხსალაგში შევიდა და იქა სწერდა თურმე, რისი ეჭვიც შერიფ ბეგმაც აიღო, რადგანაც იქ ყაზიბეგი ერთობ დიდ ხანს დარჩა.

ამის შემდეგ, შერიფ ბეგი ძლიერ შეშინდა მასზედ, რომ ამ სტუმრების მიღება ოსმალს მთავრობამ არ შემიტყოსო. ამიტომ შეშინებულმა ბეგმა გრიგოლ გურიელს ასეთის სიტყვებით მიმართა:

„— ბატონო, ძია გრიგოლ, მე ვატყობ, რომ ეს თქვენი მსახური გიორგი არ არის თქვენი მსახური და არც უბრალო კაცი, იგი მართალია თქვენი პატივის მცემელია და თქვენს სამსახურსაც ასრულებს, მაგრამ იგი სხვა კაცი უნდა გახლდესო.“

მიამბეს მნახველ კაცებმა, რომ გრიგოლ გურიელი შერიფ ბეგს გამოუცდია თურმე გულწრფელათ და აუნყა გ.ყაზიბეგის ცნობა და საგანიც და მიზანიც მისი მგზავრობის. ამ ამბავმა ბეგი დიდათ გააოცეს და მან მაშინათვე ასე მიმართა გრიგოლ გურიელს:

„— ბატონო და ძია გრიგოლ, მაშასადამე მე დღეს ჩვენ ყველაფერს თქვენს პატივის ცემას გავამზადებთ და ხვალ დილით ადრე თქვენ ადრევე წაბრძანდით აქედან, რომ თქვენს აქ ყოფნას ცუდი შედეგი არ მოჰყვეს, თორემ ხომ მოგეხსენებათ ოსმალებმა რომ შეგიტყონ, რაც ბეგ პაპას უყვეს ახმედ ფაშას და მის მამა სულიმ ფაშა ხიმშიაშვილს იმათზედ უარეს მე მიზამენ, თავს მომჭრიან და სახლ კარსაც ამოხრებენ. რომ ეს არ მოხდეს, ამიტომ საჭირო არის, რომ ხვალ დილით თქვენ ადრიან წაბრძანდეთ აქედამ. თუმცა, ბატონო ძია გრიგოლ, ეს გარემოება ჩემთვის ერთობ მძიმეა და არ მოსანონი, მაგრამ რას ვიზამ, რომ ჩვენც და თქვენც ცუდი არაფერი მოგივილინოთ.“

გრიგოლ გურიელმა ამაზე მადლობა უთხრა და თან დაავალა ასე:

„— ჩემო ნათესავო და გულშემატკივარო ბეგო, ჩვენ თქვენს წინადადებას დიდის პატივის ცემით შევასრულებთ, ხვალ დილით ადრე წავალთ, მხოლოთ დაგავალებთ, რომ თქვენ არავისთან რა გრჯოდესთ და არავის არასფერი უთხრათ, არ შეატყობინოთ რამე ცნობა.“

მან ფიცით პირობა მისცა, რომ ამას ჩვენგან ვერავინ შეიტყობსო. ამაზე გრიგოლ გურიელმა მადლობა უთხრა და მას შემდეგ სამგზავრო სამზადისსაც შეუდგნენ. მეორე დღეს, ესენი ადრე ადგნენ, ბეგმა დილას სამხარი მიართვა და მას შემდეგ იგინი გაემგზავრნენ შავშეთიდან წიფთის ციხისკენ.

ასე გადმომცეს ამ ძვირფასი ისტორიული მგზავრობის შესახებ იქ დამსწრე პირებმა. როგორც ვიცით, შავშეთიდან ამათ გავლეს ოლთის თემი და იქიდან მის მერე გადავიდნენ ლაზისტანში. ლაზისტანში მათ დაჰყვეს თითქმის მთელი ერთი თვე და აქ გიორგი ყაზიბეგმა ისე გაიმარჯვა, ისეთი ძვირფასი ცნობები შეკრიბა ლაზების ძველი და ახალი ცხოვრების შესახებ, რაის საშუალებითაც მან დასწერა ვრცელი ტომი რუსულს ენაზედ, სახელდობრ „ლაზისტანის აღწერა“, ანუ „ლაზისტანის სანჯაყი“, რაც იმავ დროს, თფილისში ცალკე წიგნაკიც გამოიცა.

ლაზისტანის შემდეგ გ.ყაზიბეგმა მიმოვლო სხვა ადგილებიდან სამუსლიმანო საქართველოსი და ამ გვართ მან გრიგოლ გურიელთან ერთად მთელი სამი თვის განმავლობაში მიმოვლო ოსმალეთის საქართველო და ყველა ეს ადგილებიც ანუსხა თავის მოგზაურობის წიგნში „სამი თვე ოსმალეთის საქართველოში“. ეს რუსული წიგნი ქართველმა საზოგადოებამ დიდის პატივისცემით მიიღო.

ამ წიგნის საშუალებით გაიცნა ქართველმა ერმა სამუსლიმანო საქართველოს ადგილები და მასში მცხოვრებ ნახევარ საქართველოს ხალხის ყოფა-ცხოვრება და ის სამწუხარო ცნობებიც, თუ მათში სად იყო დაკარგული ქართული ენა და სად კი დაცული და შენახული. ამ წიგნს ქართველებში იმოდენი მკითხველი გაუჩნდა, რომ მალე იგი ქართულათაც სთარგმნა პეტრე უმიკაშვილმა და 1877 წ. გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა.

გ.ყაზიბეგი რომ დიდათ გულშემატკივარი პირი იყო ქართულ მაჰმადიანთ ცხოვრებაზე, ესა სჩანს თვით მის ნაწერიდანაც, ვინაიდან იგი მათს ავკარგიანობას, მათს ცხოვრების პირობებს ისე კარგად გაეცნა, რომ იგი ყოვლათ შეუძლებელია სამი თვის განმავლობაში გაიცნოს კაცმა.

ასე კარგათ მათს გაცნობას უნდა სამი წელიწადი და მეტიც და არა სამი თვე. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მან თავის მოგზაურობის დროს, ქართველ მაჰმადიანებზე ისეთს შთაბეჭდილებას ახდენდა, რაც მათ კარგათ ახსოვდათ თვით იმ დროსაც კი, როცა მე ვმოგზაურობდი მათში.

მაგალითებრ, გიორგი ყაზიბეგის მგზავრობის შემდეგ გასული იყო უკვე 23 წელიწადი და ყაზიბეგის შესახებ ცნობილი მაინც კიდევ ისე კარგათ ახსოვდათ ბევრი, რომ ისინი დიდის აღტაცებით ლაპარაკობენ გიორგი ყაზიბეგის მოგზაურობისა და მის ნალაპარაკეზე.

დასასრულ მოვიყვანთ კიდევ შემდეგს, რაც გ.ყაზიბეგის ღირსებას დიდათ ანათლებს. რუსეთის გენერლების ისტორიაში, უკანასკნელ

დროს, გ.ყაზიბეგი გახლდათ პორტარტურის დამცველად და როცა პორტარტურს რუსის სოციალისტი რევოლუციონერები ესროდნენ, მაშინ გიორგი ყაზიბეგმა მათ სროლით არ გასცა პასუხი, რაც დიდათ საყურადღებო იყო მაშინ და სამაგალითო. ამის გამო, როცა გ.ყაზიბეგი ნიკოლოზ მეორემ ნახა, და ამას უამბო გ.ყაზიბეგმა სროლით პასუხის არ მიცემის პირობები, ნიკოლოზი დააკვირდა და მაინც უთხრა ასეთი შენიშვნა:

„– გენერალო, მაინც შენ უნდა გესროლა მათთვის და პასუხი სროლით უნდა გაგეცაო.“

ამის შემდეგ გ.ყაზიბეგი, უკვე მოხუცებაში შესული, რუსეთის მთავრობამ საყვედურის მიცემით სამსახურიდან დაითხოვეს, ამის შემდეგ, იგი სამშობლოში დაბრუნდა და ტფილისში ჩამოვიდა. ჩვენ ვნახეთ იგი და მან ბევრი ილაპარაკა ოსმალეთის საქართველოს და ქართველ მაჰმადიანთა შესახებ. მე დიდი მადლობა მითხრა, რომ ქართველ მაჰმადიანებს ყურადღება მიაქციე და მათ შესახებ წერა დაიწყეო.

მეც ჩემი მგზავრობის ამბები უამბე. იგი სიამოვნებით ისმენდა ჩემს ცნობებს ჩემი დაბეჭდილი წიგნებისაგან. იგი აღტაცებული იყო იმავე დროს, მან მაყიდინა ყველა ქართული წიგნების თითო ცალი და ყაზიბეგის ბიბლიოთეკას შესწირა უფასოთ. ამ დროს, მანვე სთქვა შემდეგი სიტყვა ჩემს საპასუხოთ:

„ქართველ მაჰმადიანების გათვითცნობიერება დიდი საქმეა, ამით საქართველოს ნახევარი საქართველო მოემატება, მართალია მათში ბევრს ალაგას ქართული ენა დაკარგული აქვთ და მის ნაცვლად იგინი ოსმალურად ლაპარაკობენ, მაგრამ ამის შიში არა აქვს. იგინი ქართულს ენას უსათუოდ შეისწავლიან მიუხედავად იმისა, რომ იგინი ისლამის ფანატიკები არიან და ქართველობაც სძულთ.“

მაგრამ რაც შეეხება თვით კი მაინც არ მაღავენ, რომ იგინი მაინც ქართველები არიან, ყველას ეუბნებიან თამამად, რომ ჩვენ ქართველები ვართ. ამიტომ მე იმედი მაქვს, რომ იგინი ბოლოს ქართულის ენას შეისწავლიან, თუ ჩვენც ამისათვის მათზედ ზრუნვა გვექნება“. ამან მე დიდათ დამამიედა.

ბოლოს, საქართველოს ყოფილ მთავრობას კონსტანტინეპოლში გაჰყვა და ეს ყოვლად პატიოსანი კაცი, საქართველოს ერისა და მნიგნობრობის მოყვარე კონსტანტინეპოლში გარდაიცვალა და იქვეა დასაფლავებული.



XIX ს. 70-იან წლებში მძაფრად დაისვა დედასამშობლოსთან აჭარის შემოერთების საკითხი. აჭარის ბედზე გამუდმებით ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე), გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი... შერიფ ხიმშიაშვილი, გულო კაიკაციშვილი. მათთან ერთად, ამ საკითხში, დიდი წვლილი შეიტანა გრიგოლ გურიელმა. იგი მუდმივ კონტაქტში იყო იქაურ ქართველებთან, უგზავნიდა მათ ქართულ პრესას და წიგნებს. 1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის წინ, პოლკოვნიკი გრ.გურიელი საკორდონო ჯარების უფროსი იყო. აჭარის შემოერთების შემდეგ იგი ბათუმის ოკრუგის უფროსად დაინიშნა (1880 წ. 13 აპრილამდე). როგორც ზაქარია ჭიჭინაძე აღნიშნავს, თავადი გრიგოლ დავითის ძე გურიელი იყო

**„მარჯვენა მკლავი  
ქართველ მაჰმადიანთა.“**

ზაქარია ჭიჭინაძე:

## თავად გრიგოლ დავითის ძე გურიელის ნაამბობი

„რუსეთ-თურქეთის<sup>1</sup> ომის დაწყებამდის, ქართველ მაჰმადიანთ წინა-შე საიდუმლოდ მოლაპარაკება იყო გამართული, აცნობეს მათ, რომ რუსეთის იმპერატორს გადაწყვეტილი აქვს, რომ ეს კუთხე რაც უნდა ძვირად დაუჯდეს და ბევრი სისხლი დაღვაროს, მაინც ეს ადგილები უსათუოდ აღებულ უნდა იქნეს და საქართველოსთან შეერთებულიო. ამიტომ უმჯობესი იქნება, რომ თქვენ უბრალოდ სისხლი არ დაღვაროთო, ან ჩვენს ჯარს კლდე-ღრეებში არ ჩაუსაფრდეთ და არა ხოცოთო. თუ სურვილი გექნებათ, მაშინ ცხადათ გამოდით და ომში მიიღეთ მონაწილეობავო. ხოლო ჩვენთვის უცხო ვინაობებში ქურდულათ ჩასაფრება და თოფის სროლა კი არ იყოსო. ასეთ წინადადების მოლაპარაკებლად ჩვენის მხრიდან იყო დანიშნული გენერალი თავადი გრიგოლ დავითის ძე გურიელი, მიხეილ ალექსანდრეს ძე მეფისაშვილი, ახალციხელი, ორივე გამოჩენილი პირნი მთელს ოსმალეთ საქართველოში, ერთი გურიის მთავრის შთამომავალი, მონათესავე აჭარის და ქობულეთის ბეგების ხიმშიაანთი და თავდგირიძეების და მეორე ახალციხელი, ქართველი კათოლიკე, რომელსაც მეტად დიდი გავლენა ჰქონდა მთელს ოსმალის საქართველოს ხალხზედ, მთელს ამ კუთხეს და ხალხს იგი ისე იცნობდა, როგორც თავის ხელის გულს.

ვიდრე რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყებოდა, მის რამდენიმე წლის წინეთ, ოსმალურ საქართველოში იმოგზაურა რუსეთის გენერალურ შტაბის მოხელე გენერალ გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზიბეგმა. აჭარაში ამის მგზავრობის შესახებ მიაბეს შემდეგი ცნობები, რომელიც მომყავს აქ. გიორგი ყაზიბეგს ტანზედ ჩაქური ტანთსაცმელი ეცვა და ისე მგზავრობდა, უმთავრესად კი აქ მგზავრობდა გენერალი გრიგოლ გურიელი, რომელსაც მთელი ქართველთ მაჰმადიანობა კარგად იცნობდა და ყველა მათგანი მას ბატონიშვილს უწოდებდა. გიორგი ყაზიბეგი გრიგოლ გურიელის მოსამსახურეთა შორის ირიცხებოდა თურმე და არა რუსეთის მოხელეთ. ამათ მიმოვლეს მთელი ოსმალის საქართველო. გიორგი ყაზიბეგმა შეადგინა თავისი მოგზაურობა, რომელიც მალე რუსულს ენაზედ ცალკე

1. იბეჭდება შემოკლებით.

ნიგნად დაიბეჭდა და მასთან მეორე ნიგნი „ლაზისტანის სანჯაყი“. ორივე საინტერესო ნიგნები და ჩვენი ტომისთვის გამოსადგენი.

გიორგი ყაზიბეგის შრომა ამ მხრით რუსეთის მთავრობისათვის გზა და ხიდი გახდა ომის დროს, მათ სწორედ ამ აღწერით და პლანებითაც იარეს, გიორგი ყაზიბეგის შემდეგ, აჭარაში იმგზავრა დიმიტრი ბაქრაძემ და ამანაც ასწერა იგი ისტორიულად და ეტნოგრაფიულად, რაც ცხადი საქმეა ესეც გამოადგებოდათ რუსეთის მხედრობის მეთაურთ გზების საცოდნელადა.

...შერიფ ბეგ და სხვა ბეგებთანაც მე და მიხეილ მეფისოვს მოლაპარაკება გვქონდა და საქმე ისე ხერხდებოდა, რომ მთელი აჭარა რუსის მხედრობას უომრად უნდა ჩაბარებოდა. საქმე ასე მოვანყეთ აჭარის შესახებ. საქმე ქობულეთი იყო, ქობულეთის ბეგებიც თანახმანი იყვნენ ამისი, ხოლო წინააღმდეგი იყო ალი ფაშა თავდგირიძე და მისი ძმა ოსმან ფაშა. ესენი არა შვრებოდნენ, ამბობდნენ, რომ არ ჩავბარდებითო. მე უთხარ ალი ფაშას, რომ რაც გინდ რუსეთს ძვირად დაუჯდეს მაინც ამ კუთხის ალება გადანყვეტილი აქვსთ, ამიტომ თქვენ უბრალოდ დაღვრით სისხლს, ამით არაფერი გამოვათქო. იგი მაინც უარზედ იდგა. მე ვუთხარი, რომ რუსები ფაშობის მაგიერ გენერლობას მოგცემენ, მასთან კარგს პენსიას და სხვა მეტი რა გინდა, თუ არა გსურს ეს, მაშინ ჩუმად ტყვეებიდან და მიუდგომელის ადგილებში ჩასაფრებას თავი გაანებეთ, ჯარს ნუ ესვრით, აშკარად გამოდით და ომში მონაწილეობა მიიღეთთქო.

ასე ვაწყნარებდი მას, ამისთვის მას 600 მან. ვასესხე, მერე 400 მან. მივეცი, შემდეგ ამ ფულში მან თავის ქობულეთის სიმინდის თავლა მომცა, თუმცა მე ამას არა ვსთხოვდი. საქმე მოწყობილი იყო და ხერხდებოდა ისიც, რომ აჭარლებთან ერთად არც ქობულეთელნი და ჩაქველნი გადგებოდნენ შორს, ესენიც უომრად უნდა ჩაბარებოდნენ რუსის მთავრობას, რადგანაც მათ იცოდნენ რუსეთის მთავრობის აზრი, რომ რაც უნდა დამართოდათ ამ ომით მაინც იგინი ამ ადგილებს უსათუოდ აიღებდნენ. ეს იცოდნენ მათ და ამიტომ იმედიც იყო, რომ იგინი ჩვენ წინააღმდეგობას არ გაგვიწვედნენ.

ამ მოლაპარაკებით გრიგოლ გურიელმა თითქმის ყველა ქართველ ბეგებს მიმართა და აუწყა მათ საქმის ვითარება და ყველას იმას ურჩევდა, რომ მშვიდობით და უსისხლოდ ჩაბარებოდა რუსეთის მთავრობას, ამისთვის იგი მათ საჩუქარსაც აძლევდა.

მალე ომიც დაიწყეს ახალქალაქის საზღვრის გადასწვრივიდგან, ომში რუსთა გამარჯვება იწყეს, ამათ საქმე ისე კარგად წაუვიდათ, რომ



ჩილდირას ხეობიდან წასულთ მალე დაიჭირეს არტაანი (არდაგანი). ეს პირველი ნაბიჯი იყო რუსის მხედრობის ოსმალს საქართველოში. ამის შემდეგ რუსებმა ყარსიც მალე აიღეს და მის მერე აზრუმიც დაიჭირეს, შიგ რუსეთის ჯარი დაბინავდა, ხოლო ვერ აიღეს ბათუმი, ქობულეთი და სხვა ადგილები, იქნება აქ ომიც არ მომხდარიყო და ყოველივე ეს უომრად, უსისხლოდ აეღოთ. 1877 წლის ომიანობა რუსთა სასარგებლოდ იყო ოსმალეთის საქართველოში, თუმცა ეს ომიანობა რუსეთს ერთობ ძვირათაც დაუჯდა, აუღებელი დარჩა მხოლოდ ბათუმი, ქობულეთი და მის მიდამოები. ამ დროს 1877 წ. შემოდგომა იყო, რუსეთის მხედრობა ოზურგეთის მხრით ნელ-ნელა გაემართა ოსმალს საზღვარზედ, მალე ესენი სოფ. ლელვაში შევიდნენ, აქ დაიბანაკეს. აქ დარჩნენ რამდენიმე ხანს, ხმა, კრინტი ამათ არავინ გასცა. ერთ დღეს სოფელ ლელვის გზაზედ ერთი ქართველ მაჰმადიანთ ბავშვი მიდიოდა, ამას ვილაც ბრიყვმა სალდათმა თოფი ესროლა და იქვე მოკლა.

ამ გარემოებამ თავზარ დასაცემი გავლენა იქონია იმ პირებზედ, რომელთაც მოლაპარაკება ჰქონდათ ქართველ მაჰმადიანებთან მასზედ, რომ მათ რუსეთის მხედრობის წინააღმდეგ ხელში მახვილი არ აეღოთ. ამ პატარა ბავშვის მოკვლით კი მთელი ქართველ მაჰმადიანობა აიშალა, ამის მიზეზით ომი დაიწყო. ამას კი არავინ ელოდა, ქართველ მაჰმადიანები იტყოდნენ, აკი პირობას გვაძლევდით, რომ სისხლი არ დაიღვაროსო. ეს ვერაფერი პირობა იყოვო, ამ ზამთრის პირზედ გაიმართა ცხარე ბრძოლა, კინტრიშის ხეობაზედ რუსეთის მხედრობის დიდი ძალი ჯარი მოისპო, აქ განყდა მთლად კახეთიდან გაყვანილ ქართველ მეომართ რიცხვი ისე, რომ იმოდენა კახელობისაგან შინ აღარავინ დაბრუნებულა ცოცხალი. ესენი აქ ისე უღმერთოდ მოისპნენ, რომ მრავალ მათგან დახოცილები კინტრიშს მიჰქონდა და ზღვას აძლევდა. ქობულეთელთ მძლავრად გაიმარჯვეს და რუსეთის მხედრობა საშინლად დასწყვიტეს: ერთი გენერალიც მოკლეს, აქ ოსმალთ ჯარს სარდლობდნენ ალი ფაშა და ოსმან ფაშა თავდგირიძეები.

ქართველ მაჰმადიანებში იყვნენ მცირედ ისეთ პირნიც, რომელთაც, როგორც მეც ვიცნობდი, 1877 წ. ომი თვისი ცხოვრების და არსებობის პასუხათ მიიჩნიეს. ესენი იმ ფიქრის იყვნენ, რომ ჩვენი სადავო ცხოვრების საქმე ამ ომიანობით გადაწყდებაო, რა მოგველის ჩვენ, რა ვიქნებით და სად ვიცხოვრებთ, სად გვექნება ცხოვრება, ამის ბოლო ეხლა უნდა მოხდეს და გათავდესო, ჩვენ ან აქეთ უნდა ვიყვნეთ და ან იქითაო, ორში ერთი უნდა იყოს, თორემ ჩვენ არც თათრები ვართ, ჩვენი ქვეყანა არც

სათათრეთია, მასთან ჩვენ არც ქართველები ვართ, ჩვენ ქვეყანას ჩვენ არც საქართველოთ ვცნობთო, რა ვართ, რა ხალხი, რა ქვეყნის მცხოვრებნი ამის ჩვენ არა ვიცით რა და ამის წინაშე ჩვენს სიბრმავესაც ეხლა უნდა მიეცეს დასასრულიო.

ასე ფიქრობდნენ არა მარტო შეგნებულ ქართველ მაჰმადიანები, არამედ ისინიც კი, ვინც მართლაცა და ოსმალს მთავრობის წყალობით ტყის ნადირათ იყვნენ გადაქცეულნი და მათ როგორც ველურ ხალხს, გულში განუსაზღვრელის ბოროტის ფანატიკობის გარეშე სხვა არა ჰქონდათ რა გულში ჩანერგილი, ეს ქვეყანა მას საგიაურო საძალღეთ მიაჩნდათ და როგორც ტყის შეუგნებელი ნადირი, მარტოდ ამ საგიაურო ქვეყნის დაქცევ – დანგრევადა ენატრებოდა, ყოველივე ეს კი იქმნებოდა მისი სასიხარულო ძალა სამუსლიმანო ცხოვრებისათვის. თვით ასეთ ველურ ფანატიკებიც კი ფიქრობდნენ იმას, რომ 1877 წ. ომი უნდა იყოს ბოლო ომი რუსებსა და ოსმალთ შორის და ჩვენი ცხოვრების საქმეც ამან უნდა გადაწყვიტოსო და გაასწოროსო. ჩვენ ან აქეთ უნდა დავრჩეთ და ან იქით წავიდეთო.

მართლაც რა იყო ღმერთო ჩემო, მთელი ოსმალს საქართველო, თვით ბათუმის მიდამოების ვითარებაც კი, ოსმალს მთავრობის წყალობით, სწორედ ტყის ხალხის სანადირეთ იყო გადაქცეული, ქართველ მაჰმადიანებიც ხომ რალა უნდა ითქვას, სწორედ ტყის ნადირის სურათს წარმოადგენდნენ და მთელს მათს საარსებო ცხოვრების მთავარ ძალას მარტოდ ქართველის ზიზლი წარმოადგენდა და ამ ხალხის სისხლის დაღვევა, განყვეტა და მთელი საქართველოს მოსპობა, ასე წამხდარ გაველურებულნი იყვნენ ესენი რუსების ბათუმში შესვლამდის, მთელი ამათი ქვეყნები ველურ სანადირეთ იყო გადაქცეული და არა ძველ საქართველოს მსგავს ქვეყნებათ. მასში მცხოვრები ხალხიც უფრო ნადირს ჰგავდა, ვიდრე სამოქალაქო რამე არსებას, მასთან მათში არც გზა იყო, არც კვალი, არც ხელოსნობა, არც ვაჭრობა, არცა რა სხვა ასეთი.

განვაგრძოთ ახლა კვალად კიდევ ის, თუ 1877 წ. ომს მთელი ქართველ მაჰმადიანობა როგორ უმზერდა, ერთი ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ თუ ამ ომით რუსეთი გაიმარჯვებდა, მაშინ მათი ცხოვრების საქმეც გაუკეთესდებოდა, რადგანაც იგინი ამით საქართველოს და ქართველ ერს დაუკავშირდებოდნენ, იგინი ამ დაკავშირების შემდეგაც მუსლიმანებათ დაშთებოდნენ, ხოლო ცხოვრებით და მოქალაქეობით კი დაწინაურდებოდნენ, ვაჭრობით, ხელოსნობით და ნასწავლი კაცებითაც იგინი

ისე წავიდოდნენ, როგორც მათი მოძმე ქართველები მიდიოდნენ წინ. ამას ესენი მიტომ ნატრობდნენ, რადგანაც ჩვენთან ახლოს იყვენ იგინი და ამას გარეშე ქართველთა დანიინაურებასაც ცხადათ ხედავდენ. ასეთ პირნი გახლდნენ ცოტა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, ახმედ ბეგ ხალვაში, თუპარბეგ შარვაშიძე, გულო ალა კაიკაციშვილი, დედი ალა ნიჟარაძე, აჭარის მუფთი ჰასან ეფენდი ხალიფაშვილი სოფ. მერისელი და სხვანი.

მეორენი ფიქრობდნენ ასე: თუ 1877 წ. ომით რუსებმა გაიმარჯვეს, მაშინ ჩვენი აქ დგომა შეუძლებელია, მაშინ ჩვენ აქ არ გვედგომება, უნდა ავიყარნეთ, ომისთვის მზათ უნდა ვიყვნეთ, როგორც რუსი შემოდგამს თუ არა ფეხს, მაშინათვე ჩვენ აქაურობა უნდა დავტოვოთ და წავიდეთ იქით სადაც ჩვენი ფადიშახი ზის, ჩვენი სჯულის მეფობა არის. ჩვენი სულის ცხონება მარტოდ იქით შეიძლება. ამიტომ ასეთ პირთა მეოხებით, 1877 წ. ომის დაწყების დღიდგანვე მთელ ქართველ მაჰმადიანთ შლილობა და აყრისათვის სამზადისი იქმნა დაწყობილი, ამათ თითქოს იცოდნენ, რომ რუსებს დარჩებათ უსიკვდილოთ ეს მხარეო. ამიტომაც ესენი სულის საცხონებლად მზათ იყვნენ. ამათ ასეთ დასალუბ სამზადის ომიანობის გარეშე — სხვა და სხვა ფანატიკებიც ხომ ერთი ასათ ამღელვარებდნენ და ბოროტებით მოსავდენ.

პირველნი ასეთებს ეტყოდნენ ხოლმე 1877 წ. დაიცადეთ, ნუ იშლებით, ქვეყანას ნუ შლით, ნუ რევთ, თუ რუსი მოვლენ, მოვიდნენ, ჩვენ ისინი არას დაგვიშავებენ, ჩვენ ჩვენთვის ვიქნებით, ჩვენი ცხოვრება გვექნება, მუსულმანურათ ვილოცებთ, ამას იგინი არ დაგვიშლიან, მათ მუსულმანი ყმანი ბევრი ყავსთ, მაგრამ მათში ერთი კაციც არ გაუქრისტიანებიათ, ამიტომ ნუ იყრებით, ცოდონი ხართ, თორემ მამაჰაჰის ქვეყანას დაკარგავთ, ბოლოს ბევრს ინანებთ, მაშინ ერთობ გვიან იქნება, ჩვენც ბევრს მოგვიგონებთ, რუსნი ხალხნი არიან, გურჯები ხომ ჩვენი ძმებია, ამიტომ აშლილობას თავი გაანებეთ და ნუ ჩადიხართ მას რაც თქვენის თავისთვის არ იქნება ფარსაგი. ასე ქადაგებდენ ეს გულშემატიკივარ პირნი და ამათ გული სტკივოდათ ქვეყნის ასე არეგ დარევაზედ, მაგრამ რას გაანყობდენ, ყოველივე მათი ქვეყნის უბედურება გამომდინარეობდა მათის სასულიერო წოდების და ფანატიკი მოლა და ხოჯებისაგან, რომელნიც ვინ იცის რას არ ქადაგებდენ, ასეთ პირთათვის. სამშობლო ქვეყანას, სამშობლო ენას, ისტორიას და წარმატებას უბრალო ფასი ედვა. ყველა ამაზედ მაღლა იდგა ისლამის საბედნიეროთ გარდასახლება, რასაც ესენი თვით ჯამეებში ქადაგების დროსაც კი ამბობდენ, რომ „მუაჯირა გეთთიო“ ე.ი. მუაჯირათ წადითო.

ქართველ მაჰმადიანების ასეთი მღელვარება და ომის გამო შლილობა ოსმალს მაშინდელს მთავარ სარდალს დიდ საწინააღმდეგოთ მიაჩნდა, იგი ფიქრობდა, რომ ესენი გურჯები არიან და ამიტომ ამ აურ-ზაურს იწყებენ, რომ ჩვენ გვიმტრონო. ამან საქმის გარემოება არ იცოდა, არცა რა სხვის სიტყვა სჯეროდა. ამან ხალხს დაუნყო კიცხვა და მუქარება, მალე საქმე ისე მოხდა, რომ მთავარ სარდალმა კიცხვით საყვედური უთხრა ალი ფაშა თავდგირიძეს, რომ თქვენ გურჯები ხართ და შეიძლება ჩვენ გვილატოთო. ასეთის საუბრისაგან მათში დიდი უსიამოვნება ჩამოვარდა, ალი ფაშა თავდგირიძე მას პასუხს აძლევდა და ყოველივეს უქარწყლებდა, მაგრამ მთავარ სარდალ ფაშას ეს არა სჯეროდა და გურჯებს მოლალატეს უწოდებდა და მასთან ამ ლალატის მეთაურობას ალი ფაშა. თავდგირიძეს სწამებდა. საქმე ისე გამწვავდა მათში, რომ მართლაც მან მეტად არა კარგი მიმართვა მიიღო. იგინი ერთმანეთს მკაცრად გადაეკიდნენ.

აქ ცალკე ომი იყო, იღვროდა სისხლი და დღითიდღე ომს მეტად ცხარე მიმართვა ეძლეოდა, ოსმალთ საქმე უკან მიდიოდა, მთავარ სარდალი ამ უკან დანევის მიზეზად პირდაპირ ქართველ მაჰმადიანებს ასახელებდა, თუმცა ესენიც ღვრიდენ სისხლს, მაგრამ ეს მთავარ სარდალისათვის ცოტა იყო. ეს არ კმარობდა, ოსმალს მხედრობის უძღურებას პირდაპირ ამათში ხედავდა, ნამეტურ ყოველივე უბედურების მიზეზებს ალი ფაშას და მის ამხანაგებს სწამებდა, ჩვენ თუ რუსები გვერევიან, ეს სულ თქვენი ბრალია... თქვენ ატყობინებთ ყოველივეს მათ, მიტომაც გვეჯობნიან იგინიო. თქვენ გურჯები ხართ, მათი მხარე გიკავიათო. მთავარ სარდალის ასეთმა საუბარმა ალი ფაშასთან არ იქონია კაი პირობები, ქართველ მაჰმადიანთ უმრავლესობაც მთავარ სარდალს აჰყვა და დაიწყეს ლაპარაკი, რომ მართლაც ოსმალს ჯარს მიტომ ერევა რუსი, რადგანაც ალი ფაშა თავდგირიძე გვლალატობსო. ეს ხალხი ამ ომიანობის წყალობით აღარ ფიქრობდა იმას თუ უძღურების მიზეზი რა უნდა ყოფილიყო, ამიტომ ყველა უბრალოდ და მოუფიქრებლად ბრალს და ლალატს სწამებდა ალი ფაშას.

რაკი ხალხში ერთხელ ტუტუცურად ალი ფაშაზედ ლალატის გამო სიტყვა ატყდა, მერე სიტყვა საერთო ლაპარაკათ გადაიქცა. ამ ხალხის ყაყანს და ჭორებს მთავარ სარდალ ფაშამ ფხიზლათ შეხედა, ამან სთქვა, აი თუ ალი ფაშა ლალატს არ ჩადის, აგერ ხალხიც რათ ლაპარაკობსო მასზედაო... ამ გარემოებამ ალი ფაშა ძალიან გააბრაზა და ამან ახლა კი ჩაიღო გულში მის ფიქრი, რომ ამდენი ლალატის დანამების შემ-

დეგ, რომ უღალატო სწორედ ახი იქნება ამაზეო. მაგრამ ეხლა ეს გვიან იყო, არდაგანი (არტაანი), ყარსი რუსებს აღებული აქვდათ და გურიიდან ბათუმსაც უახლოვდებოდნენ. ალი ფაშა ჩავარდა მის სინანულში, რომ რატომ ჩემს პირობაზე არ დავდექ, რაც გრიგოლ გურიელთან პირობა მქონდა მიცემული, იგი რატომ არ შევასრულე. უბრალოდ რათ ავტეხეთ ხალხიო.

ალი ფაშას კი რომ მოენდომნა ეს ომი არ მოხდებოდა, იქ იმოდოლა კახელობა არ ამოსწყდებოდა ისე უღმერთოთ, ამ ომში და ცხარე სისხლის ღვრაში ალი ფაშა და მის ძმა ოსმან ფაშაც იღებდა მონაწილეობას. მაგრამ მაინც მთავარ სარდალს მათზედ გული არ ეწმინდებოდა და ყოველ თავის ნაკლს სულ მათ სწამებდა, რაც ხდება ეს ყოველივე მათი ბრალიაო. რა იყო მათი ბრალი? აი რა: რუსებს ამოდოლა ხალხს უწყვეტავთ და მით კი მაინც მათს მხედრობას უკან ვერ ვწევთ, მაინც ერთ ალაგას არიან გამაგრებულნიო. ესეთი ბრალის ცნობები ალი ფაშამაც შეიტყო კარგად, რამაც რასაკვირველია უსიამოვნება გამოიწვია, მაგრამ ამ უსიამოვნებას ის მოჰყვა, რომ დერვიმ ფაშამ ალი ფაშას საქართველოდამ გაძევება დაუწყო. ისე მოხერხდა საქმე, რომ მთავარ სარდალ ფაშის უმაღლესის ბრძანების ძალით ალი ფაშა თითქმის პატიმარ ჰყვეს, ჩასვეს გემში და ოსმალში გააძევეს, სტამბოლს გაგზავნეს.

ამ გარემოებაზე ხომ ალი ფაშას უფრო გაუფუჭა საქმე, ხალხმა დაიწყო მასზედ ყვირილი, რომ აი თუ არა ღალატობდა ალი ფაშაო. გაუგეს და მიტომაც გააძევეს ოსმალეთშიო. ქობულეთში ხომ ამაზედ ლექსიც გამოსთქვეს და ალი ფაშას მოღალატე უწოდეს, მაგრამ ეს ტყუილი არის, იმან ოსმალოს მთავრობას კი არ უღალატა, უღალატა მარტოდ თავის სამშობლო საქართველოს, ქართველ ხალხს და ნამეტურ თავის თანამემამულე ქართველთა მუსულმანობას. ალი ფაშა დამორჩილდა მთავარ სარდალს ბრძანებას, იგი წაყვანილ იქმნა სტამბოლს, სადაც მან თავი იმართლა და რამდენიმე ხნის უკან ისევ საქართველოში, ანუ ბათუმს მობრუნდა, რადგანაც ამას აქ აქვდა მამულები, ამ დროს უკვე რუსეთის და ოსმალეთის მორიგებაზედ ლაპარაკი თავდებოდა. ალი ფაშას ახლა კი მთავარ სარდალმა კარგის თვალთ შეხედა, ეს დარწმუნდა მასზედ, რომ ალი ფაშას მე უბრალოდ ვწამებდი ღალატს, თორემ ამას აქ სტამბოლიდან აღარ გამოუშვებდნენო, უეჭველია ამის შესახებ მთავარ სარდალი სტამბოლიდან ცნობასაც მიიღებდა.

საქართველოში მოსულ ალი ფაშას გაახსენდა ის გარემოება, რომ გრიგოლ გურიელის სიტყვით, მას რუსთაგან ასი ათასი მანათი უნდა

მიელო, თუ ვინცობა არის და რუსთა შესვლის დროს, ქობულეთში თოფი არ გავარდებოდა, ომი არ ატყდებოდა. ალი ფაშამ იმ დროის რუსის მთავარ მართებელს ქართულად დაწერილი საიდუმლოდ წერილი გამოუგზავნა ქობულეთს აქეთ ბრძოლის ველზედ, რითაც სთხოვდა შემდეგ: თქვენ მე დამპირდით ას ათას მანათს, მე შევიტყვე, რომ ეს ფული მიუღიათ იესე და გრიგოლ გურიელებს. ამიტომ ვითხოვ რომ ეს ფული მე გადმომეცესო. წერილი მთავარ სარდალმა ბრძოლის ველზედ გრიგოლ გურიელს გადასცა, ქართულად ნაწერია და წაიკითხე რას იწერება ალი ფაშაო. მიამბო გენერალმა თავ. გრიგოლ გურიელმა: წავიკითხე და გავკვირდი ალი ფაშას სითამამეზედ და ბავშვობაზედო, მეც რასაკვირველია ყოველივე გადაუთარგმნე მთავარ მართელებსა, რამაც იგი ერთობ გააკვირვაო.

სთქვა თავადმა გრიგოლ გურიელმა: ერთი უყურე, აბა როდის შეასრულეს პირობა, რომ მისთვის ამოდოლა ფული მიეცათო, თორემ ნათქვამი კი იყო და პირობაც დაირღვაო, აი აქედანაც კარგად სჩანს, რომ ალი ფაშას ოსმალს მთავრობისათვის არ უღალატნია. მან უღალატა მხოლოდ თავის სამშობლო ქვეყანას, საქართველოს, უმთავრესად ქართველ მაჰმადიანებს. ამავე დროს, ანუ 1878 წ. ომიც გათავდა, ბერლინის ტრაქტატის ძალით ყარსი, არტაანი (არდაგანი) და ბათუმი თავის მიდამოებით რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა. ამის სანაცვლოდ რუსებმა ოსმალთ უკანვე დაუბრუნეს არზრუმი. ამ დაკავშირებით გასწორდა ის შეცდომა, რაც 1828 წელს მოხდა ჩოლოქის და ჭოროხის გამო და მერე იგი ვერც 1855 წ. ომით იქმნა გასწორებული.

ალი ფაშას არ ესიამოვნა ის გარემოება, რომ მან რუსის მთავრობისაგან ფული ვერ აიღო, ან რათ ელოდა ეს ამას ამათგან, რომ იგი იმ ფულს მიიღებდა, ჩვენ ამის საიდუმლოება არ ვიცით. ხოლო ის კი სთქვა თავ. გრიგოლ გურიელმა, რომ მთავარ მართებელმა სთქვაო: ალბათ რუსები მაგას ბავშვები ჰგონიანო. ფულის ძიების საქმე ალი ფაშას ასე დაუტრიალდა, ამაზედ იგი გაგულისდა. იმ დღიდან იგი რუსეთის მტრად აღმოჩნდა, მაგრამ რალას იზავდა, ვერაფერს, ხოლო რუსთა მტრობის მახვილი გადაიტანეს თვით თავიანთ სამშობლო ქვეყნის ქართველ მუსულმანობაზედ. მან და მისმა ამხანაგებმა ამათ უმტრეს მხოლოდ, სხვა არავის.

აჭარლები ალბორგეს ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ, ასევე ბერლინის კონგრესის და ამათ განუცხადეს დერვიმ ფაშას, რომ ჩვენ ოსმალს არც უყიდნივართ და ნურც გვიყიდისო, ჩვენ ჩვენი თავით რუსებს არ ჩავბარდებითო. ამ უარის თქმამი ალი ფაშაც იქნებოდა

ჩარეული. რადგანაც ამაში ოსმან ფაშაც ერია. საქმემ სასტიკი ხასიათი მიიღო. დერვიშ ფაშა ატყობინებდა აჭარელთ, რომ წინააღმდეგობას ნუ სწევთ, სულთანის ბრძანებით უნდა ჩაბარდეთ, ვინაიდანგან მისი სურვილი ეს არის. ჩვენთვის არზრუმი უფრო ძვირფასია, ბათუმის იქით ჩვენ გზა არა გვაქვს, ეს კუთხე ჩვენ ძველებს რომ დაუმორჩილებიათ, მაშინ იმათ მთელი გურჯისტანის დაჭერა სდომნიათ, მაგრამ ეს მათ ვერ შესრულებიათ. ამიტომ ჩვენთვის ბათუმი სრულიად უმნიშვნელოა, ეს ისევ გურჯისტანზე წავიდეს, ჩვენთვის არზრუმი არის საჭირო, თუ თქვენ რუსები გეჯავრებათ, ჯერ კი ჩაბარდით და მერე შეგიძლიანთ ოსმალეთში გადმოსახლდეთ, ჩვენი ფადი შახი მოგცემთ თქვენ კარგს ადგილებს შუა გულს ოსმალეთშიო.

ქობულეთში, აჭარა ლივანას და მასთან მთელ ქართველ მაჰმადიანთ დიდი შლილობა იყო ამ დროს, საქმემ იქამდის მიაღწია, რომ ამათ შეადგინეს რამდენიმე ქართველ მაჰმადიანთ წრე, რომელთაც ერთ ევროპიელს ინგლისურს ენაზედ თხოვნა დაანერინეს ინგლისის კაროლევასთან და ლონდონში გაუგზავნეს, რითაც ესენი სთხოვდნენ კარალევას, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი ქვეყანაც საქართველო არის და ამიტომ გთხოვთ, რომ თქვენი მფარველობის ქვეშ მიგვიღოთო. ამ თხოვნაზედ ვითომ ოსმან ფაშა თავდგირიძესაც აქვდა ხელი მოწერილი, თუ ამან მოაწერა, მაშ ალი ფაშასაც ამის სურვილი ექმნებოდა, თუმცა ვერცარა ამით იქნებოდა რა, ვინაიდან ჩაბარების საქმე გათავებული იყო... არ იფიქროთ, რომ ვითომც ასეთი თხოვნა ამათ თავიანთ ქვეყნის სიყვარულით შეადგინეს, არა, ეს მათი მანქანება იყო, თორემ თუნდ დავასახელებთ ალი ფაშას, ოსმან ფაშას და სხვათაც, რომ ესენი ამავე დროს, აშლილ ხალხს უფრო შლიდნენ, ჯერ ჩაუბარებლობას უქადაგებდნენ, თუ ეს არ იქმნა და ჩაბარდით, მაშინ აიყარენით სულ და ოსმალში წამოდიოთო.

ამას უქადაგებდა თურმე ქვეყანას ალი ფაშა, ეს მათმა მთავარ სარდალმაც იცოდა, მაგრამ არას ეუბნებოდა, რადგანაც მასში ოსმალს მთავრობის საწინააღმდეგოს არას ხედავდა. ჩაბარების საქმეც დღითი დღე ჩქარდებოდა, საქმე სახუმრო აღარ იყო, აჭარლები კი უარზედ იდგნენ. აჭარაში კრებებს მართავდნენ და ყვიროდნენ, რომ გიაურებს არ ჩაუბარდებითო. დერვიშ ფაშამ შეუთვალა: თქვენ თუ არ დანყნარდებით და რუსებს მშვიდობიანათ არ ჩაბარდებით, მაშინ მე ამოვალ ოსმალს ჯარით, დაგიმორჩილებთ, მასთან ბევრს დავსჯი კიდეც და მის შემდეგ კი ყოველივეს ჩავაბარებ რუსებსაო. თუ წამდვილი მუსულმანები ხართ

და სულთანის ერთგულნიო, მაშინ შეასრულეთ ეს სულთნის ბრძანებაცა. აქ ამათ პროპაგანდისტებს საქმე ჩაუნელდათ. არ ჩაბარებამედ ლაპარაკი უბრალო იქმნებოდა, ახლა ამათ რაღა უნდა ექმნათ, რითი უნდა ეღვანათ, რითი უნდა გამოეჩინათ თავი, ამათ მალე იპოვნეს ამის გზა და კვალიც, ეს იყო ქართველთ აყრა და ოსმალში გადასახლება, რისთვის? ცხადი საქმეა იგინი ოსმალს მთავრობისაგან დიდს მადლობასაც მიიღებდნენ, რადგანაც ესენი მას ოსმალში გადაუსახლებდნენ მხნე და ერთგულ მეომარ ქართველებს.

ამიტომ ამათ მორთეს ამაზედ ლაპარაკი, გადასახლებისათვის მეტად მწვავედ აქეზებდნენ ხალხს, აქეზებდა თურმე ნამეტურ ალი ფაშა თავდგირიძე, მისი ძმა ოსმან ფაშაც და ასეთნიც სხვანი და ვითომც ესენი ამით ყრილობდნენ რუსების ჯავრს. ამათ სურდათ, რომ რუსებს ამ კუთხეში ერთი კაციც აღარ დახვედროდათ და სოფლები და დაბეები სულ ცარიელები ყოფილიყოსო. ეს გარემოება თურმე ბევრს ანუხებდა, ამის წინააღმდეგ ბევრნი მოქმედებდნენ და უქადაგებდნენ ხალხს, რომ ნუ აიყრებითო, მაგრამ გაგონება აღარავის აქვნდა. თავ. გრიგოლ გურიელმა მიაბო: ამ უბედურ გადასახლების ნაქეზების გამო, განგებ ნაველ ალი ფაშასთან და ველაპარაკე, ვსთხოვე, რომ მას ამ ნაქეზებისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ რამდენათაც იგი მეტს გადასახლებდა, იმდენათ ამის გამო ოსმალს მთავრობისაგან დიდს პატივს მიიღებდაო, მეორე ამით ეს დაამტკიცებდა თვის ერთგულებასაო.

ალი ფაშას უთქვამს გრიგოლ გურიელისათვის: — ჩვენი აქ დარჩენა აღარ შეიძლებაო. ხალხსაც ეუბნებოდა თურმე, რომ ჩვენი აქ დარჩენა და რუსის ხელში ყოფნა შეუძლებელიაო. ამის მიზეზი რა იყო, ამას კი არ ასახელებდა თურმე ის. რის შიში აქვნდა რუსის ხელში, ამას არავის რას ასმენდა, აქ მიზეზი ისლამის გარემოება იყო, თუ სხვა რამ მიზეზი ეს ყველასთვის საიდუმლო გახლდათ. ამის ძიებაში არავინ შედიოდა, ვინც ამაზედ ლაპარაკობდა, ის მათ წმინდა კაცათ მიაჩნდათ, ისლამის და ფადიშახის დიდს მოსარჩლე და ერთგულად, აბა მის წინ ვინ რას იტყოდა. ვინც გადასახლების წინააღმდეგ რამეს იტყოდა, იმას თურმე მგელივით შეხედავდნენ, ჩაქვავებას და აკლებას დაუპირებდნენ... აჭარის ცნობილმა თუფანბეგ შარვაშიძემ მიაბო 1893 წ. შემდეგი: — „ჩაბარების წინათვეებში, აჭარაში კინალამ ამიკლეს, კინალამ მომკლეს და სულ მინაზედ გამასწორეს მხოლოდ მიტომ, რომ მე ვუქადაგებდი ხალხს ნუ იყრებით, იყავით თქვენთვის, ჩავბარდეთ რუსებს, მათ ხელში ჩვენ ცუდი არა მოგველისრაო... დღეში ხუთი ათას კაცზე მეტი მოდიოდნენ და მკითხავ-



დნენ ამის რჩევასაო. თქვენი მტერი რაც ჩემი მდგომარეობა იყოვო. ამოდოლა ხალხს პურს ვაჭმევდი, ველაპარაკებოდი და ვურჩევდი ქვეყნის არ მოშლას, თორემ ბოლოს ინანებთ, ნუ სჩადიხართ ამას. მაგრამ მათ ჩემი დარიგება არ ესმოდათ და ემზადებოდნენ წასასვლელათო.

აგერ გადაწყდა საქმეც, დერვიშ ფაშას თანხმობა განუცხადეს დაწყნარების და ჩაბარების, ჩაბარებაც მალე მოხდა. როგორც იქმნა ჩაბარდნენ, ეს იყო პირველად უფრო საჭირო, ხოლო ოსმალეთის და რუსეთის სახელმწიფოთა საზღვრები კი მერე უნდა დაეყოთ. შეერთების წინეთ ქართველ მაჰმადიანები დიდს გასაჭირში ჩავარდნენ, ომის გამო, მათ 1877 წელს ველარა დათესეს რა. ამიტომ 1878 წ. მათ საქმელი პური აღარ აქვნდათ, მეტად მშიერს ხანაში ჩაცვივდნენ, ამ სიმშილს ზედ დაერთვა ისლამის პირობებისაგან გაიურთ სიმძულვარე და ყოველივე ეს კი მათ თითქმის სულ ვერანად ხდიდა. იყვნენ მათში თითო-ოროლა ისეთი პატივცემულნი პირნი, რომელნიც ასეთ გაჭირვების დროს, მათ დიდს დახმარებასაც აძლევდნენ, როგორც მაგალითებრ გრიგოლ გურიელმა ერთ დღეს დამშეულთ 1879 წ. 10000 მან. თავის ფული დაურიგა და მასთან რამდენი კიდევ სხვა ასეთები უქმნია ამ ძვირფას კაცს, ამას თვლა არა აქვს. დიდი შესანიშნავი კაცი იყო ეს გრიგოლ გურიელი, მეტად თავ გამოდებული მოსარჩლე ქართველ მაჰმადიანთ ღარიბ-ღატაკთ ხალხისა.

ჩვენ ქართველ ქრისტიანებსაც დიდათ გვიხაროდა ჩვენი დაკარგული ძმების შემოერთება და კავშირი, მაღლობელნი ვიყავით მით უფრო, რომ დაკავშირებულ იქმნა უმეტესი ნაწილი სამცხე-საათაბაგოსი, დარჩა შემოუერთებელი მხოლოდ ლაზისტანი და ზოგიც რამ კლარჯეთის ადგილები, დანარჩენი კი სულ შეერთებულ იქმნა რუსეთის საქართველოსთან. ამ გარემოებით ისარგებლა დიმიტრი ბაქრაძემ და 1879 წ. იმგზავრა მთელს ამ შემოერთებულს კუთხეებში, მერე კი, როცა საზღვრები დაიდო, მაშინ კი ზოგი რამ ისევ ოსმალეთის სამშობლო საქართველოში გადავიდა, როგორც მაგალითებრ არჯევანთ ხეობა, ხახულის და ერთობ დიდი ნაწილიც ასეთის ადგილების. ამ გარემოებამ ჩვენ გული მეტად დაგვწყვიტა.

ქართველ ქრისტიანებმა ამ დროს გამოვიჩინეთ დიდი ღმობიერება ქართველ მაჰმადიანთ წინაშე.

ჩვენ ძრიელ გვიხაროდა დაკარგულ ძმების შეერთება, დაკარგული საქართველოს ზოგი ადგილების ნახვა და გაცნობა. ამის გამო ჩვენს ნატვრას და სიყვარულს საზღვარი არ აქვნდა. იმ დროის გაზეთი „დროება“ ხომ სულ ასეთის ამბებით ივსებოდა, მასში ხშირად წერილებს

ბექდავდნენ თვით ქართველ მაჰმადიანებიც. 1877 წლიდან ქართველ მაჰმადიანთ ვასმენდით და ვუქადაგებდით ჩვენს მათდამი სიყვარულს, საქართველოდან არ გადასახლებას, არ აყრას, ვაუნყებდით, რომ რუსნი თქვენ არას დაგიშვებენ, ოღონდ თქვენ დანყნარდით ამისთვის. ამავე დროს თფილისში გაზეთ „დროების“ რედაქციამ ხელის მოწერა გამართა ქართველ მაჰმადიანთ სასარგებლოდ, ფულიც შეიკრიბა, ეს ფული მათ იმ დროის გაზეთ „დროების“ რედაქტორმა ნაილო ბათუმში, იქ ამ ფულით ფქვილი იყიდეს და ღარიბ ქართველ მაჰმადიანთ დაურიგეს, ფული რამდენიმე ასი თუმანი იყო, სულ ქართველ ქრისტიანებთაგან შეწირული. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ მხრით კაი ძმობა გავუწიეთ მათ.

მაშინ ჩვენში ყველას ესწრაფოდა გული, რომ ეგები მორიგება მალე გათავებულნიყო, რუსთა და ოსმალთ საზღვრებიც დაყოფილიყო და ჩვენც გვღირსებოდა დაკარგულ ძმებთა ქვეყნებში ფეხის შედგმა და ნახვა, მათის ცხოვრების და გულის მით დადინჯება. როგორც იქმნა ამა-საც მოვესწარი, პირველად ჩვენი მწერლებიდან აჭარაში ფეხის შედგმა სერგეი მესხს მოუხდა, ფულის დარიგების შემდეგ, სამწუხაროდ, ქართველ მაჰმადიანებში გაჩნდა ერთი ისეთი ხეპრე და უპურმარილო ადამიანი, რომელმაც ნეტარ ხსენებულ სერგეი მესხს, გაზეთ „დროების“ რედაქტორს, დამბაჩა ესროლა, მოკვლა სწადადა თურმე. მაღლობის მაგიერი იყო ეს. მაღლობა ღმერთს, რომ ტყვია არ მოხვდა და არა დაუშავა რა. ეს ამბავი ყველას გვეწყინა, ნამეტურ თვით შეგნებულ ქართველ მაჰმადიანებსაც, მაგრამ ვინ რას იზავდა, დრო ისეთი იყო, რომ იქ კაცი კაცს ვეღარ სცნობდა და მოღების ქადაგებით ხალხმა აღარ იცოდა რა ექნა და ვისა სცემოდნენ. სიღარიბე, გაჭირება, სიმინდის სიძვირე და სხვაც ათას ამგვარნი სულ გიაურების ბრალი არისო, იტყოდნენ ამას ხოჯები, მოღები და სხვა ასეთ სჯულის კაცნიც. თუ აქედამ არ წავედით, დღეის შემდეგ უარეს დღეში ჩავარდებით და შიმშილს ვნახამთო.

ასეთ არეგ-დარევის გამო ქვეყანა დიდს შეწუხებაში ჩავარდა, ამიტომ, რაკი ქართველ მაჰმადიანთ შლილობას დასასრული აღარ ეძლეოდა, ამის გამო რუსეთის და ოსმალთ მთავრობისაგან პირობა იქმნა დადებული გარდასახლებულთათვის, დრო 1878 წ. სამი წელი დანიშნეს, ვინც ამ ხნის განმავლობის შემდეგ არ გადასახლდებოდა, ის მერე რუსის ქვეშევრდომთ უნდა დაშთენილიყო. ცოტა ამ გარემოებამ დაადინჯა იგინი, ამიტომ სულის ცხოვნების მაძიებელთ დაიწყეს მამულების გასყიდვა და წასასვლელად სამზადისი. ესენი ჰყიდდენ აუარებელ მოძრავს და უძრავს ქონებას სულ ოხერ ფასად და მიდიოდნენ შუა ოსმალეთში,

ვისაც კი რამე შეძლება ჰქონდა, ყველა მიზნობა, აქა რჩებოდნენ ღარიბ-ნი და ლატაკნი, რომელთაც ცხოვრების სახსარიც არ აქვდათ, ყოველივეს გადასახლებულებისას ესენი ყიდულობდნენ, სადღეისოდ ამათ გაიმარეს აქ ფეხი და ვისაც კი შეძლება აქვდა, ისინი სულ წაბრძანდნენ ოსმალეთში სულის საცხოვნებლად.

ასეთ გადასახლებას ყველა მწუხარებით უმზერდა, რადგანაც მით ვხედავდით ქართველ მაჰმადიანთ დაღუპვის საქმეს და აბა, ვინ რას იზავდა, მათ ვინ რაღას ეტყოდა, მოღების და ხოჯების სიტყვით, იგინი კაცსაც კი მოკლავდნენ, რომ ვისმეს ეთქვა ოსმალში ნუ მიხვალთ, თორემ ბოლოს ინანებთო. როგორც იქმნა 1878 წ. გავიდა, ომიც მოიჩა, საზღვრებიც დაიყო, ქართველ მაჰმადიანთ შორის გამოჩნდნენ შეგნებულნი გვამნი, რომელთაც არ ისურვეს ოსმალს სამსახურით გარდასახლება, ესენი რუსის მთავრობისაგან იქმნენ მიღებულნი დიდის პატივისცემით, ჯამაგირით და ახალი თანამდებობის დანიშვნით, ასეთნი იყვნენ ტუპან ბეგ შარვაშიძე, ახმედ ბეგ ხალვაში, გულო ალა კაიკაციშვილის დედი ალა ნიჟარაძე და აჭარის მუფთი ჰასან ეფენდი ხალიფაშვილი — სოფ. მერისელი, ზოგნიც სხვანი.

ჩვენ აქ ყველას არ ვახსენებთ.

მხოლოდ ერთ ამათგანს კი, თითქმის მეთაურს და მასთანვე თავის ქვეყნის მოტრფიალე, ქართველ მაჰმადიანის შესახებ კი ვიტყვით რამეს, ეს ქართველ მაჰმადიანი გახლდათ **შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი**, ახმედ ბეგის შვილი. კარგად მცნობი მთელი საქართველოს ავ-კარგიანობის, დიდი მონატრე ქართველი ერის დაკავშირების და გაერთიანების. ამ პირის ცხოვრებას აქვს მეტად დიდი ისტორია, ნამეტურ ამათ გვარის ნევრთ და მამა-პაპათა, ამათ შესახებ ჩვენ ხომ ალაგ-ალაგ ვიცით ცნობები, ამის



შერიფ ხიმშიაშვილი

გაცნობა არ გვინდა, ხოლო ის კი უნდა გავიხსენოთ, რომ სელიმ ფაშის ნატვრა და ასევე ამის შვილის ახმედ ფაშის ნატვრის შესრულებისავე მოტრფიალე იყო შერიფ ბეგი და ეს ამას მოესწრა კიდევ. შეუსრულდა ამის ნატვრა და საქართველოს ადგილების საქართველოსთან ერთობა.

ეს პირი დიდი მომხრე იყო ამისი, ომის დაწყების წინეთაც, ომიანობის და ომის შემდეგაც იგი სულ იმას ელაპარაკებოდა ქართველ მაჰმადიანებს, რომ იგინი დაწყნარებულიყვნენ, დადინჯებულიყვნენ და თავიანთ სამშობლოდან ფეხი არ მოეცვალათ, სამწუხაროდ არც ასეთ საპატიო კაცის სიტყვას აქვდა მათზედ გავლენა, თუმცა შერიფ ბეგს მათში დიდი სახელი და ნდობა ჰქონდა მოპოებული, მაგრამ ამასაც ეჭვის თვალთ უმზერდნენ.

ასეთ პირთა ცდით მოხდა ისეთი საერთო დაახლოვების ლაპარაკიც, რის წყალობითაც ჩვენსა და მათ შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, სალამი და ნატვრა ჩვენი ერთმანეთთან დაახლოვების. ასეთ მეთაურ პირთა დეპუტატთა კრებული 1878 წ. თფილისში ჩამოვიდნენ და მთავარ მართველს წარუდგინენ, როგორც ახლად შემოერთებულ ქვეყნის მეთაურნი. მთავარ მართველის ნახვის შემდეგ, თფილისის ქართველობამ სადილი გაუმართა თფილისის საკრებულო დარბაზში, სადაც დაესწრო იმ დროის დიდი ნაწილი ქართველობის. სადილზე ბევრი შესანიშნავი სიტყვები წარმოითქვა, როგორც ჩვენგნივ, ისე მათგან, შერიფ ბეგი ამით მოხარული დარჩა, ჩვენც მათ ქართული წიგნები მივართვით, ყველამ მათ სიამოვნებით მიიღო. მალე, იგინი შინისკენ დაბრუნდნენ.

ნიგინიდან: ზ. ჭიჭინაძე. „ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთა საქართველოსი“ ბათ. 1911.



## სერგეი მესხი

(1845-1883) — ქართველი პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. გაზეთ „დროების“ რედაქტორი (1869-1873 წ. და 1874-1883 წ.წ.)

## გაზეთი „დროებაში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციებიდან:

**ჩ**ვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თუ ჩვენს ჯარს თ. გრ.გურიელი წაუძღვება წინ, ქობულეთლები და საზოგადოთ ბათუმის ქართველები, რაც უნდა მოხდეს, თავის დღეში თოფს არ გაისვრიან“.

„როგორ უნდა ბათუმში შესვლა“ „დროება“. 1878 წ. N164. 13.VIII.

„თ. გრიგოლ გურიელი ამ უამად ქობულეთში იმყოფება და იქ იბარებს ხალხს, ქვეყანას და ოსმალოს სახელმწიფო ქონებას (თოფ-იარაღს, არხივებსა და სხვ.). ამბობენ, რომ, საცა კი თ. გრ.გურიელი გამოჩნდა, იქ ხალხი სიტყვა ამოუღებლად დამორჩილდა და ერთსაც არ განუზრახავს წინააღმდეგობაო“.

„ქუთაისი 20 აგვისტოს“. „დროება“. 1878 წ. N171. 24.VIII.

„ნამდვილად ამბობენ, რომ 10.000 კაცმა ლაზებმა და ქობულეთ-ლებმა, საწინააღმდეგოდ მომზადებულმა დაჰყარეს თოფ-იარაღი და დამორჩილდნენ თავის ბედსაო.“

ამ დამორჩილებაზე და თოფ-იარაღის დაყრაზედ, უეჭველია, დიდი გავლენა ჰქონია თ. გრ.გურიელის გაგზავნას ქობულეთში, რომელიც იქაურ ხალხს ასე უყვარს და რომლისაც ყოველი სიტყვა სჯერათ.

სულ, ამბობენ, ჯერ-ჯერობით ორას ოჯახზე მეტი არ გადასახლებულაო.

ბევრი აპირებდა კიდევ წასვლასო, მაგრამ გრ.გურიელი რომ დაინახეს, შეჩერდნენო.“

„ბათუმისაკენ. ოზურგეთი. 22 აგვისტოს“. „დროება“, 1878 წ. N174. 29.VIII.


„ქობულეთი ძალზე პატარა ქალაქია; ბევრი-ბევრი ორი ათასი სული თუ ცხოვრობს აქ; მაგრამ ახლა ესეც აღარ არის დარჩენილი. თვითონ ქალაქიდან და საზოგადოთ ქობულეთის მაზრიდან, როგორც დამარწმუნეს, ჯერ-ჯერობით უკანასკნელი 300 ოჯახი (1500 სულიდან) გადაესახლნენო. ახლაც მიდიან, თუმცა ისე აღარ, განსაკუთრებით მას აქეთ, რაც შეიტყვეს, რომ იმათ უფროსად (სამოქალაქო მმართველად) დანიშნულია თ. გრიგოლ გურიელი.

გასაკვირველია, მართლა, ის რწმუნება, პატივისცემა და სიყვარული, რომელიც თ. გრიგოლს დაუმსახურებია ქობულეთში. ყოველი იმის სიტყვა სჯერათ, ყოველ საჭიროებისათვის იმას მიმართავენ რჩევისათვის.

„ბათუმისაკენ. ბათუმი, 25 აგვისტოს“. „დროება“. 1878 წ. N175. 31.VIII.

„რამდენთამე ქართველსა და მათ შორის ყველაზე პირველად უფ. დ.ი.ყიფიანს მოუვიდათ თავში ჩინებული ჰაზრი, რომ მოიპატიჟონ დეპუტატათ ჩამოსული ოსმალს საქართველოს ქართველები და, სხვით თუ არაფრით, ერთად, ძმურად პურის ქამით, საზოგადო სუფრაზე ამთავით მაინც დაუმტკიცონ მათ თავის თანაგრძნობა და სიყვარული... ამ მიზნით გამართული იყო სადილი მუხრანსკის სახლებში, კლუბის დიდს ზალაში... ყველას ყურადღება აქ მყოფ იმათზე (ახლად-შემოერთებულ ქართველებზე — ი.თ.) იყო მიქცეული. ერთს გროვაში მოიგონეს ის პირნი, რომელთაც პირველად დაიწყეს ამ ოსმალს საქართველოს გაცნობა და დალიეს სადღეგრძელო ჩვენი ლიტერატურის პატივცემული მოღვაწისა უფ. დ.ზ.ბაქრაძისა, აგრეთვე თ. აკ.წერეთლისა, თ. გრ.გურიელისა, რომელიც საუბედუროთ, ამ იმისთვის სასიამოვნო დღეს არ დასწრებია აქ, უფ. გ.ნ.ყაზიბეგისა და სხვ.“

„სადილი ახლად-შემოერთებულ ქართველებისათვის“. „დროება“. 1878 წ. N239. 23.XI



## თედო სახოკია

(1868-1956) — ქართველი მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი. 1885 წელს იმოგზაურა აჭარა-გურიაში და გამოაქვეყნა თავისი „მოგონებები“.

„**ქ** დვილი წარმოსადგენია, თუ რაზომ დიდი და განუსაზღვრელი უნდა ყოფილიყო მაშინ სიხარული მთლად ქართველობისა, რომელსაც ამდენი ხნის ნატვრა, მაჰმადიან ქართველების შემოერთება შეუსრულდა. როცა ამ ეპოქას მოვიგონებთ, არ უნდა დავივიწყოთ ის ღვანლი, რა ღვანლიც მიუძღვის ჩვენს წინაშე განსვენებულ გრიგოლ გურიელს, რომელიც დაახლოებული იყო მაჰმადიან ქართველებთან. ეს ჭეშმარიტი მამულიშვილი კარგად იცნობდა მათ, იცოდა რა კილოთი, რა ჰანგით ელაპარაკნა ამ ისტორიული აქტის შესახებ, აეხსნა და ჩაეგონებინა მათთვის მისი მნიშვნელობა და ჩვენ ძმებად დავესახეთ, და არა მტრებად, როგორც მაჰმადის საწინააღმდეგობა ასწავლიდათ.“


„მოგზაურობანი“. ბათ. 1985. გვ. 195.



1879 წლის 15 მაისს ქართველ მამულიშვილთა მეცადინეობით დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის გამგეობის თავმჯდომარედ წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) იქნა არჩეული. საზოგადოებამ მიზნად დაისახა ქართული ენისა და ერთგნული უულტურის დაცვა, რომელსაც მეფის რეჟიმისგან სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა. საზოგადოების გვერდით დადგნენ ეროვნული ფასეულობების გადარჩენისთვის მებრძოლი მამულიშვილები. მათ შორის — გრიგოლ გურიელი, რომელიც შემდეგ საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს; მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ენის გადარჩენის, სკოლებისადმი მზრუნველობის, ძველ ხელნაწერთა შეგროვებისა და ზიგნების გამოცემის საქმეში, რის გამოც მას უწოდეს

„გრიგოლ ქველი“.





## დიმიტრი ბაქრაძე

(1826-1890) — ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. მისი მონაწილეობით შედგა კავკასიის არქეოლოგიური აქტების ხუთი ტომი, გამოიცა ვახუშტის „ისტორია“, დაარსდა თბილისის საეკლესიო მუზეუმი. იყო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და კავკასიის საისტორიო-არქეოლოგიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

## გრიგოლ გურიელის ნატილები დიმიტრი ბაქრაძისადმი

**ბ**ატონო დიმიტრი! ღმერთსა ვსთხოვ, თქუჴნს დღეგრძელობას. მე განვიზრახე დავასტანბვინო ძველი ქილილა დამანას წიგნი, თქუჴნი ხელმძღვანელობით. ვგონებ ღირსიც იყოს გარდავსცეთ მომავალთ ქართველთა შთამომავლობას, ვითარცა მეცნიერებათაგან გამოკვლეული ადამიანთა ზნეობისათვის. ამასთანავე წიგნსა უგზავნი მესტამბეს ევთიმე ხელაძეს თქუჴნდა მოსართმევად, თქუჴნ მიერ განხილვისა შემდგომ გარდასაცემად სტამბაში დასაბეჭდავად. ფული რამოდენიც საჭიროებს მე ხელაძეს გამოუგზავნი. იქნება სადმე გეგულებოდეს ვახტანგ მეფის და სულხან ორბელიანის სურათნი. თუ შეიძლება მოვიპოვოთ მისთვის ფულს არ დავიზოგებთ. მათგან შედგენილ წიგნსა ვგონებ ღიდათაც გაამშვენებს მათი სურათი. მაქუს იმედი, თქუჴნს კეთილშრომას ამ წიგნსაც დააჩენთ. სხუა თქუჴნ უფრო იცით.

ან უნდა მოგახსენოთ თქუჴნი ცნობისათვის. მე მახსოვს განსვენებულმა დავით დადიანმა, დროებით სთხოვა კნიაზ სვიმონ აბაშიძეს ერთი ძველი ხელნაწერი ხუცურად. წიგნი წოდებული (ხრონოლოგია) **хронография**, წაიღო და აღარ დაუბრუნა, წიგნი მშვენიერი ხელნაწერი და არა ნაკლებ დაბადებისა. ვგონებ ის წიგნი იყო ძველი ისტორიული

მოთხრობა შეკრებილი საქართველოსა და საბერძნეთის ისტორიებთან-  
გან ყველა საუკუნებთან ხრონოლოლით. ის წიგნი ახლა ნიკო მენგრელ-  
სკის ბიბლიოტეკაში უნდა იყოს, რომ იშოვიდეთ რამე გზით მეტი კარგი  
იქნება — თქვენი ისტორიული ცნობებისათვის. შეგვიძლია საზოგადოთ  
მიმართოთ თხოვნა კნიაზ ნიკო მენგრელისადმი რომ ჩვენ გარდმოვქცეს  
მამის მისის დანაშტი ქართული ბიბლიოთეკა, რომელშიდაც მე ვიცი ძვირ-  
ფასი ისტორიული წიგნები იყო, და მზგავსი არსად ახლა არ ჩანანო თუ  
ქართულის ღირსება აქუს ნიკო დადიანს არ უნდა დაგვიკარგოს.

ეგრეთვე, განსვენებულს კნიაზ ირაკლი ლორთქიფანიძესაც ჰქონდა  
ძველი წიგნები და კიდევაც სამენგრელოში დედუფალთან ყოფნის დროს  
მრავალი შეიძინა და ახლა მის ძმას ბარნაბას აქუს, შეიძლება მოვსთხო-  
ვოთ — სამენგრელოში დიდ ნიკო დადიანს ჰქონდა დიდი ბიბლიოტეკა და  
მის შვილებს დაშთა, პეტრეს და მის ძმებს, მრავალი სამეცნიერო წიგნე-  
ბით. ის ბიბლიოტეკა არა ნაკლებ იყო წერეთლების დანაშთის ბიბლიოტე-  
კაზედ — და მოიკითხეთ. და მოვსთხოვოთ, უნდა საზოგადო ქართველო-  
ბათა სახელსა ზედა — იგინი უეცრებით კარგვენ და არა განზრახვით.

ჩემგან ნათქვამი იქონიეთ სახეში.

ღმერთსა ვსთხოვ თქუწნს მშვიდობას.

თქუწნი მარად ერთგული მოსამსახურე გრიგოლ გურიელი.<sup>1</sup>

5 მაისს. 1884 წელსა. ქ. ოზურგეთი

ბატონო დიმიტრი ზაქარაიას ძევ!

ვინაიდგან თქვენ ბრძანდებით მხოლოდ ერთი პირველთაგანი ქართ-  
ველთა შორის კეთილმშრომელი და მარადის მზრუნველი ჩვენი დედა ენის  
წარმატებისათვის, მისთვის მე უფრო ვბედავ კვალადვე გაგიახლო ჩემი  
თხოვნა, ვითარცა „ქილილა დამანას“, ეგრეთვე სხვათა წიგნებთაცა გამო-  
ცემისათვის, რომელნიც უნდა იქმნან ყოვლის მხრით სრულის თქვენის  
განკარგულებათ დაბეჭდილნი და გამოცემულნი; ამისათვის ამასთანავე  
მოგართმევთ ჩემს კანონიერს რწმუნებას, რომლის ძალითაც მაქვს იმედი  
ინებებთ და მიიღებთ ჩემს თხოვნას. რააცა შეეხება თქვენის ანგარიშით  
ხელაძის ხვედრს ფულს, ჩემი ძმა ლევან მოგართმევს, რომლისათვის უკვე  
მიმინერია და ეხლაც ვსწერ. უკეთუ რამე მიზეზისა გამო რწმუნება ჩემი  
არ იყოს ჯეროვანი მაშინვე მამცნეთ და უფრო ჯეროვანს გაახლებთ.

მარად თქვენი ერთგული მოსამსახურე გრიგოლ გურიელი.

30-ს იანვარს. 1885-ს წელსა.

1. წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“. 1884 წ. 2 ივნისს N117.

მონყალეო ჩემო დიმიტრი ზახარიჩ!

თანახმათ თქვენის წერილისა, რომელიც ამას წინეთ მივიღე, შესახებ დანაშთის ათი თუმნის ფულისა, მე სრულის ჩემის კმაყოფილებითა ვისურვებ რათა თქვენის რჩევისამებრ ისყიდოთ თქვენ ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლისათვის შესანიშნავათ ის სხვა და სხვა წიგნები, რომლებთა სიაც შედგენილი თვით სასწავლებლის ინსპექტორისა მიერ, ამასთანავე მიახლებია და გთხოვთ გამოუფზავნოთ ესრეთი წიგნები ჩემის სახელით ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელს, რომელიც ფორჩის ხარჯს და რაც მეტი მოუნდება წიგნებს იმასაც წიგნების მიღებისთანავე გაიხლებთ.

**Адресс: В. Озургетском городское училище.**

თქუჴნი მარად ერთგული გრიგოლ გურიელი

10-ს ოკტომბერს. 1886-ს წელსა.

უპატივცემულესო დიმიტრი ზახარიჩ!

უეჭველათ მსურველი, თანახმათ წესისაებრ ჩვენს შორის მეგობრობისა, თავყანის ცემას განგიცხადებთ და თქვენს ცოლშვილებითურთ დღე-გრძელობას ვისურვებ.

ამასთანავე გაახლებთ თქვენ განსახილველათ ნამდვილისაგან ქართულს ენაზედ ნათარგმნის ჩემ მიერ სისწორით გარდმოღებულს პირს იესო მაცხოვარზედ პონტოელი პილატეს მიერ განჩინებისას, რომელიცა ვჴპოვე მე ერთს ძველს ქართულს ხელთ-ნაწერს წიგნსა შინა. უკეთუ ამა განჩინებაშით ჴპოვოთ რაიმე საისტორიო მასალა, გთხოვთ მიიღოთ მხედველობაშიდ. ეგრეთვე გაახლებთ, ჩემ მიერ გარდმოღებულს, იმერეთის მეფის სოლომონის მიერ თ.წულუკიძისადმი მინიჭებულის ღრამოტის პირსა, რომელშიდაც იქნება რაიმე საჭირო ჴპოვოთ. ამასთანავე მოგახსენებთ, რომელ მე, ვითარცა მაძიებელი ძველი ხელთნაწერი ქართული წიგნების, დიდის მეცადინეობით შევიძინე სოფლებშიდ გაფანტული რამოდენიმე ხელთნაწერი ქართული წიგნები, რომლების შეძენისთვისაც არა რას ვზოგავ, ვინაჲდგან იმედვნეულობ იმათგან რაიმე სარგებლობის პოვნასა ჩვენი წარსული ისტორიისა და ლიტერატურისათვის. უკეთუ ღმერთმან შემძძობინა ამა წიგნების შეძენა და უკეთუ განჩხრეკის შემდეგ რაიმე სასარგებლო აღმოვაჩინე მათშიდ, მაშინ მე თვით გაიხლებით თქვენთან და ამ წიგნებსაც გაახლებთ განსახილველათ.

მარად თქვენი ერთგული თ. გრიგოლ გურიელი

1889 წ. 12.VII. ქ. ოზურგეთი

ბატონო დიმიტრი ზახარჩი!

ამასთანავე გიგზავნით უფ. ვლადიმერ გრიგორიჩის სიმონოვის ხელით 7-ს ძველის სამღთო წერილებთა ხელნაწერ წიგნებს, რომელნიც მე შევიძინე სამღვდელოებისაგან, რომელიც (სამღვდელოება) ესრედ ხელთნაწერ წიგნებს არ საჭიროებენ, რადგან კარგათ გარჩევა (წაკითხვა) არ ძალ-უძთ ძველი ხელნაწერების და ამიტომ უმეცრებისა გამო ისინი, არა თუ მარტო პატივით არ იცავენ იმათ ჩვენი ძველი ლიტერატურის ძეგლად, არამედ აუპატიურებენ და სპობენ ძვირფასს საუნჯეს ჩვენი წარსული ლიტერატურისას. ამისათვის ეს ჩემ მიერ შეძენილი ძველი ხელთნაწერი წიგნები მიახლება თქვენთვის იმ იმედით, რომელი თქვენ, თქვენი საკუთარი შეხედულებისამებრ, უპოვნით იმათ შესაფერის ადგილის დასაცველად. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ მე, თქვენი წინადადების თანახმად, შეუდექი ძიებას თუ რა დიდი ეკლესიები და ან თუ რაიმე უფრო შესამჩნევი ცნობა მივიღე იმასაც დაუყოვნებლივ გაახლებთ.

თქვენი მარად კეთილდღეობის მსურველი თ. გრიგოლ გურიელი

1889 წ. 28.VII. ქ. ოზურგეთი

პატივცემულო დიმიტრი ზაქარიას ძევ!

იმ ძველ ხელთნაწერთ წიგნებთაგან, რომლებიც თქვენ აქ მყოფობის დროს თვით განიხილეთ, გაახლებთ, ამ წერილის მომრთმევის ნიკო თაყაიშვილის ხელით, ოთხს ცალს, სახელდობრ:

ა. „წმინდა მარტირიკა“

ბ. „დიდი ალექსანდრე მაკედონელის ისტორია“

გ. „წმიდის იოანესი“ და დ. „კარაბადინი“

ამ ოთხ წიგნებთაგანი — სამი ცალი უკვე შეძენილი მაქვს საკუთრებათ და უკეთუ საჭიროდ ჰპოებთ ქეც შემინირავს წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისათვის, ხოლო მეოთხე ცალი „კარაბადინი“, სხვისი არის და სასყიდლათ ვერ ვიშოვნე; მხოლოდ განსახილველათ გიგზავნით და უკეთუ დიდ სასარგებლოდ ჰპოვოთ წერა-კითხვის საზოგადოებისათვის გთხოვთ მამცნოთ და კიდევ ვეცდები, რომ როგორმე ვიშოვნო, თუ არა და უკანვე დაუბრუნებ პატრონს.

მარად თქვენი ერთგული გრიგოლ გურიელი.<sup>1</sup>

1889 წ. 23.X. ქ. ოზურგეთი

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი. დ. ბაქრაძის ფ. №117

**ანგარიში**  
**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის**  
**საზოგადოების მოქმედებისა**  
**1885 წლის 15 მაისიდან 1886 წლის 15 მაისამდე**

„გამგეობა საზოგადოებისა სთხოვს კრებას აირჩიოს საპატიო წევრად თავადი გრიგოლ დავითის ძე გურიელი მის მიერ უხვის შემოწირულობისათვის საზოგადოების სასარგებლოდ“.

**VII. შემოწირულობანი საზოგადოების სასარგებლოდ**

საანგარიშო წელიწადი, როგორც შარშანდელი, შესანიშნავი შემოწირულობით საზოგადოების სასარგებლოდ. მათმა ბრწყინვალეობამ თ. გრიგოლ დავითის ძე გურიელმა შემოსწირა 1009 წიგნი „ქილილა და დამანა“, დაბეჭდილი თვისის საფასით. თვითეული წიგნი ღირს 3 მან; მაშასადამე, ფულად რომ ვიანგარიშოთ თ. გრიგოლს შემოუწირავს საზოგადოებისთვის 3027 მან. ამგვარი თანაგრძნობა მით უფრო საყურადღებოა, რომ თ. გრ. დავითის ძემ გურიელმა ისურვა ამ წიგნის გასყიდვიდამ შემოსულის ფულით იბეჭდებოდა ჩვენი ძველი მწერლობის ნაწარმოებნი. რაც შეეხება თვით ხელთ-ნაწერების ამორჩევას, ეს საქმეც არ დასტოვა უყურადღებოდ. ამორჩევა წიგნების დასაბეჭდათ მათ მიანდეს ჩვენს ყველასაგან ცნობილს დ. ზ. ბაქრაძეს, რომელთაც თვით საზოგადოების გამგეობის წევრთა თანხმობით საბოლოოდ გადასწყვეტს, თუ რომელი ხელთნაწერი, ანუ წიგნი უნდა დაიბეჭდოს. ამავე თავადმა გრ. გურიელმა შემოსწირა საზოგადოებას ძვირფასი სახარება X საუკუნის ხელთ-ნაწერი ეტრატიზედ. გამგეობა ჰრაცხს თავის ვალდებულებად მოახსენოს საზოგადო კრებას, რომ თ. გრ. დავ. გურიელი აღმორჩეული იქმნას საპატიო წევრად საზოგადოებისა იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც მათ აღმოუჩინეს თავის ფასდაუდებელი შემოწირულობით.“

კრება შედგა 1886 წ. 3 ივნისს.


---

1. ამონაწერი სცსსა. ფ. 481.ს. 107

## უგანათლებულესს თავადს გრიგოლ დავითის ძეს გურიელს

თქვენის საფასით დაბეჭდილის „ქილილა და დამანას“ შემონიშნული თქვენ თვალსაჩინოდ დაუმტკიცეთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას უდიდესი თქვენი თანაგრძნობა და ამით მიეცით აღნიშნულს საზოგადოებას საშუალება, რომ ბეჭდვის ძველი ნაშთი მამა-პაპათა გონების ნაწარმოების თანამედროვე ქართველთა საზოგადოებისა გონებით განვითარებისათვის.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის სურვილით, რომ ამგვარი მისადმი თანამგრძობნიყოველთვის დაუფინანსარი ჰყვანდეს საზოგადოებას და ყოველთვის სიამოვნებით იგონებდეს მათს საზოგადოებრივს ქველმოქმედებას. ამისთვის გამგეობა აღნიშნულის საზოგადოებისა უმდაბლესად გთხოვთ კეთილინებოთ და წარმოუგზავნოთ თქვენი პორტრეტი მოდიდო ზომისა კედლისათვის თქვენივე ფაქსიმილეთი.



წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა. 9 თებერვალი. 1887 წ. N51.

სცსსა. ფ. 481. საქ. N147.

### ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას საზოგადოების წევრის დიმიტრი ზაქარაძის ძის ბაქრაძის მიერ მოხსენება

როგორც ამასთანავე წარმოდგენილი რწმუნების წერილი უჩვენებს, მე მქონდა თ. გრიგოლ დავითის ძის გურიელისაგან მონდობილი ხელმძღვანელობა „ქილილა და დამანას“ გამოცემისა მისის ხარჯით და ამასთანავე იმავე წერილის ძალით მევე მაქვს მინდობილი მოვახმარო ღონისძიება,

როგორსაც მე უკეთესად ვცნობ, რომ „ქილილა და დამანა“ გაისყიდოს და გავრცელდეს ქართულ საზოგადოებაში იმ პირობით, რომ რაც ამ წიგნის გასყიდვით ფული შესდგება, იმ ფულით დაიბეჭდოს ქართული წიგნი, რომელსაც თვით მე ქართველთათვის საჭიროდ ვცნობ. ამ გვარადვე უნდა მოვახმარო შემდეგის წიგნების გასყიდვით შემდგარი ფული.

„ქილილა და დამანა“ უკვე დაიბეჭდა 1000 ანუ ცოტა მეტ-ნაკლები და იმის გასავრცელებლად მე ჩემის მხრით საჭიროდ ვრაცხ, რომ როგორც ეს წიგნი, აგრეთვე სხვა ქართული წიგნები, რომელნიც შემდეგ დაიბეჭდება გრ.გურიელის ფონდის მოხმარებით, გადაეცეს „ქართველთა შორის წიგნის ცოდნის გამავრცელებელს საზოგადოების გამგეობას“, რომელიც რასაკვირველია, უკედ მოაწყობს ამ წიგნების გასყიდვისა და გავრცელების საქმესა. მათის შემოსულის ანგარიშის ჩასანერათ, მე მგონია, საჭირო იქნება „გამგეობამ“ ცალკე წიგნი იქონიოს და როდესაც ეს შემოსავალი საკმაო ფულს შეადგენს, მაშინ ყოველს შემთხვევაში „გამგეობას“ მოხსენდება ჩემის მხრივ, რა წიგნის დაბეჭდვას უფრო საჭიროდ ვხედავ და თვით „გამგეობას“ მოვთხოვ, თავის აზრსა და რჩევასა ამ საქმის გამო და საზოგადოდ მე არც ერთის წიგნის ბეჭდვას არ შეუდგები „გამგეობის“ ნებადაურთველად. ამ წესით საქმის წაყვანას მოითხოვს თვით ინტერესი საზოგადო სარგებლობისადმი მიმართული თ. გრიგოლ გურიელისაგან და იმის მიერ ჩემდა მოცემულს რწმუნების წერილს არ ეწინააღმდეგება.

თუ „გამგეობა“ ამ ჩემს მოხსენებას შეინწყნარებს, ვთხოვ „გამგეობას“ თავისი განკარგულება ამ საქმის შესახებ თავის მხრივ თ. გრიგოლ გურიელს აცნობოს და ამასთანავე მადლობა განუცხადოს, როგორც წერილით, აგრეთვე გაზეთში განცხადებით, თავის მხრითაც და „საზოგადოების“ მხრითაც ამ უხვად სასარგებლო და სამაგალითო საქმის დაწყებისათვის.

წევრი „საზოგადოებისა“ დიმიტრი ბაქრაძე

12 თებერვალი, 1886 წ.

## **თქვენო ბრწყინვალეზ, კნიაზო გრიგოლ დავითის ძევ,**

ჩვენის საზოგადოების წევრს დ.ზ.ბაქრაძეს თქვენგან მიცემულის რწმუნების წერილით ჰქონდა მინდობილი ხელმძღვანელობა „ქილილა და დამანას“ დაბეჭდვისა, თქვენის საფასით და ამასთანავე იმავე წერილის ძალით მასვე აქვს მინდობილი მოიხმაროს ღონისძიება, რომელსაც თვით ის უკეთესად სცნობს, რომ „ქილილა და დამანა“ გავრცელდეს

ქართულ საზოგადოებაში იმ პირობით, რომ რაც ამ წიგნის გასყიდვით ფული შესდგეს, იმ ფულით დაიბეჭდოს ქართული წიგნი, რომელსაც ბ.ბაქრაძე, ქართველებისათვის საჭიროდ სცნობს. აგრეთვე შემდეგის გამოცემის შემოსავლით.

„ქილილა და დამანა“, როგორც მოგეხსენებათ, უკვე დაიბეჭდა 1000 ცოტა მეტი ეგზემპლარი და იმის გასავრცელებლად ბ.ბაქრაძემ თავის მხრივ საჭიროდ დაინახა, რომ როგორც ეს წიგნი, აგრეთვე სხვა ქართული წიგნები, რომელითაც ის შემდეგ დააბეჭდინებს თქვენს სახელზე შედგენილის ფონდით, გადმოეცეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობას“, რომელიც ბ.ბაქრაძის მოაზრებით, უკედ მონაწილეს ხსენებულის წიგნების გასყიდვას და გავრცელებას და როდესაც თვითულის მათის შემოსავალი საკმაო ფულს შეადგენს, მაშინ ყოველ შემთხვევაში მისგან გამგეობას მოჰხსენდება, რა წიგნის დაბეჭდვას უფრო საჭიროდ ჰხედავს იგი და თვით გამგეობას მოსთხოვს თავის აზრსა და რჩევასა ამ საქმეში და საზოგადოდ არც ერთ წიგნის დაბეჭდვას ის არ შეუდგება გამგეობის დაუკითხავად. ამ რიგით საქმის წაყვანას, ბ.ბაქრაძის აზრით, მოითხოვს თვით ინტერესი საზოგადო სარგებლობისადმი თქვენ მიერ, ბ.გრიგოლ, მიმართულის საქმისა. ამას გარდა გამგეობამ მიიღო კვალად თქვენგან შემოწირული საუკეთესო ხელთნაწერი მეფის ვახტანგ VI სამართლის წიგნისა და 45 ნაჭერი ძველი ფულისა — ოქროსი, ვერცხლისა და სპილენძის. ეს ძველი ფულები შეიქმნა საფუძვლად იმ ნუმიზმატიერის განყოფილებისა, რომელიც არსდება მტკიცე საფუძველზედ საზოგადოების წიგნთსაცავთან.

გამგეობამ დიდის სიამოვნებით მიიღო ეს მოხსენება ბ.ბაქრაძისა, რომელმაც ამასთანავე გადმოსცა საზოგადოებას თვით თქვენ მიერ მისთვის მიცემული რწმუნების წერილი და ყველა ეგზემპლარები „ქილილა და დამანასი“. გამგეობამ დაუყოვნებლივ მოახდინა თავის მხრივ განკარგულება მათის გასყიდვისა და გავრცელებისა. გამგეობა ვალდებულია აღიარებს თავის თავსა ეს გარემოება თქვენ მოგახსენოთ და ამასთანავე გაცნობოთ, რომ როდესაც კი ბ.ბაქრაძე სხვა წიგნის ბეჭდვის საქმეს შეუდგება, თქვენის ფონდის შემოსავლით, ყოველ შემთხვევაში გამგეობა თავის მხრივ მოხსენებას არ მოგაკლებთ.

გამგეობა საჭიროდ ჰხადის როგორც თავის მხრივ, ისე ყველა ქართველთა მხრივ გულითადი მადლობა გიძღვნათ თქვენის საზოგადო სარგებლობისადმი მიმართულის მოღვაწეობისათვის, რომელშიაც თქვენ პირველად უჩვენეთ დიდი მაგალითი, და რომელიც არ ვეჭვნიულობთ,



დღეს თუ ხვალ, თავის გავლენას იქონიებს სხვა მამულის მოყვარე ქართველებზედაც.

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ბედნიერად შეჭრაცხს თავის თავს, თუ თქვენო ბრწყინვალეზავ, ნება-რთვას მისცემთ მას, რომ მან თქვენის სახელით „საზოგადოების“ საპატიო წევრთა სია შეამკოს. ამ ნება-რთვის თხოვნის პასუხს „საზოგადოება“ მოუთმენლად მოელის თქვენგან.

ამასთანავე „გამგეობას“ მოუთმევი თქვენის ბრწყინვალეებისათვის ერთი შეკაზმული ეგზემპლარი თქვენის ნაღვანის „ქილილა და დამანასი“.

24 აპრილს. 1886 წ. სცსსა. ფ. 481. N126. N,62.

„გინდა გულითადი მადლობა განუცხადოთ თვით თავადს გრიგოლ დავითის ძეს გურიელს, რომლისგანაც ამ დღეებში მივიღეთ სადღაც ოზურგეთში მისგან ნაპოვნი პატარა მე-X საუკ. მშენიერი ასო-მთავრულიანი და ოქროვარაყიანის გასაოცარის ხელოვნების სათაურის ასოებით ეტრატზე ნაწერი სახარება. ეს შრომა უჩვენებს, რა მაღალ ხარისხზედ მდგარა ჩვენში თვით მე-X საუკუნეში კალიგრაფია და მხატვრობა. ამისთვის იგი დიდს განძს შეადგენს ჩვენის არქეოლოგიისას, თუმცა საუბედუროდ სახარება ძალიან დაშლილია და ნათრევი“...

### **დიმიტრი ბაქრაძე**

„დროება“. 1885 წ. N85. 23 IV.

გამგეობა მოვალეობად ჰრაცხს, გულითადი მადლობა გამოუცხადოს საზოგადო კრების წინაშე იმ პირთ, რომელთაც წლის განმავლობაში წიგნები შემოსწირეს საზოგადოების წიგნთ-საცავს, განსაკუთრებით დაულალავ და უხვს შემომწირველს, საპატიო წევრს ჩვენი საზოგადოებისას, თავადს გრიგოლ გურიელს.

### **ანგარიში ქ.მ.ნ.კ.გ.ს. გამგეობის მოქმედებისა.**

1889 წ. 1-IX-1890 წ. 1.IX. გვ. 24.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავს შემოსწირეს ძველი წიგნები: თ. გრ.გურიელმა — 1) მარხვანი და სხვა-და-სხვა დღეს საკითხავები, ხუცური ხელთ-ნაწერი; 2) მარხვანი და ტიბიკონი, ხუცური ხელთ-ნაწერი; 3) ჟამნი ოხით და იბიკონით, ხუცური ხელთ-ნაწერი; 4) ჟამნი თთვეთა მეტყველებით, ხუც-ხელთ-ნაწერი; 5) აღდგომის წირთ-

ვის ნესი, ხუც. ხელთ-ნანერი; 6) მარხვანი და სადღესასწაულო, ხუც. ხელთ. ნან. 7) ჟამნი და მარხვანი, ხუც. ხელთ.ნან. 8) სხვა-და-სხვა ლოც-ვები და სჯულის კანონები იოანნე მმარხველისა, ხუც. ხელთ.ნან.

გამგეობა საზოგადოებისა გულითადს მადლობას უძღვნის შემომ-ნირველთ.

„ივერია“, N223. 1889 წ. 21 X

ოზურგეთი: თ. გრ.გურიელის სახლში ჩვენ ვნახეთ სამი ძველი ხელ-ნანერი წიგნი. ერთია: „ითიკა-თეოლოლია“, ანუ სწავლანი სულიერნი სამღვთო მეცნიერებითნი მაქსიმე აღმსარებლისა, თარგმნილი წმ. მამისა ჩვენისა ევთიმისა“. ხელნაწერში 127 ფურცელია; დაწერილია ლამაზის ნუსხურის ხელით იეროდიაკონის პორფირეს მიერ 1725 წელს. მეორეა: „წიგნი სიბრძნისა, ისო ზირაქისა“, ხუცურის ნუსხურით დაწერილი. მესა-მე უფრო შესანიშნავია და დიდის ხელოვნებითაც არის ნანერი ხუცურად. შიგ ნახატებია ჩართული და ასომთავრულები მშვენიერად დასურათებუ-ლი. გადანერილია 1791 წელს. პატივცემული თავადი გრ.გურიელი დიდის გულმოდგინებით აგროებს გურიაში ხელნაწერებსა და საისტორიო ნივ-თებს და აპირობს შესწიროს „წერა-კითხვის საზოგადოებას“.

„ივერია“. 1890 წ. N188. 4.IX.

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავს შემოსწირეს ძველი ხელთ-ნანერი წიგნები:

თავ. გურიელმა 1) სურათებიანი მარხვანი 2) ჟამნ-გულანი 3) წიგნი სიბრძნისა ძისა ზირაქისა და ეკკლესიასტე 4) ითიკა თეოლოლია და სწავ-ლანი მაქსიმე აღმსარებლისანი 5) სურათებიანი სახარება.

...

გამგეობა საზოგადოებისა გულითად მადლობას უძღვნის შემომნი-რველთა.

„ივერია“. N56. 1891 წ. 14. III

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობამ მიი-ლო ბ-ნ ექ.თაყაიშვილისგან ყველა წიგნი, დოკუმენტები და ნივთები, რომელიც თავადმა გრიგოლ დავითის ძე გურიელმა შესწირა „საზოგა-დოების“ წიგნთ-საცავს. გამგეობა ამ შეწირულებისათვის თავადს გრი-გოლ გურიელს დიდს მადლობას უძღვნის.

„ივერია“. N229. 29.X.

# ბრიგოლ გურიელის წერილები ექვთიმე თაყაიშვილისადმი

1890 წ. 4.IX. ქალ. ოზურგეთი

**პატივცემულო ევთიმე სვიმონის ძე!**

ამასთანავე გიგზავნით ამა წერილის მომრთმეველის კვაჭაძის ხელით ოთხს ძველს ხელთ-ნაწერს საეკკლესიო წიგნებს, რომლებში-დაც იპოვნით შესანიშნავს ხელოვნებას ძველი დროების ხელთ-წერისა და მხატვრობისას.

გთხოვთ ეს ხელთნაწერი წიგნები, შემდგომ თქვენ მიერ კარგათ განხილვისა, გარდასცეთ „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადო-ებს“ ჩემ მაგიერად.

ეს წიგნები დიდის მეცადინეობით შევიძინე სხვადასხვა კერძო პირე-ბითაგან და კიდევ ვცდილობ რაც შეიძლება მეტი შევიძინო და გაახ-ლოთ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის“ გარდასა-ცემლათ, რათა ჩვენს მომავალს არ დაეკარგოს ესრეთი ძვირფასნი ძეგლნი ძველის მწერლობისა და მხატვრობის ხელოვნებისა.

როგორც ეხლა (შევიტყვე) დავინახე, გურიაში ძლიერ ბევრი ყოფილა სხვა და სხვა შესანიშნავი ძველი, ხელთნაწერნი წიგნები, როგორც საეკ-კლესიო, ისრე საეროც, მაგრამ, ჩვენში ბეჭდვის შემოღების შემდეგ, ხელთ-ნაწერთა წიგნებთა პატივი სრულიად დაჰკარგვიათ და მრავალი მათგანი მოსპობილა, რადგან სახვევი ქალაქის ადგილზე უხმარიათ.

დავშთები

თქვენი მდ ერთგული გრიგოლ გურიელი<sup>1</sup>

**ჩემო პატივცემულო ექვთიმე!**

თქვენი შედგენილი „სამი ისტორიული ხრონიკა“ მივიღე, რომლი-სათვის დიდ მადლობას მოგახსენებ. ღმერთმან მრავალი შეგადგენიოს ამისთანა ძვირფასი წიგნები.

ჩემო ექვთიმე, ამას წინათ, ექვთიმე კვაჭაძის ხელით, რამოდენიმე კარგი წიგნები გამოგიგზავნე თქვენდა განსახილველად და მერმედ „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავისათვის შესანიშნავათ და მიიღეთ თუ არა!

1. წერილი ე.თაყაიშვილმა გამოაქვეყნა 1891 წ. გაზეთ „ივერიაში“ (N89. 28.IV).

სხვა ახლაც ვაგროვებ ძველ ხელთნაწერებს და თუ რაიმე მოვიპოვე ყველას გაახლებ. ამასთანავე გიგზავნი ერთ პატარა სახარებას ეტრატზე და დაწერილ მხედრულათ, გადასაცემათ „წერა-კითხვის საზოგადოებისა“.

სამწუხაროდ ჩვენდა გურიაში ბევრი ყოფილა უნინ ძვირფასი და შესანიშნავი წიგნები, მაგრამ როგორც ეხლა ვტყობილობ უმეცრებით და დაუდევნელობით ყველა დაოხრებულია და დაკარგულა!.. და თუ რამე ვნახე ისიც იქით და აქეთ გვერდები ყველა შემოფცქნილი და დაკარგულია.

თქვენი მარად ერთგული თი გრიგოლ გურიელი

1891 წელსა, იანვრის 17.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. ეთაყაიშვილის ფ. N1199

**ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდში დაცული  
ხელნაწერები, ჰენრიული გრიგოლ გურიელის მიერ**

1. ოთხთავი. 1054. ეტრატზე. (S-962)

შემონირული გრ.გურიელის მიერ.

2. ვახტანგ VI. სამართლის წიგნთა კრებული. XIX ს. (S-1275)

ხელნაწერს ზემო ყდის შიდა მხარეს დაკრული აქვს წერილი გრიგოლ გურიელისა დიმიტრი ბაქრაძისადმი:

„ბატონო დიმიტრი!

ამასთანავე მიახლება ძველი ქართველთა კანონის წიგნი, რომელიც მე აღვითქვით; ეს წიგნი, როგორც გავიგე, ყოფილა თავდგირიძეების ოჯახის დანაშთი ძველთაგან; ვინაიდგან თავდგირიძეები ძველათ ყოფილან აჭარაშიდ, ქობულეთშიდ და გურიაშიდ მემჭვე-მოსამართლეებათ და მდივანბეგათ, რომელიც ჩუენ კარგათ გვახსოვს და როგორც იყო გამოძიებით მე ვპოვე ეს წიგნი.

თავდგირიძეების ოჯახებშიდ სხვაც მრავალი ყოფილა ძველი წიგნები, მაგრამ დროთა ვითარების გამო გაბნეულან და მე რამდენიც ძალმიძს ვსცდილობ მოვიპოვო და თუ რამ ვიპოვე შესამჩნევი, გაახლებთ.

ვისურვებ თქვენს მრავალს წელს დღეგრძელობას. თქვენი მარად ერთგული გრიგოლ გურიელი. მარტის 14-ს, 1886 წელს. ქ. ოზურგეთი“.

დ.ბაქრაძეს წიგნი მიუღია 1886 წ. 19 მარტს. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე.თაყაიშვილს (*Описание рукописей*. ტ. II. 620-621 გვ.)

3. მარხვანი. 1791 წ. (S. 1347)

მინაწერი: „ქართველთა წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთა საცავში მიერთვას გრიგოლ გურიელისაგან. 1890 წელსა 4 სექტემბერს“.

4. ჟამნ-გულანი. XVIII ს. (S-1348-ა)

მინაწერი: „ქართველთა წიგნთა საცავს მიერთვას გრიგოლ გურიელისაგან, 1890 წელს 4 სექტემბერს“.

5. ბიბლიური წიგნები. XVIII ს. (S-1349)

(წიგნი სიბრძნისა ძისა ზირაქისა; „წიგნი ეკლესიასტე, ესე იგი არს საეკლესიო მეფისა სოლომონისა სიტყვანი“... „წიგნი სიბრძნისა სოლომონისა.“)

მინაწერი: „ქართველთა წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთა საცავს მიერთვას. გრიგოლ გურიელისაგან. 1890 წელსა, 4 სექტემბერი“.

6. მაქსიმე აღმსარებელი. სწავლანი. 1794 წ. (S-1350)

მინაწერი: „ქართველთა წიგნთსაცავს მიერთვას გრიგოლ გურიელისაგან 1890 წელსა, 4 სექტემბერს“.

## გაზეთ „ივერიის“ კორექსორდენციებიდან:

**მ** ზურგეთი. ამ დღეებში მისს ბრწყინვალეს თავ. გრიგოლ გურიელს წერილი მოუვიდა „მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოებისაგან“. ეს საზოგადოება დიდ მადლობასა სწირავს მის ბრწყინვალეებას დახმარებისათვის და აგრეთვე სთხოვს, რომ გურიის საისტორიო და საარხეოლოგიო ნაშთები მოგვიგროვეთ. გ.გურიელი დიდის გულ-მოდგინეობით შეუდგა ამ საქმეს და მრავალი საყურადღებო ძველი მიწერ-მონერა და ნაშთი იპოვა კიდეც. თ. გურიელი ამ საქმისათვის არც ხარჯ-სა ჰზოგავს და არც შრომას, ოღონდ კი იპოვოს ძველი ნაშთი რამ.

„ივერია“. 1890 წ. N142. 6 VII

ოზურგეთი. ამას წინად თ. გ.გურიელს მოუვიდა ბერლინიდან მ. ფონ-ერკერტისაგან წერილი, ბ-ნ ერკერტს, როგორც წერილიდან სჩანს, შეუგროვებია საჭირო მასალა ქართულის, მეგრულის, სვანურის და აფხაზური ენების გამოსაკვლევად. დარჩენია შესაგროვებელი მასალა ინგილოურისა და ლაზურისა. ამ უკანასკნელს ენის მასალის შეკრება მეცნიერს დაუვალებია თ. გრ.გურიელისათვის. მასალის შესაგროვებლად ბ-ნ ერკერტს პროგრამაც გამოუგზავნია. ამ ჟამად გერმანელ სწავლულთაო, ამბობს სხვათა შორის თავის წერილში ბ-ნი ერკერტი, დიდი ყურადღება ათხოვეს ქართულისა და ქართულ გვარ ენათა შესწავლას, რადგან ჯერ-ჯერობით ვერ გაუგიათ, ქართულ გვარი ენები განცალკევებული ჯგუფია, თუ არიულ ანუ ინდოევროპულ ენათა მოდგომას ეკუთვნისო. ზემოხსენებული გერმანელი სწავლული წინად რუსის სამხედრო სამსახურში ყოფილა, გენერალ-ლეიტენანტობა მიუღია და შემდეგ, როდესაც უთხოვნიათ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეო, სამსახურიდან გამოსულა და თავის სამშობლოში წასულა.“

„ივერია“. 1889 წ. N235. 4 XI

„წერილები რედაქციის მიმართ

წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლის პედაგოგიური რჩევა გულითად მაძღობას უძღვნის თავ. გრიგოლ გურიელს, რომელმაც შემოსწირა გურული სამეურნეო ხელის იარაღები ზემოხსენებულ სკოლას.

მმართველი სკოლისა ერ.ნაკაშიძე“

„ივერია“ 1891 წ. N49. 6.III.

„გურიიდან გვწერს სოფელ ჩიბათის მასწავლებელი მ.წ-ვ-ძე შემდეგს: ნება მომეცით თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მაძღობა გამოუცხადოთ თ.გრიგოლ დავითის ძეს გურიელს, რომელმაც ამ დღეებში შემოსწირა ჩიბათის სასწავლებელს რამდენიმე ცალი ქართული წიგნები ჩვენის საუკეთესო მწერლობისა. პატივცემული თავადი გრიგოლი შემდეგისათვისაც ჰპირდება სკოლას შემწეობასა. ყოველთვის შემატყობინეთ, რა ეჭირვება სკოლასაო და მზადა ვარ დავეხმაროვო.“

„ივერია“. 1887 წ. N5. 9 I

## გაზეთი „დროების“ კორესპონდენციებიდან:

„...**მ**... გრიგოლ გურიელმა ეს ერთი წელიწადია რაც მასწავლებელი დაიქირავა თავისი ხარჯით და ამდენს ხანს ნასადილობით აქაურ სასულიერო სასწავლებელში სწავლობდენ 18 ქალ-ვაჟი და ეხლა ისინი დადიან თითქოს შკოლის საკუთრება სახლში. ამ უკანასკნელათ ზემოხსენებული გურიელი ილაჯ-განწყვეტილი ეუბნება ოზურგეთის საზოგადოებას: ამოდენს ხანს მე შემინახავს შკოლა და შემდეგ ამისა რაც თქვენა გერჩიოს ის ჰქენით; მაგრამ ჩემის მხრივ რაც შემიძლიან მაინც ხელს არ მოვაკლებო, ე.ი. შვიდ თუმანს ყოველ წლობით შემოვიტანო. ჩვენი საზოგადოება ამაზედ ბრძნულად გაუჭუმდა და გაკვრით ეუბნება, როგორც გერჩიოსთ ისრე ქენითო.

„დროება“. N400. 1873 წ. 30 XI

„ოზურგეთი, 6 ივნისს. ადმინისტრაციის მეოხებით გურიის უკუ-მავალ ცხოვრებამ ორი ბიჯი წარდგა ამ დღეებში წინ, და ორივე ჯერ მკვიდრი საძირკველი გაუსკდა თავის შვილების სწავლა-განათლებას...

პირველი ბიჯი ნაღმართობისაკენ გახლავთ საქალებო საეპარხიო სკოლის დაფუძნება. ახლად ჩამოსულმა, მაგრამ ეხლავე სახელგანთქმულმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ყოველწლივ 500 მ. აღუთქვა ამ სასწავლებელს, სადაც სწავლება ქართულად იქნება, გარდა ამისა ო.და-დიანისაგან აიღებს იმ 1000 მან., რომელიც მას მოზარებული ჰქონდა ამავე საქმისათვის.

საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელთ იკისრეს უსასყიდლოდ სწავლება მოხსენებულის სკოლაში. მაგრამ, იმედია, ადრე თუ გვიან ამ სკოლის ნივთიერი შეძლება იმდენად მოიმატებს, რომ მისს ქველმოქმედ მასწავლებლებს ნივთიერადვე დაუჯილდოვებს ღვაწლს; მანამდის კი თვითონ ისინი არ იკადრებენ რაიმე სასყიდელი მოსთხოვონ სკოლას...

მეორე გახლავთ სამღვდელოებისაგან სახლის და მიწა-წყლის შეძინება სასულ. სასწავლებლისათვის.

ამ რამდენიმე წლის წინად აქაურს სამღვდელოებას დრამა ეძლე-ვოდათ ჭირნახულით, მაგრამ მან ითხოვა, რომ ჭირნახულის მაგიერ ეძლიოს კომლზე ორი მანეთი. მთავრობამ შეინწყნარა მათი თხოვნა. მაშინ სულიერ მამებმა გადაწყვიტეს, რომ ნახევარი ამ შემოსავლისა



ორი წლის განმავლობაში შესწიროს სასულ. სასწავლებლისათვის სახლისა და ადგილას შეძინებას. ეგ შემოსავალი სულ იყო 28000 მან. ქველმოქმედებისათვის ჰქონდათ მაშასადამე 14000 მან. მიჰმართავს გურიისა და აჭარა-ქობულეთის მონყალე მამად ცნობილს თ. გრ.გურიელს, რომლის ფრიად დიდი ქვიტკირის ერთ-სართულიანი სახლი და ექვსიოდე ქცევა ბალი და ეზო წყაროებითურთ სამართლიანად ითვლება ოზურგეთის „თვალად“: დაგვითმე თქვენი სახლი და ადგილი და მიირთვიტ შესაფერი სასყიდელიო, სთხოვეს მას. თ. გრიგოლი დათანხმდა. ამოირჩია ორივე მხარემ სანდო პირნი, რომელთაც ეს ქონება დააფასეს 28000 მანეთად. სამღვდელოება შეუდგა მზადებას, რათა როგორმე მოეხერხებინა ამ ფულის გადახდა, მაგრამ ამ დროს თ. გურიელი უცხადებს მას, რომ იგი თავის მხრით „სწირავს გურიის სამღვდელოებას სასწავლებლისა და სხვა მისს საჭიროებათათვის“ (მაგ. ეპისკოპოსის სამოსახლოდ) 15000 მანეთის იმ ფულიდამ რომელიც მას უნდა მიეცეს სამღვდელოებისაგან, და თავის ქონებას უთმობს 13000 მანეთად“. მთელმა სასულიერო წოდებამ და მასთან მთელმა გურიამ უგულითადესი მადლობა განუცხადეს ამ შეწირულებისათვის გრიგოლ-ქველს...”

„დროება“. N119. 1882 წ. II.VI.

„ჩვენ მივიღეთ თ. გრ.დ.გურიელისაგან შემდეგი შენიშვნა: „მე როგორც მახსოვს, ბიძაჩემს ქაიხოსრო გურიელს ჰქონდა დანაშთი მამიდგან ერთი კარგი „ვეფხვის ტყაოსანი“ რუსთველისა, ხელ-ნაწერი და შიგ გამოხატული მოქმედი პირებით, რომელიც უნდა იყოს, ჩემის აზრით, პირველი ანუ სისწორით გადმონერილი.

დღეს ის, როგორც მე ვიცი, აქვს ჩემს ბიძაშვილს პელაგიას, ნესტორ ნერეთლის მეუღლეს.

ამისთვის არ იქნება ურიგო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციამ იმას მიმართოს თხოვნით, რომ გამომიგზავნოს და იმეღია, უარს არ იტყვის“.

„დროება“. 1880 წ. N259. 9 XII



ბრიგოლ გურიელის  
სიკვდილი და დასაფლავება

1825

**თ. გრიგოლ დავითის ძე გურიელი**  
(ნეკროლოგი)

**ქ**იდევ მოაკლდა ჩვენს სამშობლოს ერთი ერთგული და საყვარელი მამულის შვილი. 2 დეკემბერს დაასაფლავეს თ. გრიგოლ დავითის ძე გურიელი. ბევრი ერთგული შვილი მოჰკლებია ჩვენს მამულს, მაგრამ თ. გრიგოლისთანა დიდი გონებისა და პატიოსნების კაცი ძვირად მოიპოვება დღეს ჩვენს საქართველოში. იგი იყო მზრდელი ობოლთა, პატრონი და მფარველი ქვრივთა, ჩაგრულთა და დევნულთა. განსვენებული დიდი მოყვარული იყო ქველი საქმეებისა, ყველა ეს კეთილი თვისებანი განსვენებულისა გამსჭვალული იყო ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოებით. განსვენებულის ყოველი კეთილი საქმე სრულდებოდა, სახარების სიტყვისამებრ, ფარულად და მას არ უყვარდა ზოგიერთებსა ვით თავის ქება და საჯაროდ გამოქვეყნება თავისი კეთილი საქმეებისა. ამისათვის არც ჩვენ ვრაცხთ საჭიროდ დანვრილებით მოუთხრათ საზოგადოებას განსვენებულის ცხოვრება და კეთილი საქმენი. ყველანი უნდა ვსცდილობდეთ, რომ ყოველი ჩვენი კეთილი საქმე იყოს ფარულად აღსრულებული, რომ ღმერთმა, რომელიც ხედავს ყოველსა დაფარულსა ყველას მოგვაგო ჩვენ საქმეთაებრ ჩვენთა. ამას ითხოვს ქრისტეს ჭეშმარიტი სწავლა და ასეც უნდა ვიქცეოდეთ ყველანი. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჭეშმარიტო ქრისტიანო და საქართველოს ერთგულო მამულის შვილო გრიგოლ!

„მწყემსი“. 1891. N23. გვ. 113. 15.XII.

ზაქარია ჭიჭინაძე

## ქრისტიან ქართველთ შრომა ქართველ მაჰმადიანებში<sup>1</sup>

თ. გრიგოლ დავითის ძე გურიელი.

*„თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა,  
მშვიერთა პური უსახლ-სართული;  
მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა,  
შიშველთ სამოსლად მონიჭებული,  
მოხუცებულთა, შრომით რებულთა,  
სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი.“*  
შავთელი

**ბ**რიგოლ გურიელი შვილი იყო დავით გურიელისა; დავით რუსობის შემდეგ სტამბოლში გადასახლდა და იქ გარდაიცვალა. სამშობლოში აღარ დაბრუნდა. მიზეზი დიდა. პატარა გრიგოლი დარჩა კონტრისის ხეობაზედ, ერთ ქართველს მაჰმადიანთან, გვარად ჯაშთან. ეს ოჯახი ჰფარველობდა და ჰზრდიდა პატარა გრიგოლს. ვიდრე გურულები დაშოშმინდებოდნენ, იმ დრომდე გრიგოლ გურიელი ქართველ მაჰმადიანებში იმყოფებოდა. აქ გაიზარდა ეს ძვირფასკაცი და ამიტომაც გამოჰყვა ამ მხრისა და ერის განუსაზღვრელი სიყვარული.

გრიგოლ გურიელი იმ კაცთაგანი იყო, რომლის მსგავსნიც ძრიელ იშვიათად იბადებიან. ის იყო სახე და სინათლე ჩვენის ძველის თაობისა, ის იყო ნევრი იმ სახელოვანთა დასისა, რომელთაც ეკუთვნოდა დ. ყიფიანი, დ. ბაქრაძე და სხ. გრიგოლ გურიელი და ნიკოლოზ ბარათაშვილი ამხანაგები ყოფილან, ერთს სკამზედ მსხდარან სასწავლებელში. ამ ზაფხულს გრიგოლმა სთქვა, რომ ბარათაშვილი ჩემი დიდი მეგობარი იყოვო; 1833 წ. სახლი გაუჩხრიკეს, რადგანაც ერთის ლექსის დაწერასა სწამებდნენ და ამიტომ მან ბევრი თავისი ლექსიც დასწვა.

განსვენებულის გრიგოლ გურიელისთანა კაცები ჩვენს გათახსირებულს დროში ერთობ იშვიათია. განსვენებული დიდის გონებისა და პატიოსნების კაცი იყო. ის იყო მამა გურულთა, მზრდელი ობოლთა, პატრონი და მფარვე-

1. წერილი 1891 წ. დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“. N258. 4.XII.

ლი ქვრივთა და ოხერთ, ფარი ჩაგრულთა და დევნულთა. მისი სახლი სავსე იყო სხვა-და-სხვა გაჭირებულ კაცთა შვილებით. ბევრს გაჭირებულს კაცს მისცა შველა, ბევრი გამოზარდა თავისის ხარჯით, თუ დაბალს სასწავლებლებში და თუ საშუალოსა და უმაღლესში. დღესაც-კი რამდენიმე მონაფე იმისის ხარჯით იზრდება სხვა-და-სხვა სასწავლებელში. ამას გარდა ბევრს გურულს დაჰხმარებია, ზოგს ქალის გათხოვებით, ზოგს მიცვალებულის დამარხვით, და სხ. ბევრნი თავის მიწა-მამულზედ დაუსახლკარებია და საკმარისი დახმარებაც მიუცია. ეს მთელმა გურიამ იცის. გრიგოლ გურიელი დიდად განვითარებული კაცი იყო. კარგათ იცოდა ქართული ძველი და ახალი მწერლობა, საქართველოს ისტორია. რუსულს მწერლობასაც თვალყურს ადევნებდა. ნაკითხი ჰქონდა მთელის ახალის დროის საუკეთესო მწერალთ ნაწერები, ამისი სახლი სავსე იყო რუსეთისა და უცხოელთ მწერალთ ნაწერებით. აქ მოიპოვებდით ისეთ წიგნებსაც, რომელთა შოვნაც დღეს იშვიათია. წელს ზაფხულს ტაილორის ანტროპოლოგიას კითხულობდა. ყველა სამეცნიერო წიგნის გამოსვლას დიდის სიამოვნებით ეგებებოდა. ამით უმაგალითო იყო განსვენებული ჩვენს ძველს კაცებში, იწერდა ყოველს ქართულს ჟურნალ-გაზეთს. გაზეთებს დაბეჯითებით ადევნებდა თვალყურს, ნამეტურ რასაც ჩვენ შესახებ სწერდნენ. ქართველების მდგომარეობის შესახებ განსვენებული ერთავად სწუხდა ჩვენს უძღურებას და საზოგადო საქმეების სიღარიბეს რომ ჰხედავდა, დიდათ ჰნაღვლობდა: რატომ ჩვენში საზოგადო საქმის პატრონობა არ არის გაჩაღებულიო. საყვედურით იხსენიებდა იმ მდიდარს ქართველებს, რომლებიც დაიხოცნენ და საზოგადო საქმისათვის-კი არაფერი დასტოვესო.

წელს ჩემი წასვლა მაჰმადიან ქართველებში დიდად სასიამოვნოდ დარჩენია. სიხარულისაგან აღარ იცოდა რა ექმნა. რომ მნახა, ბევრის გამოკითხვის შემდეგ, აღმითქვა, მაჰმადიანთ ქართველთ ლოცვებს მე გამოვცემო, და გამოსცა კიდევ. დამპირდა, რომ მომავალ წელს, თუ კარგათ ვარ, ორის ყმანვილის სახარჯო ფულს მოგცემ, რომ თან წაიყვანო. სოფელ-სოფელ იაროთ და მაჰმადიანთ ქართველთ ბავშვები ანბანის კითხვას მიახვედროთო, მერე თითონაც ისწავლიანო. ქართველები არიან, შვილო, ცოდონი არიან, რომ ასე უპატრონოდ გყავს დატოვებულიო.

ჩურუქსუში ყოფნის დროს, იმასთან ქართველ მაჰმადიანები მოდიოდნენ და სალამს აძლევდნენ. აქ ბევრს გაუწია დახმარება. ერთს მაჰმადიანს ოსმალოეთიდგან ცოლ-შვილის მოსაყვანი ფული მისცა, მეორეს სხვაფრივ შეენია, მესამეს შვილის აღზრდას დაჰპირდა და სხვ. იქვე აღუთქვა განსვენებულმა, რომ ჩურუქსუში თუ სკოლას გამართავთ, სახლის შესა-

ძენად შემოგენვეითო. ქართველი მაჰმადიანები დიდად გახარებულნი იყვნენ ასეთის შემწეობის და პატივის ცემისა გამო. გრიგოლ გურიელი დიდათ უყვარდათ, ამის სახელი ყველა ბეგმა და აღამ იცოდა და მეტათ ძვირფასს, სამაგალითო ქართველ კაცად იცნობდნენ. განსვენებულმა თავის იქ ყოფნასა და სამსახურის დროს ერთი გროშიც არ შეირჩინა, რასაც-კი იღებდა და იძენდა, სულ ქართველ მაჰმადიანებს ურიგებდა. ამიტომაც იყო, რომ როცა ბათუმიდამ გადმოდიოდა, თან მოსტიროდნენ მთელი მაჰმადიანი ქართველნი. იგინი დღესაც იგონებენ განსვენებულს.

ოზურგეთში სტამბის გამართვის საქმე ისე ესიამოვნა, რომ ასოს ამომწყობს პირველს დღესვე ასე უთხრა: ოჰ, შენს მარჯვენას-კი ვენაცვალე, რომ გურიამი სტამბას, წიგნის საბეჭდავსა ვხედავო. სიხარული-საგან აღარ იცოდა რა ექმნა. სტამბის დაარსებისთანავე ორი სახალხო წიგნი მისცა დასაბეჭდად. სულითა და გულით ენატრებოდა, რომ ოზურგეთში სტამბის საქმე წინ წასულიყო. ასევე ნატრობდა განსვენებული, რომ ოზურგეთში ბიბლიოთეკა დაარსებულიყო. სჩიოდა, რამდენიმე კაცი შეიკრიბა, წიგნთ საცავის დაარსება განიზრახეს და როცა საქმე საქმეზედ მივიდა, მაშინ-კი ამხანაგებს ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ, არა იქ უნდა გაემართო და არა, აქაო. ერთმანეთის ჩხუბსა და ქიშპობას შესწირეს და ანაცვალეს საზოგადო საქმის პატივისცემით. რომ დაეარსებინათ, მაშინ ჩემს წიგნებს სულ იმათ შევსწირავდიო.

განსვენებულს თავს ზარად დაეცა ის ამბავი, რომ ომის შემდეგ ქართველ მაჰმადიანებმა ოსმალეთში გადასახლება დაიწყეს. ბევრს ჰმეცადინებოდა, რომ ქართველი მაჰმადიანები თავიანთს ქვეყანაშივე დარჩენილიყვნენ და დიდს საჩუქრებსაც აძლევდა, რომ მაჰმადიანებისთვის გული მოეგო და დაეყვავებინა. ფულით ბევრს მაჰმადიანს ქართველს მოუგო გული და ბევრს დაუშალა აქედამ აყრა და გადასახლება.

განსვენებული ძალიან დანალვლიანებული იყო ამ ბოლო დროს. დარდობდა, რომ ჩემი მამულების საქმე ძლიერ არეულ-დარეულიაო. ჩემს ძმებთან გაუყრელი ვარ, მე მინდა, რომ ჩემის მამულების უმეტესი ნაწილი „წერა-კითხვის საზოგადოებას“ დაუჭტოვო და გურიის შვიდს სოფლის საზოგადოებას, სადაც ჩვენი ნაყმევი გლეხები სცხოვრობენ და ბევრნი უმინა-წყლობით დიდად არის შეწუხებულნიო. ამისთვის განსვენებულს მთავრობასთან თხოვნაც შეეტანა, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ მამული ჯერ უნდა განაწილდესო. ახლა ვმეცადინებო, რომ რამე მოვახერხო და არ ვიცი, როგორ მოვანყო ეს საქმეო.

ზ. ჭიჭინაძე. ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. თბ. 1917 წ. გვ. 7-10.

## გრიგოლ დავითის ძის გურიელის დასაფლავება (წერილი ოზურგეთიდან)

შუმინ, 2 ამ თთვისას, მიაბარეს გაუმაძლარს მიწას ჩვენი დაუვინ-ყარი მამულის შვილი, დაუშრომელი მოღვაწე, უხვი ქველ-მომქმედი თავადი გრიგოლ დავითის ძე გურიელი. თუმცა მეტის-მეტად ცივი და ქარიშხლიანი დღე იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმის უკანასკნელის საღამის მისაცემად აუარებელი ხალხი შეიკრიბა. დილიდგანვე იწყო ხალხმა მოდენა ირაკლი დუმბაძის ეზოში, სადაც განსვენებულმა გაატარა უკანასკნელი წამები თავისის ძვირფასის სიცოცხლისა. სწორედ ათი საათი იქნებოდა, როცა ცხედარი გამოასვენეს. ცხედარს წინ მიუძლოდნენ განსვენებულის ორდენებით. აქედამ პროცესია დაიძრა და გაემართა სასულიერო სასწავლებლისაკენ, რომლის ეზო კარ-მიდამო და ბალ-ვენახი ამ რვა წლის წინად განსვენებულის საკუთრება იყო და რომელიც გურიის ხელ-მოკლე სამღვდელოებას ნახევარ ფასზე ნაკლებად დაუთმო ამ გულ-უხვმა და გონება ნათელმა ქველ-მომქმედმა. აქ, სასწავლებლის ეზოში მცირე პანაშვიდი გადაუხადეს განსვენებულს. აქვე ყოვლად სამღვდელო გრიგოლმა, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა, შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა და ნათლად გაარკვია განსვენებულის მოღვაწეობის მნიშვნელობა საზოგადოდ მართლ-მადიდებელ ეკკლესიის წინაშე და კერძოდ გურიის სამღვდელოებისა. აქედამ პროცესია გაემართა ქალაქისაკენ. განსვენებულის ცხედარს მიჰყვებოდა, გარდა სამღვდელოებისა და თავად-აზნაურთა, მასწავლებელნი და მონაფენი სასულიერო სასწავლებლისა, სამოქალაქოსი, დედათა სკოლისა და გურიის საერო სკოლათა რამდენიმე ოსტატი. მუსიკა სამოქალაქო სასწავლებლისა სამგლოვიარო ხმას უკრავდა, ხოლო მგალობელთა გუნდი სასულიერო სასწავლებლის შეგირდთა „წმინდაო ღმერთოს“ გალობდა. თვით ქალაქში ამ დღეს ყველა მაღაზია, სავაჭრო და სახელოსნო სახლი დაკეტილი იყო და მოქალაქენი გულ-დანყვევით მიჰყვებოდნენ განსვენებულის ცხედარს. ცხედარი მისვენეს ოზურგეთის წმიდა მარინეს ეკკლესიაში, სადაც მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო გრიგოლ მრავალის სხვა სამღვდელოებით. დასაფლავებაზე სიტყვა წარმოსთქვა: თვით ყოვლად სამღვდელომ, რომელმაც უფრო ვრცლად მოიხსენია, თუ რა ღვაწლი მიუძღოდა განსვენებულს გრიგოლს ჩვენის ეკკლესიისა, ერისა და ქვეყნის წინაშე, ბლალოჩინმა მღვდელმა სვიმონ

თოთიბაძემ, გურიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავადმა სვიმონ გუგუნავამ, სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელმა სპირიდონ თოფურიამ რუსულად, დათიკო ვერმიცანაშვილმა და ბ-ნმა შუბნელმა. ცხედარს ამკობდა ტფილისიდან გამოგზავნილი გვირგვინები „ივერიის“ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან. საუბედუროდ, წარწერა ამა გვირგვინებისა არ შეგვიძლია ვაუწყოთ მკითხველთ, რადგანაც ადგილობრივმა მღვდელმა ლენტეხი ეკლესიაში შეინახა და ჩვენი თხოვნა მის წინაშე, რომ ეჩვენებინა, ამაოდ დარჩა. გვირგვინები იყო აგრეთვე გურიის თავად-აზნაურთაგან შემდეგის წარწერით: თავადს გრიგოლ გურიელს „სახელოვანად სიკვდილი სიცოცხლის უმჯობესია“. სასულიერო სასწავლებლისაგან: **Кн. Григорию Гуриели „Въ знакъ любви и благодарности“**. სამოქალაქო სასწავლებლისაგან: **Кн. Григорию Гуриели „Не забвенному своему почетному смотрителю“**. გურიის სოფლის მასწავლებელთაგან: თავადს გრიგოლ გურიელს:

კაცი ის არის, ვინც მამულს  
გამოადგება შვილადა,  
ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს,  
თავის სამსხვერპლო წილადა,  
ქვეყნისა ცრემლი ჭირად უჩნს,  
მისი ღიმილი ღზინადა.

ქალაქ ოზურგეთიდან: თავადს გრიგოლ გურიელს „ღირსა ხარ დიდებისა და გადიდებთ შენ!“ მიქელაიშვილისა და თავართქილაძის წიგნის მაღაზიიდან: თავადს გრიგოლ გურიელს „საფლავი შენისთანა კაცისა სალოცავია მამულისა“. ლავრენტი ნულაძისაგან: თავად გრიგოლ გურიელს;

იყო ვით მტრედი უმანკო,  
ხუნდებსა უფრთხილდებოდა —  
„არწივთა კლანჭნი არ ჰკრანო“ —  
ამა აზრისთვის კვდებოდა.

შუადღის პირველი საათი იქნებოდა, რომ ეს გაუშეცხვებელი და დაუთმობელი კაცი, ეს სათნო და წყნარი ადამიანი დაგვათმობინა სიკვდილმა და სამუდამო სადგურისათვის მიგვაბარებინა. განსვენებულის სურვილისამებრ, იგი დასაფლავეს ოზურგეთის წმიდა მარინეს ეკლესიის გალავანში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ეს არა, იმისგან დიდად დავალებულს გურიის სამღვდელოებას უნდოდა იმისი დასაფლავება



სასულიერო სასწავლებლის ეზოში, სადაც წმიდა გრიგოლის სახელზე ეკლესია უნდა აეგოთ, მაგრამ რადგანაც ეს არ მოხერხდა, უნდა გრიგოლის სახელზე ერთი სტიპენდია დააარსონ და, ამას გარდა, ვალად დაიდვან, რომ განსვენებულის მიცვალების ყოველ წლის თავზე წირვა და პანაშვიდი გადიხადონ ყველა მღვდელმა თავთავისს ეკლესიაში მიცვალებულის სულის მოსახსენებლად.

აქვე მოგვყავს ბ-ნ თოფურიასი, შუბნელისა და ვერმიცანაშვილის სიტყვა:

### სიტყვა ბ-ნ სპ.თოფურიასი:

**რ**ას ვხედავთ და რას ვსტირით?! ვასაფლავებთ პატივსაცემს თავადს გრიგოლ გურიელს. დაჰხედეთ აბა ამის მხცოვანს სახეს, რა დამშვიდებულია, რა დანყნარებული და აუღელვებელი; ზედ აჩრდილიც-კი არ ემჩნევა ტანჯვისა და მწუხარებისა.

უფალმა ღმერთმა ინება თავადის გრიგოლის მიწოდება საუკუნო განსასვენებელსა ადგილსა. გულს არ სჯერა, რომ ჩვენს შორის აღარ არის მოციქული ჭეშმარიტებისა, მთესველი კეთილისა და მქადაგებელი კაცთმოყვარეობისა. გონება ბნელდება, ენა დუმდება, როცა გავიხსენებთ, რომ მიგვატოვა თავადმა გრიგოლმა.

ამ ჩვენს დროს, როცა იდეალები ასე განქრა, როცა თითოეული გარეშემო ციხე გალავანს ივლებს და თავისს სულსა და გულში ჩაკეტილა, ამისთანა საზოგადო მოღვაწის დაკარგვა დიდი დასაკარგია. თავადი გრიგოლ დავითის ძე იშვიათი კაცი იყო ჩვენ შორის მთელისს თავის ცხოვრებითა და მოღვაწეობით. ვიდრე სამსახურში იმყოფებოდა, დამსახურებული ჰქონდა სახელი პატიოსნისა და უანგარო მოხელესი. შემდეგ, მიატოვა რა ასპარეზი სამსახურისა, დასახლდა თავისს სამშობლო ქალაქს ოზურგეთში; აქ განსვენებული თავადი მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ ქველ-მოქმედობდა და სამადლო საქმეს სთესავდა. დიდია ღვაწლი თავად გრიგოლ გურიელისა საზოგადოების წინაშე. განმეორება იქნება იმისი რაც, ეს არის ეხლა ბრძანა მისმა ყოვლად-სამღვდელოებამ ეპისკოპოსმა გრიგოლმა, სათითაოდ ჩამოთვლა მისის ღვაწლისა. სხვა არა იყოს-რა, ეს ღვაწლი იმდენი და ისე მრავალ-გვარია, რომ ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია.

განსვენებულია მრავალ-გვარს მოღვაწეობაში შესანიშნავია ერთი მისი თვისება, სახელდობრ მისი გულმტკივნეულობა ერის განათლების

საქმისთვის. მისი ზრუნვა ოზურგეთის სასულიერო და საერო სასწავლებელთათვის სამუდამოდ დაუწინყარი დარჩება და ანდერძად გადაეცემა უფროსისაგან უმცროსსა.

თავადო გრიგოლ! დაგვტოვე ჩვენც და ოზლად მიატოვე საერო და სასულიერო სასწავლებელიცა. ვილა გაგვაგონებს ჩვენ, მასწავლებელთ, შენს გონიერ ლაპარაკს, შენს რჩევა-დარიგებას, აღსავსეს ჩვენის ცხოვრების ცოდნითა და ღრმა სიბრძნითა. შენი კარგი ის იყო, სხვათა შორის, რომ ყველას უწევდი ზნეობრივ დახმარებას, ყველასათვის მოგეპოვებოდა სიტყვა ნუგეშინის-ცემისა, ყველას უწვდიდი ხელს დასახმარებლად.

იგლოვით მოსწავლენო, სტიროდეთ ხელ-მოკლენო და ტვირთ-მძიმენო! ყოველთავე თქვენათვის თავადი გრიგოლ მშობელი მამა იყო.

ყველაზედ შესანიშნავი გარემოება ის არის, რომ თავისს საქველმოქმედო მოღვაწეობაში თავადი გრიგოლ გურიელი გვარტომობის განხილვაში არ შედიოდა: ქართველი, რუსი, ოსმალ — მისთვის ყველანი ერთნაირად სანუკვარნი იყვნენ. განსვენებული ჭეშმარიტად სახარების კაცი იყო. ღრმა სიბერებმდე მიაღწია, მაგრამ აზრი მისი მაინც ნათელი იყო და ჭკვიანური. ცალის ფეხით სყამარეში ჩამდგარიც-კი თავის ახალგაზრდობის იდეალებს ერთგულობდა. დიდის შორმხედველობით სჭვრეტდა უკეთესს მერსმისს და ეს ჭვრეტა მიაჩნდა ნუგეშად დღევანდელ ცხოვრებაში. ყოველს დაჩაგრულს, ბედისაგან განამებულს ამით ესალბუნებოდა, ამით ანუგეშებდა... ცხოვრებით უმადურს და გამწარებულს ასე ეტყოდა ხოლმე ჩვეულებრივ თავადი გრიგოლ: „სასოებას ნუ წარიკვეთ, გამხნევი, სულ ხომ ამ ყოფაში არ ვიქნებით: დაგვიდგება კარგი დროცა“.

გაცნობის უმაღვე შეიყვარებდა კაცი განსვენებულს თავადს. თითქმის უცბად მოინადირებდა თქვენს გულს მისი მომხიბვლელი ადამიანობა და კაცური კაცობა და მაშინვე იგრძნობდით, რომ იმისს ხელში ხართ სრულიად და სავსებით. გავიდოდა ხანი და მისი ადამიანობა უფრო და უფრო გიზიდავდათ და გიმორჩილებდათ. ყოველ ამის გამო ყმანვილს კაცს ფიქრად აღარ მოსდიოდა, რომ შეიძლებოდა განსვენებულს ჰქონოდა ის ნაკლი, რომელიც სჩვევია ზოგიერთს სიბერესა და მოხუცებაში. ასეთი იყო თავადი გრიგოლ დავითის ძე გურიელი, რომელსაც დღეს ჩვენ ვგლოვობთ.

მშვიდობა ფერფლსა შენსა, პატიოსანო მამულიშვილო, მამაცო მეომარო, მთესველო კეთილისა და ჭეშმარიტებისა!

## სიტყვა ვერმიცანაშვილისა:

„კაცი არ ყველა ერთია  
დიდი სძეს კაცად კაცამდის.“

ს ნ ჩვენგან განშორებული და სამუდამოდ განსვენებული გრიგოლი, რომლის უკანასკნელის სალამის მისაცემად შევკრებილვართ, გვართ დიდებული იყო, ჩინითა და დამსახურებითაც ხომ ცალი და ბადალი ბევრი არ ჰყავდა, პურ-მარილსა და სტუმართ-მოყვარეობა-შიაც ვერავინ დაემდურებოდა; მაგრამ, როცა იმის სიკვდილის ამბავი გავიგონებთ, იმის გამო-კი არ დაგვწყვეტია გული, იმის გამო-კი არ აგვცრემლებია თვალები, რომ დიდებულის გვარის კაცს მოვშორდით, ჩინიანსა და დამსახურებულს გვამს მოვაკლდით, სტუმართმოყვარე და პურ-მარილის წვერი გამოაკლდა საზოგადოებასაო; არა, ჩვენ დაგვალონა და დაგვადარდიანა იმ გარემოებამ, რომ განსვენებულს გრიგოლს, ამ წარმავალსა და წუთიერს ღირსებას გარდა; უკვდავი და ჩვენი სულისა და გულიდგან, ჩვენი გრძნობა-გონებიდგან წაუშლელი და ამოუფხვრელი ღირსება ჰქონდა. ბევრი დიდებულის გვარის კაცი კვდება, ბევრი ჩინიანი გვამი იმარხება, ბევრი სტუმართ მოყვარე ადამიანი ეთხოვება ამ წუთი-სოფელს, ხოლო ესეთს კაცებს იმისი ნათესავები სტირიან მხოლოდ, იმისი ხელ-ქეითები იგლოვენ და იმის პურ-მარილით დავალებულნი ცრემლობენ. გრიგორის სატირლად-კი, როგორც, ჰხედავთ, ვის არ მოგვიყრია თავი, იმის სამარეზე ცრემლის დასაფრქვევად ვინ არ არის მზად და, ამას გარდა, რამდენია კიდევ ისეთი, რომელთაც აქ არ ვხედავთ, მაგრამ ამ საერთო მწუხარებაში სულითა და გულით მოზიარენი არიან ჩვენი. დიად, გრიგოლის დაკარგვის გამო მთელი საქართველო ჰგოდებს, მთელი საქართველო ვიშობს და ვალალობს. აბა ვის უნდა ნაჰყვეს ქვეყნისა და ერის ცრემლი, თუ არ ისეთს კაცსა, რომელიც მუდამ თვის ქვეყნისა და ერის წარმატებისა და წინ-წაწევის შესახებ ფიქრობდა; მაშ ვინ უნდა დაიტიროს საზოგადოებამ გულ-წრფელის ტირილითა, თუ არ გრიგოლი, რომელმაც ერისა და ქვეყნის წარმატების ფიქრში და ამ ფიქრის საქმედ ქცევაში დალია სული! საქმეც ის არის, გრიგოლის დაკარგვაც იმიტომაა მოუნელებელი დასაკლისი, რომ ის საქმის კაცი იყო, რომ იმან არ იცოდა, რა იყო სულისა და გონების უქმობა და, ამას გარდა, მონყალე და ქველ-მოქმედი გული ჰქონდა, ურომლისოდაც გონების განვითარებაც ფუჭია, დიდის ტვინისა და ნიჭის პატრონობაც

ამაოა. განა ტყუილად არის ნათქვამი „უგულო კაცი ვერ კაცობსო“. გრიგოლის კეთილისა და შემბრაღე გულის მეოხებით ბევრი სასახელო და სასარგებლო საქმე გაკეთებულა ჩვენში. რომელს ერთს დავასახელებთ ისეთს საკეთილო და სანაღმართო საქმეს, რომ ჩვენში დანყებულყოფს და განსვენებული ან მოთავსე, ან დამხმარებელი ქონებრივა და ზნეობრივად სულის ჩამდგმელი არ ყოფილიყოს იმ საქმისა. ამას გარდა, ვინ მიადგებოდა გრიგოლის კარს ისეთი ან რჩევისა, ან დახმარებისა და ან გზის ჩვენებისათვის, რომ მისგან უკმაყოფილოდ, ხელ-ცარიელი და გულ-მოუხებელი წასულიყოს. ყოველისავე ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ეს ჩვენი დაუფინყარი მოღვაწე, რომელიც ეხლავე მინას უნდა მივზაროთ, გულისა და საქმის კაცი იყო და არა სიტყვისა და ოცნებისა. ამის გამოც არის, რომ მეცნიერს უთქვამს „ჭეშმარიტი სიდიდე და დიდებულება ადამიანისა გულშია და არა თავშიო“. გრიგოლმა ეს კარგად იცოდა და იმის ცხოვრების დევიზიც, ვგონებ ეს იყო:

კაცად მაშინ ხარ საქები,  
თუ ეს წესი წესად დარგე,  
ყოველს დღესა შენს თავს კითხო,  
აბა მე დღეს ვის რა ვარგე?

მართლაც გრიგოლი ყოველ დღიური ქველ-მომქმედი, ყოველ დღიური მოსაქმე იყო და ყოველ დღიურად აძლევდა თავის თავს თავის ქველ-მოქმედებისა და სანაღმართო საქმის გაკეთების ანგარიშს. იმას სწამდა, რომ „უქმობა ჟანგია სულისა“-ო და იმ დროს, როცა თავისს სულს ამ სამარცხვინო ჟანგისაგან ხელ-უხლებლად იცავდა, სხვებსაც აძლევდა ერისა და ქვეყნისათვის გარჯისა და შრომის მაგალითს. რასაკვირველია, მე არ შემიძლია და არც ასე ადვილად მოსახერხებელია აღწესება იმ სანაღმართო საქმეთა, რომელთა გაკეთება თუ გაკეთებაში გულ-მხურვალე მონაწილეობის მიღება გრიგოლს ეკუთვნოდა. ის-კი ყველასათვის ცხადი და თვალსაჩინო ამბავია, რომ ასეთი სამაგალითო ადამიანი თითო-ოროლა ძლივსა ჰყავს ჩვენს ქვეყანას. მაშასადამე, დავვრჩენია, რომ განსვენებულს გრიგოლს საუკუნო სახსენებელი ვუსურვოთ, ხოლო ეს საუკუნო სახსენებელი ის იქნება მისთვის, თუ რომ ჩვენი ჯერ კიდევ ძილიდგან გამოურკვეველი და დაქვეითებული ქვეყანა ასეთს ჩუმსა, ასეთს თავ-მდაბალს და ასეთს გულ-კეთილს მოსაქმესა და მოღვაწე ადამიანს დაჰბადებს და აღზრდის.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ღირსეულო მამულიშვილო და სამაგალითო და სასახელო მოღვაწევ!

## სიტყვა შუბნელისა:

**წ**ლევანდელი წელიწადი ერთობ ბნელი და შავი წელიწადი გამოდგა ჩვენთვის, სულ რამდენიმე თვევა, რაც გურიის ცას მოსწყდა ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავი, დავკარგეთ ჩვენი სასიქადულო პოეტი მამია გურიელი. აი ამ დიდებულის კაცის საფლავი ჯერ არ გაცივებულა და ამ ხარბმა მიწამ პირი უყო მეორე ჩვენს მამულიშვილს: აღარ გვყავს დიდად სათაყვანებელი, საყვარელი მოხუცი, თავადი გრიგოლ გურიელი. სამუდამოდ მოისვენა ჩვენის სამშობლო ქვეყნისათვის მზრუნავმა თავმა, საუკუნოდ დადუმდა ყოველთვის მართლის მოლაპარაკე ენა, საუკუნოდ შესწყვიტა ძგერა ჩვენის ერის სიყვარულით აღსავსე გულმა, სამუდამოდ დაიკრიფა გულზე ის ხელები, რომლითაც ასე უშურველად აწვდიდა შემწეობას ჩვენს სასწავლებლებს ჩვენს მოზარდს თაობას. ულმობელმა სიკვდილმა შეუბრალებლად გამოაცალა სინათლის მომხრეთა ბანაკს ერთი უკეთესი მეომარი სიბნელის წინააღმდეგ მებრძოლი. ჭეშმარიტად ამ გვარის კაცის სიკვდილს დალამება მოჰყვება და დალამება ხომ ქვეყნის დაქცევის მონადინეთა ასპარეზია. როცა სინათლის რომელიმე მომხრე გამოგვეცლება და შავს მიწას ამოეფარება, ყოველთვის რალაც უიმედობა შეგვიპყრობს ხოლმე: ვაი ამის შემდეგ უნამუსობამ გული მო...ცეს და სათნოება, სინათლე განსაცდელში ჩაგვიგდოს. განსვენებულის გრიგოლისებური კაცები ყოველთვის მთელის თავისის არსებობაზე ცდილობენ სიბნელის გაშუქებას. ერთის ხელით რომ სათნოებას სთესენ, მეორეთი უნამუსობას ამხოვენ და ამ გვარის კაცის სიკვდილი ჩვენზე ღონიერს ერსაც-კი შეასუსტებს. თორემ ჩვენთვის ხომ დაუვინყარი მარცხია. განსვენებულის ღირსი ის იყო, რომ მეტის-მეტად კეთილი იყო და მასთან შრომისმოყვარე, ის არც მოხუცებულობას გაუტეხია და სწორედ შრომაშივე მოასწრო ამ ულმობელმა სიკვდილმა. მან ადრე შეიგნო, რომ უსაქმობა და არარაობა იგივე სიკვდილია და სიკვდილამდის სიკვდილი, სიცოცხლეშივე ლეშად გადაქცევა არ შეეფერება ღვთის მსგავსად და ხატად შექმნილს ადამიანს და ამიტომაც პატიოსანს შრომაში დალია სული. აი ჩვენ წინ ასვენია ეს გულსაკლავი მსხვერპლი უმართლო სიკვდილისა და მისი გაქვავებული გვამი თითქოს ამას გვეუბნება: ბუნებით ნიჭიერო და მალხაზნო გურულნო! თქვენში ძვირია ისეთი უგბილო, უმადლო ადამიანი, რომ ცოტაოდენი მადლის ჩადენა არ შეეძლოს, თუ უგულობა არ დაუშლის. ეცადეთ, რომ

თუნდ თითო წვეთი მაღლი ყველამ ჩაიდინოს, ამ წვეთ-წვეთობით ზღვა გაჩნდება მაღლისა, რომელიც ადვილად წალეკავს ჩვენს უმეცრებას და უბედურებასაო.

განსვენებული საქმიანობასთან ერთად კეთილი გულის კაცი იყო და იმიტომაც ასე გვათბობდა ყველას. ყოველ ამასთან მეტის-მეტად უმანკო, უჩირქო სულის პატრონი იყო და აი, ასეთი უმანკო სული მიაბარა მან უფალს.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, დაუვიწყარო თავადო! გვასწავლე ჩვენც, რომ შენებრ უმანკო სული მივიტანოთ საფლავამდის.

„ივერია“. 1891 წ. N262. 10.XII.

## ნარკვევი

**ბ**აზეთ „НОВ. ОБОЗ.“-ის გუშინდელს ნომერში დაბეჭდილია წერილი ბ-ნ პ-სი გარდაცვალებულის თავად გრიგოლ გურიელის შესახებ. ეს წერილი საყურადღებოდ მიგვაჩნია ჩვენის მკითხველისათვის და ვბეჭდავთ.

ამ დღეებში გარდაცვალებული თავადი გრიგოლ დავითის ძე გურიელი ცნობილი იყო ქართველთა შორის, როგორც ყველა წოდებისაგან პატივცემული მოღვაწე, დიდად პატიოსანი და სათნოიანი კაცი. ქრისტეან და მაჰმადიან ქართველთა შორის ისე დიდად ცნობილი არავინაა, როგორც განსვენებული გრიგოლი, რომელმაც საერთო, საზოგადო სიყვარული დაიმსახურა თავის თანამემამულეთა.

თავადი გურიელი 60 წლისა გარდაიცვალა; იგი მსახურობდა გურიის მილიციაში და უკანასკნელ ომიანობამდე უფროსი იყო საზღვრის ჯარისა გურიაში. ბათუმის ოლქის (ეს მხარე ძლიერ უყვარდა განსვენებულს) შემოერთების შემდეგ განსვენებული ერთს წლამდე უფროსად იყო ამ ოლქისა და შემდეგ, დაანება რა სამსახურს თავი, მუდამ თავისს სამშობლო ქალაქს ოზურგეთში სცხოვრობდა. თავისს სამსახურს ძლიერ მუყაითად და პატიოსნურად ეკიდებოდა, ერთგულ თანამოსამსახურეთაგან სიყვარული ჰქონდა მოპოებული და ყოველსავე კეთილს საქმეს თანაუგრძნობდა და გულით ეკიდებოდა.

განსვენებული კარგად იცნობდა ბათუმის ოლქს და განცხოველებული ურთიერთობა ჰქონდა თავისს თანამომძმე მაჰმადიანს ქართველებსთან. ქართველები დიდად დავალებულები არიან მისის ამ გვარის ურთიერთობით. უკეთესი გამოკვლევანი ამ პროვინციისა ბაქრადისა

და ყაზბეგის მიერ გურიელის თანაშემწეობით მოხდა და უამისშემწე-  
ოდ მოუხერხებელიც იყო ეს საქმე. თავადს გურიელს დიდად უყვარდა  
სამეცნიერო და სალიტერატურო შრომა. მისის მეთაურობით და ხარ-  
ჯით 1885 წელს დაიბეჭდა ქართულს ენაზედ შესანიშნავი თარგმანი  
„ქილილა და დამანა“. ამ გვარადვე მსურვალე მონაწილეობა მიიღო  
სხვა წიგნებისა და წიგნაკების გამოცემაშიც. დიდად ზრუნავდა ძველის  
ხელნაწერებისა და საისტორიო მასალის შეკრებას, რათა ან მცოდნე  
კაცებისა და ან „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის“ მიეწოდებინა.  
ქართველს თავადიშვილებს შორის ვერავინ შეედრებოდა თავადს გური-  
ელს ხალხის სწავლა-განათლებისა და წერა-კითხვის გავრცელების საქ-  
მეში. როდესაც ოზურგეთში სასულიერო სასწავლებლისათვის შენობის  
აგება გაუჭირდათ, მხოლოდ თავადმა გრიგოლმა იკისრა ამ საქმისთვის  
დახმარება. თავისი სახლი, ღირებული არა ნაკლებ 30000 მანეთისა,  
10 თუ 15 ათას მანათად მიჰყიდა. განსვენებული მრავალს ქართულს  
წიგნსა და ჟურნალსა ჰგზავნიდა ოსმალეთის საქართველოში და ამ  
გზით ჯერ კიდევ შემოერთებამდე ნიადაგს უმზადებდა იქაურ მკვიდრთ  
შორის წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების დანერგვის საქმეს.  
დიდი ამაგი დასდო აგრეთვე „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზო-  
გადოებასაც“. გარდა მრავალის საისტორიო მასალისა და საბუთისა,  
ხსენებულსავე საზოგადოებას შესწირა მთელი გამოცემა „ქილილა და  
დამანასი“, ღირებული 3000 მანათად, და ამ სახით დააარსა ფონდი ქარ-  
თულის ლიტერატურის ძველ ნაწერების გამოსაცემად.

კერძოდ თავადი გურიელი ძველი, კეთილშობილი, დარბაისელი,  
რანდი ქართველი კაცი იყო, არა მოქეიფე და მფლანგავი თავის სარჩო-  
საბადებელისა, არამედ წყნარი და თანაც გულშემატკივარი ადამიანი  
ყოველის კეთილის საქმისა.

ბევრს დაალონებს იმისი გარდაცვალება, რადგან აღარ ეყოლებათ  
გულშემატკივარი მოსიყვარულე და ნივთიერად და ზნეობრივად დამხ-  
მარებელი თავადი გრიგოლი.

„ივერია“. 1891 წ. N256. 1 XII.

## ლიბერატურა:

1. ე.გოგუაძე. გრიგოლ ქველი. „ოზურგეთის გაზეთი“. 2001 წ.
2. ა.დიასამიძე. გრიგოლ გურიელის ექსპედიცია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1874 წელს. „კლიო“. 2003 წ. №18
3. ა.დიასამიძე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თანამდგომი და ქართულ სიძველეთა დიდი ქომაგი. „კლიო“. 2003 წ. №18
4. ა.დიასამიძე. გრიგოლ გურიელი — საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობისათვის მებრძოლი. გაზ. „საქ. რესპუბლიკა“. 1998 წ. N206-208.
5. ე.თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები. თბ. 1964 ტ. I.
6. ი.მეგრელიძე. ექვთიმე თაყაიშვილი. თბ. 1989.
7. შ.მეგრელიძე. ამაგდარი მამულიშვილი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1984. 20 აპრილი.
8. ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმონერა. თბ. 1991
9. თ.სახოკია. მოგზაურობანი. ბათ. 1985.
10. ზ.ჭიჭინაძე. გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზიბეგის მოგზაურობა აჭარაში. გაზ. „ტრიბუნა“. 1921 წ. N99-100.
11. ზ.ჭიჭინაძე. ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთა საქართველოსი. ბათ. 1911.
12. ზ.ჭიჭინაძე. ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. თბ. 1917.
13. Г.Казбек. Три месяца в Турецкой Грузии из дневника путешественника. Тифлиси. 1875. იხ. ქართული გამოცემა — ბათუმი. 1995.
14. გაზეთი „დროება“ — 1873. N400. 1878. N164, 171, 174, 175, 239. 1880. N90, 259, 1882. N119, 1884. N117, 1885. N85.
15. გაზეთი „ივერია“ — 1879. N2, 1887. N5, 1889. N223, 235, 1890. N188, 142, 1891. N49, 56, 184, 258.
16. „მწყემსი“ — 1891. N23.
17. ხელნაწერთა ინსტიტუტი —  
დ.ბაქრაძის ფონდი N117.  
ე.თაყაიშვილის ფონდი N1199
18. სცსსა — წერა-კითხვის საზოგადოების ფ. N481. საქმე N107, 126, 147.



ამ სერიით გამოიცა:

*ვარლამ სიმონიშვილი.*

**გურიის სიმღერების წარმოშობა.**

თბ. 2005.

გამოსაცემად მზადდება:

*გიგო შარაშიძე. ჩემი მოგონებანი.*

*ავექსენტი მეგრელიძე. გურული ნადური.*

გურიის სულიერი და კულტურული ფასეულობების  
შესწავლისა და პოპულარიზაციის ცენტრი

თბილისი. 2006

ISBN 99940-0-841-2



9 789994 008414 >